ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 257 (12632) 1 ნოემბერი შაბათი 2008 ფასი 50 თეთრი



# ოლიმპიური ტვირთი

## გია ნაცვლიშვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მეოთხე პრეზიდენტია »» 11

# მოდით დღეს ეროვნულზე!



*დღეს, 14:00*

## დინამო

## ვიტ ჯორჯია

ტურის წინათქმა »» 2-3



## ძოლამ



## ხიზანიშვილი დაადასტურა »» 5

ვესტ ჰემმა და ბლექბერნმა მოლაპარაკება გააჩაღეს



ინტერვიუ ლეო მესისთან »» 8



## დიეგოსგან კრიტიკა არ მწყინს

# საქართველოს XX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

IX ტურის წინათამაშები

**01.11. თბილისი
ეროვნული. 14:00**

**დინამო – ვიტ ჯორჯია** Live

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი
ასისტენტები: გ. ყრუაშვილი, კ. ტეფნაძე;
მეოთხე მსაჯი: ი. ურუშაძე

**02.11. თბილისი
მ. მესხი. 14:00**

**ლოკომოტივი – სიონი** Live

არბიტრი: ლ. კვარაცხელია
ასისტენტები: ლ. თოდრია, ზ. ფიფია;
მეოთხე მსაჯი: ლ. სილაგავა

**02.11. ბორჯომი
ჯ. ზეინკლიშვილი 14:00**

**მესხეთი – ბორჯომი**

არბიტრი: ო. ხეცაძე
ასისტენტები: ა. გუნთაძე, თ. ხუჭუა;
მეოთხე მსაჯი: ხ. გაგნიძე

**02.11. რუსთავი.
ფოლადი. 14:00**

**ოლიმპი – სპარტაკი**

არბიტრი: ვ. ელისაბედაშვილი
ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, ა. კოკაია;
მეოთხე მსაჯი: ზვ. ასკაროღლი

**02.11. ზესტაფონი
ცენტრალური. 14:00**

**ზესტაფონი – გაგრა**

არბიტრი: მ. ურუშაძე
ასისტენტები: ი. უკლება, კ. ბერაძე;
მეოთხე მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი

## სუპერმოტივაცია

მწვრთნელი, ფეხბურთელი, ჟურნალისტი თუ ერთგული ქომაგი, ყველა ერთსულოვანია: მსგავსი უცნაური ჩემპიონატი არავის ახსოვს! სატურნირო ცხრილს გახედავთ და... უამრავ ალოგიკასაც შეამჩნევთ. ჩემპიონობის ფავორიტებად რომ მიგვაჩნდა, ის გუნდები ქვემოთ არიან; უიმედო აუტსაიდერებად შერაცხილებმა კი, ტური არ გავა, სენსაცია არ შემოგვთავაზონ. თუმცა კანონზომიერების მომენტებიც არის - აი, თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩემპიონატს ორი, მართლაც გამორჩეული გუნდი ლიდერობს. „ლოკომოტივსაც" და „ვიტ ჯორჯიასაც" ამ ტურში ურთულესი მატჩები აქვთ; თუმცა, როგორც არ უნდა დაამთავრონ თავიანთი შეხვედრები, სულ მცირე, ერთი კვირით მაინც ცხრილის სათავეში დარჩებიან.

ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერს ურთულესი ნოემბერი ელოდება: ზედიზედ უნდა ეთამაშოს „სიონს", „ოლიმპსა" და „ზესტაფონს"; ამას გარდა, „ლოკომოტივს" ამ თვეში თასის ორი მეოთხედფინალური შეხვედრა აქვს... ბოლნისის „სიონთან". მოკლედ, ამ მატჩებმა ბევრი რამ უნდა გაარკვიოს; უპირველეს ყოვლისა, „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მზადყოფნა. განსაკუთრებით, ფიზიკურ კონდიციებს ვგულისხმობთ - **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** გუნდს გამოცდილი შემსრულებლები არ აკლია, მაგრამ „ლოკომოტივს" ხომ ერთობ მოკლე სათადარიგოთა სკამი აქვს. არანაკლებ გამოცდილი მოთამაშეები ჰყავს „სიონს", თანაც, „ლოკომოტივთან" შედარებით ბოლნისურ კლუბს, ფაქტობრივად, ორი თანაბარი ძალის შემადგენლობაც ჰყავს. ალბათ, ამის გამოც იყო, რომ სეზონის წინ **ოთარ კორღალიძის** გუნდი ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტად შევრაცხეთ. თუმცა, რვა ტურია გასული და ქვემოქართლელები მხოლოდ მეექვსე ადგილზე არიან. ერთიც არის - „სიონს" ამ ჩემპიონატში ძლიერ მეტოქესთან ჯერ არ მოუგია! ამ წყვილზე ლაპარაკი კი წინა სეზონის დაპირისპირებით გვინდა დავასრულოთ; შეგახსენებთ, რომ XIX ჩემპიონატში „ლოკომოტივს" გავარდნის საფრთხე ემუქრებოდა და მეორე წრეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება... ბოლნისში მოიპოვა. 12 აპრილს გაიმართა ეს შეხვედრა და სტუმართა გუნდში ახლადჩარიცხული ვეტერანების ბენეფისადაც იქცა; **ლევან ცქიტიშვილის, რატი ალექსიძისა** და **ვიტალი დარასელიას** დიდოსტატური თამაშის ფონზე კი მასპინძლები ნამეტნავად უსუსურად გამოიყურებოდნენ...

წესითა და რიგით, „ლოკომოტივისა" და „სიონის" შეხვედრა ტურში ყველაზე გამორჩეული უნდა ყოფილიყო; მაგრამ, იმედია, ამ გუნდების ქომაგები არ გვიწყენენ და ვიტყვით, რომ უფრო სხვა „ბომბი-მატჩი" გველოდება; დაპირისპირება, რომელმაც ყველა დანარჩენი უნდა დაჩრდილოს. რა მიხვედრა უნდა, ლაპარაკია ბოლო წლების პრინციპულ მეტოქეებზე - „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიაზე". არა აქვს მნიშვნელობა, ერთი ან მეორე გუნდი კონკრეტულ მომენტში რომელ ადგილზეა; არც იმას - ვინ არიან დღევანდელ მეტოქეთა მთავარი მწვრთნელები თუ რომელი ფეხბურთელები ასპარეზობენ. მოკლედ, ნამდვილი დედაქალაქური „დერბია" - ტრადიციული უშელავათო დაპირისპირებითა და უდიდესი მოტივაციით. ჰო, ამ გუნდების ურთიერთშეხვედრებში მეტოქეებს განსაკუთრებული მოტივაცია არ სჭირდებათ და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვერასდროს ვიტყვით: ვინ არის წყვილში ფავორიტი და ვის უფრო ნაკლები შანსები აქვს. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ დღევანდელ მეტოქეთა უკომპრომისო ურთიერთდაპირისპირება დასაბამს იღებს... 1997 წლიდან; ანუ, იმ დროიდან, „ვიტ ჯორჯია" რომ უმაღლეს ლიგაში გამოჩნდა. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ დღევანდელ მეტოქეებს, ფაქტობრივად, აბსოლუტური თანაფარდობა აქვთ: აქამდე ჩატარებულ 32 შეხვედრაში „დინამომ" 11 მატჩი მოიგო, 11 ფრედ დასრულდა და 10 წააგო (მხოლოდ ბურთების სხვაობაში აქვს ჩვენს ყველაზე ტიტულოვან გუნდს მცირე უპირატესობა: 35:29). ყველაზე უცნაური კი ამ სტატისტიკური მონაცემების მიღმა სხვა რამ გახლავთ: 1997 წლიდან დღემდე „ვიტ ჯორჯია" მხოლოდ ერთხელ იყო საქართველოს ჩემპიონი, „დინამო" კი - ხუთჯერ; ანუ, ისევ გავიმეორებთ და ვიტყვით, რომ იმავე „ვიტ ჯორჯიას" ყოველთვის განსაკუთრებული მოტივაცია ჰქონდა „დინამოსთან". ცალკე აღნიშვნის ღირსია ერთი ფაქტორიც: 1998 წლიდან („კოდაკო-მორკინალის" სამართალმემკვიდრე „ვიტ ჯორჯია" რომ გახდა) „ვეტერინარების" პრეზიდენტი **გურამ რუხაძეა**; საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთადერთი კაცი, ვინც დღიდან დაარსებისა, კლუბის მარჩენალი, მეპატრონე (რაც გინდათ, ის დაარქვით) გახლავთ. ამ ათი წლის განმავლობაში რუხაძემ შეძლო და ისეთი მოქნილი საკლუბო სტრუქტურა ჩამოაყალიბა, გუნდის შენახვა წამგებიან ბიზნესად რომ არ ქცეულიყო. ყველასთვის კარგად არის ცნობილი „ვეტერინართა" ძირითადი პრიორიტეტები: გუნდში, ფაქტობრივად, არასდროს გაკეთებულა „ხმაურიანი" თუ „ფასეული" ტრანსფერი: პირიქით - თითქმის ყველა სეზონის წინ საკუთარი ფარმ-კლუბიდან გადმოყვანილ რამდენიმე პერსპექტიულ ახალგაზრდას თავის გამოჩენის შანსი ეძლევა; მერე კი, უკვე „ვიტ ჯორჯიაში" ჩამოყალიბებულ ფეხბურთელებზეა დიდი მოთხოვნა და... გუნდი მაინც არ ზარალდება. აი, ასე გრძელდება ათი წელიწადი, როცა „ვეტერინართა" რიგებს ტოვებდნენ და სხვა გუნდებში აგრძელებდნენ კარიერას: **გიორგი ადამია, ოთარ მარცვალაძე, სანდრო იაშვილი, ალექსანდრე გოგობერიშვილი, ლევან მელქაძე, დავით დიღმელაშვილი, ალექსანდრე ინწკირველი, ოლეგ გველესიანი, ჯაბა მუჯირი, ლაშა ნოზაძე, მირზა მერლანი, ნიკა გელაშვილი, დავით იმედაშვილი**; წინა სეზონის დასრულების მერე მათ რიცხვს **პაატა დათუნაიშვილი** და **ზაზა სახოკია** მიემატნენ, მაგრამ, ვითომც არაფერიო - წინა პლანზე ახლა უკვე **ჯაბა ლიპარტია, ირაკლი კლიმიაშვილი, გიორგი მელქაძე, გიორგი ბეჟვაია** და სხვა ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოვიდნენ.

...ადრეც და დღესაც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ „ვეტერინარებს" ყოველთვის განსაკუთრებული მოტივაცია აქვთ „დინამოსთან" მატჩის წინ. ძველი დაპირისპირებების გახსენებით რომ არ დაგღალოთ, წინა ჩემპიონატის გახსენებაც საკმარისი იქნება. შეგახსენებთ, რომ XIX ჩემპიონატში „დინამომ" მართლაც ფანტასტიკური სტარტი აიღო და ყველა მეტოქეს მუსრავდა. მანამდე, სანამ... „ვიტ ჯორჯიას" არ შეხვდა: 2007 წლის 19 ოქტომბერს „ეროვნულზე" ჩატარებულ მატჩში სტუმრებმა **ლუკა რაზმაძის** პენალტით გაიმარჯვეს. არადა, ამ შეხვედრამდე „დინამოს" რვა თამაშიდან რვა გამარჯვება ჰქონდა!

არანაკლებ დიდ ინტერესს იწვევდა ამ გუნდების მეორე წრის მატჩიც, რომელიც წლეულს, 18 აპრილს გაიმართა მცხეთაში.



2008 წლის 18 აპრილი. მცხეთა. ვიტ ჯორჯია-დინამო

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტური იყო დარჩენილი; სატურნირო ცხრილშიც ერთობ ჩახლართულ სიტუაციასთან გვქონდა საქმე: მასპინძლებს მხოლოდ გამარჯვება აწყობდათ (მეორე წრეში ზედიზედ შვიდი მოგების მერე მოულოდნელად „სპარტაკთან" წაიფორხილეს), „დინამოსთვის" კი ფრე იდეალური შედეგი იქნებოდა. ეგ კი არა, გამარჯვების შემთხვევაში **დუშან უჰრინის** გუნდს, შესაძლოა, ვადაზე ადრე ეზეიმა ჩემპიონობა. მოკლედ, ინტრიგა, მოტივაცია, რაც გნებავთ, ის დაარქვით, ყველაფერი იყო. საბოლოოდ ის შეხვედრა ნულოვანი ფრით დასრულდა, რაც, ფაქტობრივად, იმის მომასწავებელი იყო, რომ „დინამო" ორწლიანი პაუზის მერე ისევ ჩემპიონი უნდა გამხდარიყო. წლევანდელი 18 აპრილი კი, ალბათ, არასდროს დაავიწყდება „ვიტ ჯორჯიას" ნახევარმცველს ლუკა რაზმაძეს - ორჯერ „ტყუპისცალი" საჯარიმოები რომ შეასრულა და ორივეჯერ ხარიხას რომ გაარტყა ბურთი, მერე კი პენალტიც იმავე მიმართულებით „შეასრულა"! მოკლედ, მატჩის გმირი უნდა გამხდარიყო და საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ მისმა უმცირესმა უზუსტობამ სტუმრებს ჩემპიონობა მოუტანა. სამაგიეროდ, რაზმაძეს სამი-ოთხი თვის მერე დაუფასდა თავდაუზოგავი თამაში - **ექტორ რაულ კუპერს** შეუმჩნეველი არ დარჩენია „ვეტერინართა" საყრდენი ნახევარმცველი და ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვია! ჰო, დღევანდელი მეტოქეების ბოლო შეხვედრას ვიხსენებთ და არაფერი გვითქვამს... მსაჯობაზე. რა თქმა უნდა, ჩავლილი ამბავია, მაგრამ „დინამოს" ქომაგთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, ორივე ის სახიფათო ჯარიმაც და პენალტიც საკამათოზე მეტი რომ ჰქვია, ისეთ კატეგორიას მიეკუთვნებოდა. და, რა - მარტო 18 აპრილს იყო ასე? რამდენსაც გინდათ, იმდენ შეხვედრას გავიხსენებთ, დღევანდელ მეტოქეთა დაპირისპირებებში რომ იყო: გაძევებები, საკამათო გოლები თუ პენალტები, მსაჯების კურიოზული შეცდომები და ასე შემდეგ. მოკლედ, დღეს მართლაც საინტერესო მატჩი გველოდება: მოქმედი ჩემპიონი გათამაშების ერთ-ერთი ლიდერის წინააღმდეგ!

**გია ტუხაშვილი**

|  | სულ |  |  |  |  |  | შინ |  |  |  |  | სტუმრად |  |  |  |  |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|  | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. ლოკომოტივი | 7 | 6 | 0 | 1 | 13-3 | 18 | 3 | 0 | 1 | 5-1 | 9 | 3 | 0 | 0 | 8-2 | 9 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 7 | 5 | 1 | 1 | 8-3 | 16 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 | 3 | 1 | 0 | 3-0 | 10 |
| 3. დინამო | 7 | 4 | 0 | 3 | 12-8 | 12 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 | 2 | 0 | 3 | 6-6 | 6 |
| 4. მგლები | 8 | 4 | 0 | 4 | 10-8 | 12 | 3 | 0 | 2 | 9-5 | 9 | 1 | 0 | 2 | 1-3 | 3 |
| 5. ზესტაფონი | 7 | 3 | 2 | 2 | 5-4 | 11 | 2 | 0 | 1 | 2-1 | 6 | 1 | 2 | 1 | 3-3 | 3 |
| 6. სიონი | 7 | 2 | 3 | 2 | 6-4 | 9 | 0 | 1 | 2 | 1-2 | 1 | 2 | 2 | 0 | 5-1 | 8 |
| 7. ბორჯომი | 8 | 2 | 3 | 3 | 8-12 | 9 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 | 1 | 1 | 1 | 4-6 | 4 |
| 8. მესხეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 5-7 | 8 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 | 2 | 1 | 1 | 3-2 | 7 |
| 9. გაგრა | 8 | 2 | 2 | 4 | 7-11 | 8 | 2 | 2 | 1 | 5-4 | 8 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |
| 10. ოლიმპი | 7 | 0 | 5 | 2 | 4-7 | 5 | 0 | 3 | 0 | 1-1 | 3 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |
| 11. სპარტაკი | 7 | 1 | 0 | 6 | 5-16 | 3 | 0 | 0 | 4 | 2-10 | 1 | 0 | 2 | 1 | 3-6 | 3 |

### პროფლიგა

## კალენდარი შეიცვალა

პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალური მდივნის, **პაატა ბურჯალიანის** ცნობით, მე-10 ტურის ის მატჩები, რომლებიც 8 ნოემბერს უნდა გამართულიყო, ერთი დღით ადრე, 7 ნოემბერს ჩატარდება, 9 ნოემბრის თამაშები კი 8 ნოემბრისთვის გადმოიტანეს.

„19 ნოემბერს საქართველოს ნაკრებს ბუქარესტში, რუმინეთის ეროვნულ გუნდთან ამხანაგური მატჩი აქვს. ექტორ კუპერს ფეხბურთელებთან სამუშაოდ დრო სჭირდება და ამის გამო, საქართველოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების კალენდარში კორექტივების შეტანა გვთხოვა. გუნდი რუმინეთში 16 ნოემბერს მიემგზავრება. 12-ში ტური რომ გამართულიყო, ფაქტობრივად, მხოლოდ სამდღიანი შეკრება გამოდიოდა, რაც ძალიან მცირე დროა. ეს საკითხი პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის სხდომაზე განვიხილეთ და კლუბებმა კუპერის თხოვნა უპრობლემოდ გაითვალისწინეს" - განმარტა ბურჯალიანმა.

სხვა დღეებში ჩატარდება მე-11 ტურისა და თასის მეოთხედფინალის შეხვედრებიც. 16 ნოემბერს დანიშნული ჩემპიონატის მატჩების ნაწილი ერთი დღით ადრე გადმოიტანეს, სათასო შეხვედრები კი 12 ნოემბრის ნაცვლად 11-ში ჩატარდება.

**მერაბ მამულაშვილი**

**X ტური**

**7 ნოემბერი, პარასკევი**

ლოკომოტივი-ოლიმპი
სიონი-ვიტ ჯორჯია
სპარტაკი-ზესტაფონი
მგლები-დინამო

**8 ნოემბერი, შაბათი**

გაგრა-მესხეთი

**თასის მეოთხედფინალი**

პირველი მატჩები

**11 ნოემბერი, სამშაბათი**

ლოკომოტივი-სიონი
ოლიმპი-ამერი
ზესტაფონი-დინამო
ვიტ ჯორჯია-მარტვილი

**XI ტური**

**15 ნოემბერი, შაბათი**

ზესტაფონი-ლოკომოტივი
დინამო-ბორჯომი
ვიტ ჯორჯია-მგლები

**16 ნოემბერი, კვირა**

ოლიმპი-სიონი
მესხეთი-სპარტაკი

**ჭაბუკთა ლიგა. 1991/92**

**31 ოქტომბერი**

| | |
|---|---|
| ოლიმპი-გაგრა | 4:5 |
| მესხეთი-მგლები | 1:4 |
| ზესტაფონი-ბორჯომი | 9:1 |
| ლოკომოტივი-სპარტაკი | 1:2 |
| დინამო-სიონი | 6:0 |
| ვიტ ჯორჯია-16-ნაკრები | 3:2 |

|  | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 8 | 7 | 0 | 1 | 31-7 | 21 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 8 | 6 | 1 | 1 | 17-6 | 19 |
| 3. ზესტაფონი | 8 | 6 | 0 | 2 | 29-8 | 18 |
| 4. სპარტაკი | 8 | 5 | 2 | 1 | 18-9 | 17 |
| 5. ნაკრები U16 | 8 | 5 | 0 | 3 | 27-15 | 15 |
| 6. გაგრა | 8 | 5 | 0 | 3 | 26-18 | 15 |
| 7. მგლები | 8 | 4 | 2 | 2 | 17-11 | 14 |
| 8. ოლიმპი | 8 | 1 | 2 | 5 | 17-26 | 5 |
| 9. ბორჯომი | 8 | 1 | 2 | 5 | 7-22 | 5 |
| 10. სიონი | 8 | 1 | 1 | 6 | 7-25 | 4 |
| 11. ლოკომოტივი | 8 | 1 | 1 | 6 | 6-23 | 4 |
| 12. მესხეთი | 8 | 0 | 1 | 7 | 4-36 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ალექსიძე (ლოკომოტივი) | 6 |
| გ. თოდუა (მგლები) | 5 |
| ვაწაძე (დინამო) | 5 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 3 |
| ლომია (მგლები) | 3 |
| კოშკაძე (სიონი) | 3 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 3 |
| ცქიტიშვილი (ლოკომოტივი) | 3 |
| სამხარაძე (ლოკომოტივი) | 2 |
| ჩიკვილაძე (ოლიმპი) | 2 |
| გაბიდაური (ოლიმპი) | 2 |
| გაბედავა (გაგრა) | 2 |
| ზ. დათუნაშვილი (გაგრა) | 2 |
| ლიპარტია (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| კვალინიძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo34@mail.ru

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დინამო – ვიტ ჯორჯია VS

### ყველა დაპირისპირება

| | |
|---|---|
| **1997-98** | |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 0:0 |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 0:2 |
| (ალექსიძე, ცქიტიშვილი) | |
| **1998-99** | |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 0:2 |
| (ცქიტიშვილი, გ. შენგელია), | |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | 3:2 |
| (ალექსიძე-2, ნიტაიშვილი; გოჩაშვილი-2) | |
| **1999-00** | |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 0:1 |
| (ალექსიძე) | |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | 4:1 |
| (ნიტაიშვილი, აშვეთია, ალექსიძე, ვ. გიგიაძე; ხართიშვილი) | |
| **მეორე ეტაპი** | |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 0:0, 1:1 |
| გ. ქორიძე; ნიტაიშვილი | |
| **2000-01** | |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 1:0 |
| გ. ქორიძე | |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | 4:0 |
| გადელია-2, ზირაქიშვილი, მიქაძე | |
| **მეორე ეტაპი** | |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 0:0, 2:2 |
| ლ. მელქაძე-2; ზირაქიშვილი, მიკუჩაძე | |
| **2001-02** | |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 1:0 |
| გოგობერიშვილი | |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | 2:5 |
| ამისულაშვილი, დარასელია; თ. კობიაშვილი-2, გოგობერიშვილი, დ. დოლიძე, ადამია) | |
| **2002-03** | |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 1:1 |
| ადამია; სახვაძე | |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| (ლ. ნოზაძე) | |
| **მეორე ეტაპი** | |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 0:0, 1:3 |
| (ლ. მელქაძე; დარასელია-2, კვირკველია) | |

ინტერვიუ ლუკა რაზმაძესთან

# კარგად ვიცით, რა ფეხბურთსაც თამაშობს დინამო

## რაზმაძეს გამარჯვებისა სჯერა



დღეს „დინამო"-"ვიტ ჯორჯიაა" და ეროვნულ სტადიონზე ქომაგი არ მოიწყენს. რა სიტუაციაც არ უნდა იყოს ცხრილში, ამ გუნდების დაპირისპირება ყოველთვის პრინციპულია, როგორც დერბის შეშვენის. ამ თამაშს ახლაც დიდი წონა აქვს, ორივე გუნდი ხომ ჩემპიონობისთვის იბრძვის. ვფიქრობთ, პროგნოზების გაკეთება უაზრობაა. კარგი იქნება, თუ ამ მატჩს ტრიბუნებზე უხვად მისული ქომაგიც გაალამაზებს. უქმე დღეა და ნაღდად ღირს სტადიონზე წასვლა.

გუშინ ამ დაპირისპირებაზე ნაკრებისა და „ვიტ ჯორჯიის" შუახაზელ ლუკა რაზმაძეს ვესაუბრეთ...

**- მეტოქე „დინამოა" და, ალბათ, განსაკუთრებულად ემზადებით ამ მატჩისთვის...**

- არა, არანაირი განსაკუთრებული გეგმა, ჩვეულებრივად ვემზადებით.

**- შეტევაში დინამოელთა დამრტყმელი ძალა მერებაშვილისა და ვანაძის ტანდემია. შეგიძლია თქვა, რომ „ვიტ ჯორჯია" მზადაა, გაუმკლავდეს მათ?**

- რა თქმა უნდა, მზად ვართ. ჩვეულებრივად მომზადებაში ამასაც ვგულისხმობდი. „დინამოსთან" სათამაშოდ ყველანაირად მზად ვართ.

**- როგორ ფიქრობ, „დინამო" განსაკუთრებულს არაფერს შესთავაზებს „ვიტ ჯორჯიას"?**

- რა თქმა უნდა, არ გვაქვს ინფორმაცია, თუ რას აპირებს „დინამო", თუმც ჩემი ვარაუდით განსაკუთრებულს, ალბათ, არაფერს შემოგვთავაზებს.

**- ლუკა რაზმაძე, ლექსო კვახაძე, გრიგოლ ბედიაშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი - „ვიტ ჯორჯიიდან" უკვე საკმაოდ ბევრნი ხართ ეროვნულ ნაკრებში და არ არის იმის საფრთხე, რომ ზოგიერთზე ამან ცუდად იმოქმედოს?**

- არა, ცხვირის მაღლა აწევა აზრადაც არ მომსვლია. ასეთი რამ არასდროს გამიკეთებია და არც გავაკეთებ. ნაკრებში გამოძახებამ ფეხბურთელზე პირიქით უნდა იმოქმედოს - მეტი ვალდებულება და პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს.

**- „დინამოსთან" მატჩს დავუბრუნდეთ. კი გვითხარი, ჩვეულებრივად ვემზადებითო, მაგრამ ამ გუნდთან დაპირისპირება „ვიტ ჯორჯიისთვის" არასდროს ყოფილა ჩვეულებრივი...**

- ყველა მეტოქეს ვაფასებთ, ყველასთან ვიბრძვით, მაგრამ ახლა მოტივაცია მეტი იქნება, რადგან ჩვენი მეტოქე „დინამოა". ისე, ახალს ჩვენც ვერაფერს მოვიგონებთ, გავალთ მოედანზე და ვიბრძოლებთ.

**- ასეთი დაპირისპირების დროს ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ მეტოქემ რიცხობრივი უპირატესობა არ შეიქმნას. მწვრთნელმა ამაზე საგანგებოდ მიგითითათ?**

- მწვრთნელი ყოველთვის გვეუბნება, რომ მოვერიდოთ უხეშობას და ამას ვითვალისწინებთ, თუმცა შიშით ითამაშეთ და ბრძოლისგან თავი შეიკავეთო, ეს არავის უთქვამს.

**- როგორ ატყობ, რა იქნება გადამწყვეტი ფაქტორი ამ შეხვედრაში? ნახევარმცველი ხარ და, არის ასეთი ძირძველი შეხედულება: თამაშს იგებს ის, ვისაც უკეთესი ნახევარდაცვა ჰყავს...**

- გადამწყვეტი იქნება უპირატესობის მოპოვება მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე და, რა თქმა უნდა, იღბალი.

**- გიორგი დათუნაიშვილისა და გიორგი მელქაძის გარდა, „ვიტ ჯორჯიას" სხვა დანაკლისიც ხომ არ აქვს?**

- არა, ყველანი ჯანზე ვართ. დათუნაიშვილი ვარჯიშს სავარაუდოდ 10 ნოემბრიდან დაიწყებს.

**- წინა ტურის „სიონი"-"დინამოს" თამაშს თუ უყურეთ?**

- არა, ისედაც კარგად ვიცით, რა ფეხბურთს თამაშობს „დინამო". გვჯერა, წარმატებას მივაღწევთ.

**- ხომ არ გეჩვენება, რომ ეს ზედმეტი თავდაჯერებულობაა?**

- არა, რატომ? უბრალოდ, მჯერა ჩვენი გუნდის და დასახული მიზნის.

**- წინა ტურში „ვიტ ჯორჯიამ" დაისვენა. ერთი მხრივ, დასვენება კარგია, თუმც ისიცაა, რომ ყველაზე კარგი ვარჯიში თამაშია და ვინძლო, „დინამო" უკეთეს ტონუსში იყოს...**

- ყველაზე კარგი ვარჯიში თამაში კი არის, მაგრამ ახლა საქართველოს ჩემპიონატი იმდენად გადატვირთულია, ერთკვირიანი დასვენება ჩვენთვის სასარგებლო გამოდგა.

**დავით თავართქილაძე**

## დინამო – ვიტ ჯორჯია VS

### ყველა დაპირისპირება

| | |
|---|---|
| **2003-04** | |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 0:0 |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| **მეორე ეტაპი** | |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 1:0 |
| მარცვალაძე; | |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 3:1 |
| რ. გოცირიძე-2, მარცვალაძე; ახალაია | |
| **2004-05** | |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 2:3 |
| გოჩაშვილი, ადამია; შ. კაშია, ლ. მელქაძე, კაკალაძე | |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | 1:0 |
| ოდიკაძე | |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | 3:2 |
| ლ. მელქაძე (2), ნემსაძე; ე. მერებაშვილი, მარცვალაძე | |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 1:0 |
| მარცვალაძე | |
| **2005-06** | |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 1:0 |
| მარცვალაძე | |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| **2006-07** | |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 2:1 |
| (გ. დათუნაიშვილი, გ. მელქაძე; ხუციშვილი) | |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | 1:0 |
| ს. იაშვილი | |
| **2007-08** | |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| რაზმაძე | |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 0:0 |

*დღემდე მეტოქეებმა ერთმანეთში 32 მატჩი ჩაატარეს: "დინამომ" მოიგო 11 მატჩი, 10 - "ვიტ ჯორჯიამ", და 11ფრე დაფიქსირდა. ბურთების სხვაობა: 35-29.*

*შენიშვნა: 1997-98 წლის ჩემპიონატის პირველ წრეში „ვიტ-ჯორჯია" „კოდაკო-მორკინალის" სახელით ასპარეზობდა.*

ნაკრები

# კუპერი ნაკრებს რუმინეთში შეკრებს



საქართველოს ნაკრებს უახლოესი მატჩი 19 ნოემბერს აქვს - რუმინეთის ეროვნულ გუნდს გასვლაზე ამხანაგურად გაეჯიბრება. ფეხბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, რომ ამ მატჩისთვის ჩვენი გუნდი თბილისში არ შეიკრიბება და მზადებას 16 ნოემბრიდან ბუქარესტში შეუდგება. ამ დროისთვის **ექტორ კუპერი** საქართველოში არ არის. ის თითქოს რამდენიმე დღის წინ უნდა ჩამოსულიყო და ამაზე დავწერეთ კიდეც, მაგრამ ეტყობა, რაღაც შეიცვალა. თუმც რუმინეთთან მატჩამდე აუცილებლად ჩამოვა.

საქართველოს ნაკრების სარუმინეთო შემადგენლობა მომავალ კვირას უნდა დასახელდეს. რადგან შეკრება თბილისში არ არის, უნდა ვივარაუდოთ, რომ კუპერისეული შემადგენლობა ექსპერიმენტული არ იქნება და მეტწილად ისევ ლეგიონერებზე გაკეთდება აქცენტი.

**დავით თავართქილაძე**



ერთ დროს ვიტჯორჯიელი დილმელაშვილი (მარცხნივ) დღეს თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ითამაშებს

ინტერვიუ დავით დილმელაშვილთან

# უნდა მოვიგოთ და მჯერა, ამას შევძლებთ

## რა კოზირები აქვთ ვიცე-ჩემპიონებს

თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი დავით დილმელაშვილი ადრე „ვიტ ჯორჯიის" ღირსებას იცავდა და მისი კაპიტანიც იყო. დღეს „დინამო" სწორედ „ვიტ ჯორჯიას" ხვდება და საინტერესოა, როგორია ექსვეტერინარის წინასამატჩო განწყობა. ამიტომაც ჩავთვალეთ საჭიროდ დილმელაშვილთან გასაუბრება...

- მორიგი თამაშისთვის ჩვეულებრივ, გეგმის მიხედვით ვემზადებით. პრინციპული მატჩი გველის, „ვიტ ჯორჯია" სოლიდური მეტოქეა. ამ თამაშის მოგებას ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ 3 ქულა გვინდა. ვიბრძოლებთ და მაქვს იმის რწმენა, რომ გავიმარჯვებთ.

**- ბოლნისში მოგება გაგიჭირდათ, მაგრამ მაინც მოახერხეთ...**

- ეს უაღრესად საჭირო გამარჯვება იყო. „სიონს" გამორჩეული შემადგენლობა ჰყავს და სტუმრად ამ გუნდის დამარცხება იოლი საქმე ნამდვილად არ არის. გარდა ამისა, ბოლნისური 3 ქულა ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც გვჭირდებოდა. მნიშვნელოვანია, რომ „ვიტ ჯორჯიას" კარგი განწყობით ვხვდებით.

**- „ვიტ ჯორჯია" სოლიდური მეტოქეაო, თქვით. კიდევ რას დაამატებდით?**

- ამ გუნდის ერთ-ერთი მთავარი ღირსება სტაბილურობაა. „ვიტ ჯორჯიას" ყოველწლიურად აკლდებიან წამყვანი ფეხბურთელები, მაგრამ მაინც ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად რჩება. ახლაც კარგი შემადგენლობა ჰყავს და მთავარიც - მწვრთნელი, რომელიც გამოცდილი და კვალიფიციურია.

**- „დინამომ" არაერთი ქულა გაანიავა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩავარდნა უკვე დაძლეულია?**

- ვერ ვიტყოდი, რომ ეს ჩავარდნა იყო. გაითვალისწინეთ, რომ რაინერ ცობელისთვის მიმდინარე სეზონი სადებიუტოა. მან გუნდი ნელ-ნელა დაალაგა, ასე ვთქვათ, საკუთარ თარგზე მოჭრა. ამ პროცესს გარკვეული დრო სჭირდებოდა და მხოლოდ ამის გამო იყო, ქულები რომ დავკარგეთ.

**- „ვიტ ჯორჯია" წინა ტურში ისვენებდა, „დინამომ" კი ითამაშა. როგორ ფიქრობ, ეს მომენტი თქვენს წისქვილზე ასხამს წყალს თუ...**

- რაც ჩემპიონატი დაიწყო, ყოველთვის წინა ტურში დასვენებულ გუნდებთან გვიწევს თამაში. ასე იყო „მესხეთთან", „სიონთან" და ასეა „ვიტ ჯორჯიასთანაც". ზოგი გუნდისთვის დასვენება სასარგებლოა, ზოგზე კი ნეგატიურად მოქმედებს... ერთი კი ფაქტია - შაბათის მატჩი ორივე გუნდისთვის რთული იქნება.

**- შანსებზე რას იტყოდით?**

- ამაზე საუბარი გამიჭირდება. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ მოედანზე მოსაგებად გავალთ.

**- „დინამო" სრული შემადგენლობით ემზადება თუ ვინმე დაგაკლდებათ?**

- მხოლოდ გიორგი მერებაშვილს აქვს მიკროტრავმა, მაგრამ იმედი გვაქვს, შეძლებს თამაშს.

**- როგორ ფიქრობთ, რა არის მეტოქის კოზირი?**

- ახალგაზრდული შემადგენლობა და ბრძოლისუნარიანობა. „ვიტ ჯორჯია" გუნდური თამაშით გამოირჩევა, ეს ფაქტორი კი წარმატებისთვის აუცილებელია. ამასთან, მეტოქის ფეხბურთელები ტექნიკურებიც არიან.

**- „დინამომდე" „ვიტ ჯორჯიაში" თამაშობდი. მაშინ უკეთესი გუნდი ჰყავდათ „ვეტერინარებს" თუ ახლანდელი სჯობს?**

- შედარება გამიჭირდება. ის კი ფაქტია, რომ უკვე რამდენიმე სეზონია, სტაბილურად ძლიერი გუნდია.

**დავით ცაგაძე**

დაბრუნება

# გახსოვთ ვალერი გაგუა?

ბევრმა არ იცის, რომ საქართველოში ევროპის ჩემპიონატის ბომბარდირი თამაშობს - ვალერი გაგუა. 1999 წელს, შვედეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, ირლანდიელ გარი დოჰერტისთან (ვინაც 5 წლის წინ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს აქაც გაუტანა და იქაც) ერთად, ის ევროპის 18-წლამდელთა პირველობის საუკეთესო მეგოლე გახდა.

გაგუა იმითიც არის უნიკალური მოთამაშე, რომ საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებში... მეკარეც ყოფილა. თავის დროზე რიგის „სკონტოში" ჩაირიცხა, მაგრამ შემდეგ ტრავმა მიიღო, ცუდად უმკურნალეს და საქართველოში დაბრუნდა.

მას შემდეგ რამდენიმე კლუბი მოიარა, ვალერიმ ისრაელშიც სცადა ბედი, მაგრამ ძველებური წარმატებით ველარ თამაშობდა. ბოლო ერთი წელია, გაგუა უგუნდოდაა - თბილისის „მერანი" კაპიტნის რანგში დატოვა და მხოლოდ ახლა მონახა სხვა ნავსაყუდელი - „მესხეთის" მთავარმა მწვრთნელმა **კობა თედიაშვილმა** 28 წლის შემტევ ნახევარმცველს თავის გამოჩენის შანსი მისცა.

**მერაბ მამულაშვილი**

# საქართველოს XX ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა

## თვის ნომინანტები. ოქტომბერი

### მწვრთნელი

## რამაზ მუმლაძე (ვიტ ჯორჯია)



ამ ნომინაციაში რამდენიმე კანდიდატი გვყავდა; უპირველეს ყოვლისა, ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის, „ლოკომოტივის" თავკაცები - **გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე**. სამწუხაროდ, ოქტომბერში „ლოკომოტივმა" აბსოლუტური შედეგი ვერ აჩვენა - მეხუთე ტურში საშინაო მარცხი „მგლებთან" ლიდერის აქტივში ნამდვილად ვერ ჩაითვლება. აბსოლუტურად კანონზომიერი იქნებოდა „მგლებისა" და „ბორჯომის" მთავარი მწვრთნელების - **ბესიკ შეროზიას** და **გიორგი სუხიაშვილის** შანსებზეც რომ გვესაუბრა. შეგახსენებთ, რომ მცირებიუჯეტიანმა და, რაც მთავარია, სეზონის წინ უიმედო აუტსაიდერად შერაცხილმა ორივე გუნდმა ოქტომბერში მართლაც ჩინებულად ითამაშა. თუმცა, ყველაზე კარგი შედეგი „ვიტ ჯორჯიას" ჰქონდა, თანაც მეტოქეების ფაქტორიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ. „ვეტერინარებმა" ჯერ ურთულეს შეხვედრაში შეძლეს და რუსთავში „ოლიმპთან" ფრედ ითამაშეს; მერე, არანაკლებ მძიმე მატჩი მოუგეს „ზესტაფონს" - თანაც, თავდაპირველად აგებდნენ შეხვედრას; ბოლოს კი ახალციხიდან წამოიღეს სამი ქულა და ბოლო ტურამდე ერთპიროვნული ლიდერებიც იყვნენ. ასეთ შემთხვევაში კი უდიდესი დამსახურება მთავარ მწვრთნელს მიუძღვის: **რამაზ მუმლაძემ** სამივე მატჩში ოპტიმალური შემადგენლობა შეარჩია, არც ადრეულ ცვლილებებს მორიდებია და კონკრეტულ მეტოქესთან სწორად არჩეულმა ტაქტიკურმა განლაგებამაც სასურველი შედეგი მოიტანა. ნუ დაგვავიწყდება, რომ „ვეტერინარებს" ამ თვეში საკადრო პრობლემებიც მოემატათ - ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო გუნდის წამყვანმა ფეხბურთელმა **გიორგი დათუნაიშვილმა**. მუმლაძესაც ნახევარდაცვის „გადაწყობა" დასჭირდა, „ზესტაფონთან" და „მესხეთთან" მატჩებში კი თამამად ენდო ახალგაზრდა ფეხბურთელებს და მწვრთნელის არჩევანმაც გაამართლა.

### მოვლენა



ოქტომბრის კი არა, ალბათ, საერთოდ, მეოცე ჩემპიონატის უმთავრესი მოვლენა მოხდა სამი დღის წინ: „ზესტაფონის" უბერებელმა ფორვარდმა **ზურაბ იონანიძემ** საქართველოს ჩემპიონატში მეოთხასე მატჩი ჩაატარა! 36 წლის ვეტერანის ამ მიღწევას, ალბათ, დიდხანს ვერ დაემუქრება საფრთხე; ისე როგორც მის მეორე სარეკორდო მაჩვენებელს - უმაღლეს ლიგაში 210 გოლს გატანა ხომ უნდა?!.

„იონას" საფეხბურთო კარიერა ოც წელიწადზე მეტია გრძელდება და ახლა მხოლოდ ისღაა საკითხავი, ,თამაშების და გოლების რა ნიშნულზე აპირებს გაჩერებას ქართული ფეხბურთის ეს, მართლაც, დამსახურებული ვეტერანი...

### ოქტომბრის სიმბოლური ნაკრები




### ფეხბურთელი

## ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია)



წინა თვის ნომინანტად **რატი ალექსიძე** რომ დავასახელეთ, საკამათო, ალბათ, არც არაფერი იყო. აი, ოქტომბერში კი, მწვრთნელის არ იყოს, ერთდროულად რამდენიმე ფეხბურთელს თითქმის თანაბარი შანსები ჰქონდა. თითქმის ყველა მატჩში გოლი გაჰქონდათ: **ნიკა გელაშვილს** („ზესტაფონი") და **ალექსანდრე კოშკაძეს** („სიონი"); ჩინებული შთაბეჭდილება დატოვეს „მგლების" ფეხბურთელებმაც: **გიორგი გულორდავამ, ვალტერ გუჩუამ** და **გრიგოლ თოდუამ**; ოპტიმალური ფორმა დაიბრუნა „დინამოს" ფორვარდმა **მათე ვაწაძემ**; სასიამოვნო მოულოდნელობა იყო „ბორჯომის" ორი ფეხბურთელის - **ნიკა ვაშაკიძისა** და **ირაკლი კიკნაძის** შთამბეჭდავი თამაში. ნურც „ლოკომოტივის" კაპიტან **ლევან ცქიტიშვილს** დავივიწყებთ - მშვენიერ ფორმაში რომ არის და ნაკრებში დაბრუნების სამართლიანი პრეტენზიაც რომ გაუჩნდა. თუმცა, ყველაზე გამორჩეულნი, ჩვენი აზრით, „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელები - **გიორგი მელქაძე** და **ალექსანდრე კვახაძე** იყვნენ. მელქაძემ „ზესტაფონის" ძლევაში ლომის წილი შეიტანა, მერე „მესხეთთანაც" გაიტანა მატჩის ერთადერთი გოლი; რაც შეეხება მის თანაგუნდელს, ალექსანდრე კვახაძეს, „ვიტ ჯორჯიას" კაპიტანმა უალრესად სტაბილური და, რაც მთავარია, უშეცდომო თამაშით დაგვამახსოვრა თავი. სხვათა შორის, კვახაძემ საქართველოს ნაკრებშიც დამაჯერებლად ითამაშა ბულგარელების წინააღმდეგ და ეს თავდაჯერებულობა ჩემპიონატის მატჩებშიც გამოჰყვა. საერთოდაც, კვახაძის უდიდესი დამსახურებაა, რომ ოქტომბერში ყველაზე ცოტა გოლი სწორედ „ვიტ ჯორჯიამ" გაუშვა. მოკლედ, სერიოზული არჩევანის წინაშე უნდა დავმდგარიყავით: მელქაძე თუ კვახაძე? სამწუხაროდ, იმავე „მესხეთთან" მატჩში მელქაძემ, ფაქტობრივად, უწყინარ სიტუაციაში, შეხვედრაში მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედნიდან გააძევეს...

### აღმოჩენა

ამ ნომინაციას, ალბათ, უფრო სასიამოვნო მოულოდნელობა უნდა დავარქვათ; აი, ზუგდიდის „მგლებმა" და „ბორჯომმა" რომ გაგვაოცეს ოქტომბერში: ბესიკ შეროზიას გუნდმა ჯერ „ლოკომოტივს" მოუგო (თან - თბილისში!), მერე კი - „ოლიმპს"; არანაკლებ წარმატებით ითამაშა „ბორჯომმაც" - გიორგი სუხიაშვილის გუნდმა ოთხდღიან ინტერვალში ჯერ „ოლიმპს" დააკარგვინა ქულები, მერე - „ზესტაფონს". ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, რომ ყოველი ტურის მერე გამოქვეყნებულ „ლელოს" სიმბოლურ ნაკრებებში მუდამ შეხვდებოდით „მგლებისა" და „ბორჯომის" ფეხბურთელებს: გიორგი გულორდავას, ვალტერ გუჩუას, გრიგოლ თოდუას, **ვლადიმერ ჯოჯუას, ბექა შეყრილაძეს, გივი ქარქუზაშვილს, ზაზა ლაცაბიძეს,** ნიკა ვაშაკიძეს, ირაკლი კიკნაძეს...

გია **ტუხაშვილის** პროექტი

## საქართველოს ჩემპიონატი

## პირველი ლიგა

### აღმოსავლეთი

### X ტური

**ნ. დინამო-კახეთი 0:1**

0:1 ტეტიაშვილი (64)

*კალაძემ ვერ გაიტანა პენალტი (44) (ნ. დინამო)*

ნ. დინამო: გაბრიჩიძე, კალაძე, ცინცაძე, გაბუნია (61. გრიგალაშვილი), ბოკუჩავა, გურაბანიძე, ...ვთისავრიშვილი, მამარდაშვილი, ა. შენგელია (57. კ. ნაჭყებია), ქავთარაძე, ლაბარტყავა (78. დ. ...აკულია)

*სათადარიგოები: დევიძე, ნეფარიძე, ედიშე...აშვილი, ბურჭულაძე*

*მთავარი მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე*

კახეთი: ქუფარაშვილი, ხიდეშელი, ტარუ...აშვილი (19. ო. აბდულაევი), მურველიშვილი, ლ. ...ბდულაევი, ტეტიაშვილი (76. მჭედლიშვილი), ...ლიქიშვილი, კობაიძე, გენგაშვილი (83. ხამხა...), იმერლიშვილი, ძამუკაშვილი

*სათადარიგოები: ხუციშვილი, კობრიაშვი...ი*

*მთავარი მწვრთნელი: გივი კობაიძე*

გაფრთხილებები: ხიდეშელი, გენგაშვილი, ...ერლიშვილი, მურველიშვილი

არბიტრი: მ. ურუშაძე (ლანჩხუთი)

**...ერეთი-დინამო 2 0:2**

0:1 სიხარულიძე (53), 0:2 ჩიკვაიძე (60)

პერეთი: ბილიხოძე, თანდაშვილი, ლომიძე, ...რულავა, მაჭარაშვილი, შ. ლობჟანიძე, წვერავა, ...მაჭავარიანი, ბ. ფოფაძე (46. ზ. ფოფხაძე), თოფუ...ა (63. ვარამიშვილი), ყორღანაშვილი (46. გოგო...ძე)

*სათადარიგოები: გრიგოლაშვილი, გვარაძე, ...ჩსელაძე*

*მთავარი მწვრთნელი: ვლადიმერ ონიანი*

დინამო 2: ლოსაბერიძე, კეკელია, გეთიაშვი..., ჩადუნელი, ოთარაშვილი, კოპაძე (76. ქამუშა... კაკუბავა, ბოლქვაძე, ჯოხაძე (46. მამუჩიშვი...), სიხარულიძე, ჩიკვაიძე (71. ლეკვთაძე)

*სათადარიგოები: ნადირაძე, კაჭკაჭიშვილი, გ. ...ჩასელია, მამრაში*

*მთავარი მწვრთნელი: დავით კევლიშვილი*

გაფრთხილებები: გეთიაშვილი

არბიტრი: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**...ტ ჯორჯია 2-დილა 1:1**

0:1 ანდღულაძე (25), 1:1 იოსელიანი (55)

ვიტ ჯორჯია 2: მიქაბერიძე, ვეკუა, გოგიაშვი... კასრაძე, გამრეკლიძე, ფურცელაძე (42. ზაქარაძე), ვასაძე, როსტიაშვილი (80. ცხოვრებაძე), დვალაშვილი, იოსელიანი (68. ღვინიაშვილი), სვანიძე

*სათადარიგოები: იაშვილი, კახაძე, გ. ლობჟანიძე, ღურბელეიშვილი*

*მთავარი მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი*

დილა: კეჩხუაშვილი, ცოცხალაშვილი, შარანგია, თარგამაძე, ჩიხრაძე, მინდიაშვილი (87. ქარდავა), ბ. მაჭავარიანი (84. თოდუა), ანდღულაძე, ბარამიძე, ფაილოძე, ივანიშვილი (57. იჩქითი)

*სათადარიგოები: დგებუაძე, ჩერქეზიშვილი, გ. მეტრეველი, დაჩანიძე*

*მთავარი მწვრთნელი: პაატა მეტრეველი*

გაფრთხილებები: მინდიაშვილი, შარანგია

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)

**თბილისი-სიონი 2 5:1**

1:0 იობაშვილი (24. საკ. კარში), 2:0 სებისკვერაძე (50), 3:0 ზვიადაძე (51), 4:0 სებისკვერაძე (55), 5:0 მოდებაძე (70), 5:1 ალფაიძე (73)

თბილისი: გიორგობიანი, სარაჯიშვილი, ჭაფოძე, ამისულაშვილი, ბელქანია, გურეშიძე, მოდებაძე (80. სულუხია), ზვიადაძე, კბილცეცხლაშვილი (87. ნაჩეშელი), სებისკვერაძე, ხოხონიშვილი (67. აფხაზავა)

*სათადარიგოები: ვ. ლობჟანიძე, ბაბუნაშვილი*

*მთავარი მწვრთნელი: გელა გომელაური*

სიონი 2: გავაშელი, თავბერიძე (46. გაბრიჭიძე), იობაშვილი, გ. ოქროპირიძე, ჩხეტიანი (73. ჭაველაშვილი), მ. ოქროპირიძე, უგულავა, ბუბუტეიშვილი (73. გიორხელიძე), ალფაიძე, გიგინეიშვილი, ჯიქიძე

*სათადარიგოები: გურგენიძე, ბრეგვაძე, ქობულაძე*

*მთავარი მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი*

გაფრთხილებები: ჩხეტიანი, სარაჯიშვილი, ბუბუტეიშვილი

გაძევება: უგულავა

არბიტრი: ზ. ასკაროვლი (ქარელი)

**ამერი-გაგრა 2 2:0**

1:0 ხუციძე (2), 2:0 ჩიმაკაძე (72).

ამერი: ნადირაშვილი, გვაძაბია, ხატიაშვილი, კაკაბაძე, ხუციძე, ჩიმაკაძე (83. ხელაძე), ტიკურიშვილი (80. ბუმბეიშვილი), ქებაძე (46. ლაფერაშვილი), ფუტკარაძე, ბენდელიანი, ცხოვრებაშვილი

*სათადარიგოები: გვენცაძე, სანიკიძე, ჯოხაძე*

*მთავარი მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე*

გაგრა 2: ა. კოტრიკაძე, სეფიაშვილი (63. სუხიშვილი), ბ. ტეტუნაშვილი, კვანტალიანი, ა. ტეტუნაშვილი, ლალიანი, კორიფაძე, თ. მეტრეველი, ჩხაიძე (46. ოქრიაშვილი), სეთურიძე, კილაძე (46. მესხი)

*სათადარიგოები: გ. ნაჭყებია, ხოკერაშვილი, ჯალიაშვილი*

*მთავარი მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე*

გაფრთხილებები: კვანტალიანი, კორიფაძე, ხატიაშვილი

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 9 | 6 | 2 | 1 | 21-7 | 20 |
| 2. ამერი | 9 | 6 | 2 | 1 | 16-6 | 20 |
| 2. ვიტ ჯორჯია 2 | 9 | 5 | 4 | 0 | 18-3 | 19 |
| 4. დინამო 2 | 9 | 5 | 2 | 2 | 14-8 | 17 |
| 5. დილა | 9 | 4 | 3 | 2 | 14-7 | 15 |
| 6. თბილისი | 9 | 3 | 1 | 5 | 13-16 | 10 |
| 7. სიონი 2 | 9 | 2 | 3 | 4 | 14-27 | 9 |
| 8. გაგრა 2 | 10 | 2 | 2 | 6 | 13-22 | 8 |
| 9. კახეთი | 9 | 2 | 1 | 6 | 5-16 | 7 |
| 10. ნ/დინამო | 9 | 1 | 3 | 5 | 11-17 | 6 |
| 11. პერეთი | 9 | 1 | 3 | 5 | 7-17 | 6 |

**მომდევნო ტური**

**3 ნოემბერი. ორშაბათი**

სიონი 2-ამერი, კახეთი-თბილისი, დილა-ნ/დინამო, დინამო 2-ვიტ ჯორჯია 2, ჩიხურა-პერეთი

*გაგრა 2 ისვენებს*

### დასავლეთი

### X ტური

**ზესტაფონი 2-მეშახტე 3:0**

1:0 ჭელიძე (28), 2:0 იონანიძე (68), 3:0 კეჭაყმაძე (90+2. პენ)

ზესტაფონი 2: რ. კვასხვაძე, ზ. ლობჟანიძე, ბუკია, ბერუაშვილი, ბენაშვილი (46. სუხიაშვილი), ნ. კვასხვაძე (63. ხიხაძე), გ. ჭელიძე (55. კეჭაყმაძე), გორგიაშვილი, ჩიხლაძე, სტეფანიშვილი, იონანიძე

*სათადარიგოები: ძაძამია, კამლაძე, ჭანკვეტაძე, ლაბაძე*

*მთავარი მწვრთნელი: გია ნადირაძე*

მეშახტე: თ. გიორგაძე, დონაძე, ბოჭორიშვილი, ქობალია, ჯიშიაშვილი, ჭკუასელი, მაჩაიძე, გოგუა, ბ. გვეტაძე (73. წერეთელი), გვენეტაძე, ჯ. ავალიშვილი

*სათადარიგოები: თორთლაძე, ლომთაძე, კალანდაძე, ი. გვეტაძე*

*მთავარი მწვრთნელი: დავით გვენეტაძე*

გაფრთხილებები: ავალიშვილი, ჯიშიაშვილი

გაძევება: ჯიშიაშვილი

არბიტრი: თ. გვანცელაძე (სამტრედია)

**სამტრედია-ჭიათურა 4:0**

1:0, 2:0 ადეიშვილი (25, 27), 3:0, 4:0 მ. კაკალაძე (54, 61)

სამტრედია: ი. შენგელია, გოგია, სამსეიშვილი, კვესეიშვილი, ლ. მახარაძე, ნინუა, თურმანიძე (70. სუნიაევი), ჩომახიძე, ოქრუაშვილი (80. მუკბანიანი), მ. კაკალ .ძე, ადეიშვილი (65. სალაძე)

*სათადარიგოები: კეკელიძე, ეცადეიშვილი, ი. შენგელია, დარჯანია*

*მთავარი მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი*

ჭიათურა: ჩუბინიძე, ტყემალაძე, ბრუსლი, თემურ მიშველიძე, გაფრინდაშვილი, თემირ მიშველიძე (60. ბარათაშვილი), ვაშაძე (80. იობიძე), ნგოკო, გოგბერაშვილი, სარალიძე (46. ტატაშიძე), სევასტოპულო

*სათადარიგოები: ხაჩიური, ცერცვაძე, რობაქიძე, ლაშხი*

*მთავარი მწვრთნელი: გიგლა იმნაძე*

გაფრთხილებები: კვესეიშვილი

არბიტრი: გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ბაია-გურია 4:0**

1:0 წურწუმია (50), 2:0 ძალამიძე (75), 3:0 ეხვაია (79), 4:0 რაფავა (90)

ბაია: ივარდავა, გ. პაჭკორია, ჟვანია, კვეკვესკირი (81. კაკუშაძე), ძალამიძე, კუტალია (59. ეხვაია), წურწუმია (71. გუგუჩია), რაფავა, ვართაგავა, ქირია, სვირავა

*სათადარიგოები: მაქაცარია, ქაშაკაშვილი, ლ. ქობალია, ქანთარია*

*მთავარი მწვრთნელი: ჰერბერტ ცანკერი*

გურია: ხურციძე, იმნაძე, ქურიძე, ცინცაძე, ჯორბენაძე, რ. კუკულაძე, ჯაყელი (65. ტ. კუკულაძე), შენიგული (75. სულაბერიძე), მგელაძე, მოდებაძე (70. მ. კოტრიკაძე), ურუშაძე

*სათადარიგოები: გოგუაძე, ციკოლია*

*მთავარი მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი*

გაფრთხილებები: ი. ცინცაძე

არბიტრი: ა კრიჭაშვილი (თბილისი)

**მარტვილი-ტორპედო 1:0**

1:0 გოგოლაძე (63)

მარტვილი: კოდალაევი, ჩხიკვაძე (46. კირკიტაძე), ფარცვანია, ვაშაკიძე, კვიტატიანი, პაპადოპულოსი (85. ენდელაძე), წონორია, ტორაძე, ჩალაძე, გოგოლაძე, ციცხვაია (87. ცაგარეიშვილი)

*სათადარიგოები: ბერიშვილი, ციკოლია, არდაშელია, შეროზია*

*მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია*

ტორპედო: მიგინეიშვილი, გურული, ბიბილაშვილი, ხარებავა, ჭანკვეტაძე, დანელია (79. დარსაძე), კოსტავა, ბესარაშვილი, კობერიძე, იმედაძე, ა. ქობალია (46. ტიელიძე)

*სათადარიგოები: კუჭუხიძე, მეტონიძე, გ. ხარაბაძე, ტ. ხარაბაძე*

*მთავარი მწვრთნელი: კახა კარანაძე*

არბიტრი: ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი)

**ხობი-კოლხეთი (ფ) 1:0**

1:0 ლეფსაია (41 პ)

ხობი: ხარძეიშვილი, გ. გომენია, ფიფია, კვირკველია, ჯამბურია, ალანია, ლეფსაია (78. შონია), კ. გომენია, ფირცხალავა (86. ჩაჩიბაია), გაგუა, ღლონტი

*სათადარიგოები: ჭურღულია, ლატარია, ჩიტაია, გრიგოლია, თოდუა*

*მთავარი მწვრთნელი: ლევან ნოდია*

კოლხეთი (ფ): გ. შენგელია, ლუსტა, ცხვიტარია, ნარსია, გელაჭეიშვილი, აბურჯანია, გვიჩია (46. მეგრელიშვილი), ჩხარტიშვილი (46. ქანდავაძე), გოგნაძე (64. ლემონჯავა), ბაკარანძე, გ. ციკოლია

*სათადარიგოები: ჩემია, გოგელია*

*მთავარი მწვრთნელი: ზაზა ინაშვილი*

გაფრთხილებები: ლუსტა, გვიჩია, აბურჯანია

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი (ყვარელი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 9 | 7 | 1 | 1 | 18-4 | 22 |
| 2. მარტვილი | 9 | 6 | 2 | 1 | 14-6 | 20 |
| 3. კოლხეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 14-5 | 19 |
| 4. სამტრედია | 9 | 5 | 1 | 3 | 16-7 | 16 |
| 5. ჭიათურა | 10 | 5 | 1 | 4 | 17-11 | 16 |
| 6. ხობი | 9 | 3 | 3 | 3 | 7-10 | 12 |
| 7. ზესტაფონი 2 | 9 | 3 | 2 | 4 | 9-13 | 11 |
| 8. გურია | 9 | 2 | 3 | 4 | 10-18 | 9 |
| 9. ბათუმი | 9 | 2 | 2 | 5 | 10-17 | 8 |
| 10. ტორპედო 2008 | 9 | 2 | 1 | 6 | 3-7 | 7 |
| 11. მეშახტე | 9 | 0 | 1 | 8 | 5-25 | 1 |

**მომდევნო ტური**

**3 ნოემბერი. ორშაბათი**

გურია-სამტრედია, კოლხეთი-ბაია, მეშახტე-ხობი, ტორპედო 2008-ზესტაფონი 2, ბათუმი-მერანი

*ჭიათურა ისვენებს*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან






## ძოლა ხიზანიშვილს ადასტურებს

# რაღაც უნდა ვილონო...

## ხიზანიშვილი უთამაშებლობას ველარ ეგუება, ვესტ ჰემმა კი ბლექბერნთან მოლაპარაკება დაიწყო

**ზურაბ ხიზანიშვილმა** „ლელოსთან" საუბარში აღიარებს, რომ მისით „ვესტ ჰემია" დაინტერესებული. ამის შესახებ ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ვწერდით, თუმცა საქართველოს ნაკრების მცველი მაშინ აცხადებდა, რომ საქმის კურსში არ იყო...

ახლა კი, როგორც ჩანს, საქმე უკვე სერიოზულადაა, რადგან ეს ამბავი ლონდონელთა იტალიელმა მწვრთნელმა **ჯანფრანკო ძოლამაც** დაადასტურა. სააგენტო Goal.com-თან ძოლამ „ვესტ ჰემის" დაცვის გაძლიერებაზე ისაუბრა. ირკვევა, რომ „ბლექბერნიდან" ხიზანიშვილის ტრანსფერს ის პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ გზად მიიჩნევს. საქართველოს ნაკრების ვიცე-კაპიტანმა კი „სქაისპორტსთან" კომენტარში განაცხადა, რომ „ბლექბერნში" თავის მომავალს ველარ ხედავს. წერილის პატარა შესავალში ვკითხულობთ:

*„ხიზანიშვილი ფრიად მონდომებულია „ბლექბერნის" ძირითადში დამკვიდრებისთვის, რადგან მიიჩნევს, რომ 27 წლის ასაკში უთამაშებლობა მისთვის დამღუპველია. ის აღიარებს, რომ პოლ ინსის მხრიდან იგნორირებით გულნატკენია და როგორც ჩანს, ახალი კლუბის ძებნა მოუწევს".*

ამას თავად ზურაბის სიტყვები მოსდევს: *„ყველა ფეხბურთელს სურს, რომ სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს. მე რეგულარულად მსურს თამაში და არა - ხშირ შემთხვევაში სკამზე ჯდომა. 32-33 წლის ვეტერანი არ ვარ, რომ ასეთ მდგომარეობას შევეგუო. ეს უკვე აუტანელია. ადრე ვთამაშობდი, მაგრამ პოლ ინსის მოსვლის შემდეგ უკვე 9 ტურია, მოედანზე ფეხი აღარ დამიდგამს. ჩემი მომავალი მთლიანად „ბლექბერნის" ხელშია, მაგრამ იმედია, კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას შევძლებ. კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე ორწელინახევარი დარჩა. მომწონს ეს კლუბი და მასთან ერთად პრემიერლიგაში თამაში ერთი სიამოვნებაა, მაგრამ მე სათამაშო პრაქტიკა მჭირდება. ის, რაც დღეს ხდება, ჩემი არჩევანი არ არის. ამიტომაც ველი, რას გადაწყვეტს კლუბის ხელმძღვანელობა".*

ხიზანიშვილს გუშინ მანჩესტერში დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ...

- დასამალი არ არის, რომ „ვესტ ჰემი" დაინტერესებულია. ლონდონში გადასვლა ჩემი სურვილიც არის. მთავარ მწვრთნელად პოლ ინსის დანიშვნის შემდეგ არათუ თამაში აღარ მიწევს, განაცხადშიც კი იშვიათად ვხვდები. რაღაც უნდა ვილონო. თუ ვინმეს ჰგონია, რომ აქ ხელფასს ვიღებ და ესეც მაკმაყოფილებს, ძალიან ცდებიან. ჩემთვის ფეხბურთში მთავარი თავად თამაშია და არა მხოლოდ ხელფასი. რაც მარკ ჰიუზი წავიდა და ინსი დაინიშნა, თითქმის აღარ მათამაშებენ. არადა, იანვარში ახალი სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და კიდევ ორწელინახევარი „ბლექბერნს" ვეკუთვნი.

**- „ვესტ ჰემი" თქვენი კონტრაქტის გამოსყიდვას აპირებს?**

- იმედია, გამოისყიდის. ფაქტია, „ვესტ ჰემი" დაინტერესებულია და ისიც ეცოდინება, რომ „ბლექბერნთან" ჯერაც კონტრაქტი მაკავშირებს. ისე, თუ დამიჯერებთ, ბევრ რამეს თავად მეც მასმედიის საშუალებით ვიგებ.

**- ძნელი დასაჯერებელია, რომ პრესამ თქვენს მომავალზე უფრო მეტი იცოდეს...**

- ზოგიერთი დეტალი მათ ნამდვილად იციან, მაგრამ თუ საიდან, ეს ძნელი ასახსნელია. თუმცა კლუბებს შორის ჩემი ტრანსფერის გამოსყიდვაზე მოლაპარაკება რომ მიმდინარეობს, რა თქმა უნდა, ეს მეც კარგად ვიცი.

**- „ვესტ ჰემის" გარდა, ხომ არ არის სხვა ვარიანტებიც?**

- „ბლექბერნს" სხვა არავინ დაკავშირებია.

**- სხვათა შორის, ნაკრების ბოლო მატჩებში შეგეტყოთ კიდეც სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა: მოძრაობაში, პოზიციურ თამაშში...**

- რა თქმა უნდა, ასეც იქნებოდა.

**- ახლა ნაკრებსა და ექტორ კუპერზე ვისაუბროთ. ახალი მწვრთნელი, ახალი ცოცხი და ახალი იმედები... რა თვისებებს გამოარჩევდით კუპერში?**

- საქართველოს ნაკრებს სწორედ ასეთი დონის მწვრთნელი სჭირდებოდა. ამას ვამბობ აბსოლუტურად გულწრფელად და არა იმისთვის, რომ შაბლონური ფრაზებით კითხვა თავიდან ავიცილო. ბევრი სახელოვანი გვახსოვს, მაგრამ მას ვერავინ შეედრება სიმკაცრით, საქმისადმი და ფეხბურთელებისადმი ყურადღებიანი და გულიანი დამოკიდებულებით. კუპერს აქვს გამორჩეული სტილი, ტაქტიკა და სათამაშო დისციპლინა. ყველაზე მეტად ის მომეწონა, რომ მისთვის ფეხბურთელის სახელსა თუ ძველ დამსახურებას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, კონკრეტული მატჩისთვის ვინ უკეთაა მომზადებული და შემადგენლობასაც ამის მიხედვით არჩევს. სიმკაცრე ჩვენი ნაკრების მწვრთნელისთვის აუცილებელი თვისებაა. ქართველებს ნაღვილად გვჭირდება მკაცრი ხელი. ადრე სულ წუწუნებდნენ მწვრთნელები - ევროპის სოლიდურ კლუბებში მხოლოდ ხუთი-ექვსი ძლიერი ფეხბურთელი გვყავსო. კუპერმა კი, წუწუნის ნაცვლად, ძლიერი ფეხბურთელები საქართველოში მოძებნა და აღმოჩნდა, რომ კვახაძე, რაზმაძე, ოდიკაძე, გოცირიძე, ლობჟანიძე არც ერთ ლეგიონერზე ნაკლებნი არ არიან. ეს ძალიან მიხარია. ამ ბიჭებს დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლიათ. მთავარია, წინსვლა გააგრძელონ და ბევრს მიაღწევენ.

**- ტოპმიოლერს ვერც შეადარებ?**

- არ მინდა წასულ მწვრთნელზე ლაპარაკი. ჩემგან ეს არასწორი იქნებოდა. თუმცა კუპერი რომ ნაკრებში აქამდე მომუშავე ყველა უცხოელს სჯობია, ორი აზრი არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის. ის უფრო მეტად პროფესიონალი, უფრო გულიანი და მომთხოვნია. თამაშიდან თამაშამდე უკეთესობა გვეტყობა, რაც კვიპროსის შემდეგ ბულგარეთთან მატჩში გამოჩნდა. ერთი გოლი დაგვაკლდა, თორემ, ვფიქრობ, ხარისხიანი ფეხბურთი ვითამაშეთ.

**- საგოლე მომენტების რეალიზაციის დაბალი მაჩვენებელი რისი ბრალია?**

- ჩვენი თავდასხმის ხაზს რომ გადავხედოთ, სულ ახალგაზრდები არიან. მჭედლიძე 18 წლისაა, გოცირიძე 20-ის, მაგრამ ბექას უკვე დიდი გამოცდილება აქვს, ან თუნდაც მერებაშვილი... ბულგარეთსა და კვიპროსთან ყველა საგოლე მომენტი ბრძოლის ხარჯზე შევქმენით და მიმაჩნია, რომ ამ ბიჭებზე ეს უკვე დადებითად მეტყველებს.

მერაბ მამულაშვილი

ინტერვიუ გიორგი ადამიასთან

# საქართველოში რა მინდა? ხათრით ვითამაშო?

## ადამიას ევროპაში თამაში სურს

ბაქოს „ოლიმპიკის" (ერთ-ერთი უმდიდრესი აზერბაიჯანული კლუბი) მთავარმა მწვრთნელმა ასკერ აბდულაევმა გიორგი ადამიას აყვანის სურვილი გამოთქვა. როგორც ცნობილია, ბაქოს „ნეფთჩის" ახალმა დამრიგებელმა ჰანს-იორგ გედემ გუნდის ხუთი ლიდერი დუბლიორებში გადაიყვანა. დასჯილთა შორის, ადამიაც აღმოჩნდა.

ასკერ აბდულაევმა ინტერნეტგამოცემა „აზერისპორტთან" ინტერვიუში განაცხადა: „ვის არ უნდა გუნდში ადამიას დონის ფეხბურთელი?! თუკი ის ვინმეს არ მოსწონს, მე მათ რიცხვს ნამდვილად არ მივეკუთვნები. „ნეფთჩიდან" მოკვეთილებმა აზერბაიჯანულ ფეხბურთში თავიანთი სიტყვა უკვე თქვეს. თუ მათთან მოვილაპარაკებთ, სიამოვნებით ავიყვანდი „ოლიმპიკში". მთავარია, ისინი ფეხბურთზე უფრო მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე ფულზე".

გუშინ გიორგი ადამიას დავუკავშირდით და ეს ინტერვიუ ჩავწერეთ...



- გიორგი, ჰანს-იორგ გედემ დასჯილებს საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება დაგაბრალათ. ასეთი რა მოხდა?

- ამ კაცმა თავადაც არ იცის, რას გვერჩის. ხუთი ისეთი ფეხბურთელი გაგვიშვა, „ნეფთჩიში" ამინდს რომ ვქმნიდით. დუბლიორებში თამაშსა და ვარჯიშს ნამდვილად არ ვაპირებდი და წამოვედი. თითქოს, უგულოდ ვთამაშობდით, გუნდში კლიმატს ვაფუჭებდით და რაღაც მსგავსი სისულელეები მოვისმინე. ამ დროს კი, ყველა მატჩის შემდეგ, საუკეთესო შეფასებები სწორედ ჩვენ გვქონდა.

**- სეზონის მსვლელობისას, კონტრაქტიანი ფეხბურთელი ვერსად გადახვალ და გამოდის, რომ ზამთრამდე უგუნდოდ უნდა იყო?**

- სხვა რა გზაა?! დასვენება მომიწევს. ამას უკვე შევეგუე.

**- რამდენიმე კლუბმა უკვე გამოთქვა შენი აყვანის სურვილი. ლენქორანის „ხაზარისა" და ბაქოს „ოლიმპიკის" წარმომადგენლებმა ეს ღიად დააფიქსირეს. წინასწარი მოლაპარაკებები ხომ არ გქონია რომელიმე მათგანთან?**

- თითქმის ყველა ძლიერი კლუბი დამიკავშირდა, მაგრამ ჯერ არ ვიცი, სად ვითამაშებ. ეს ამბები ცუდ დროს მოხდა, სეზონი დაწყებულია და ახალ კლუბში მხოლოდ მეორე წრიდან ჩავირიცხები. ახლა მთავარია, გათავისუფლების ფურცელი ავიღო და მერე თავს როგორმე მივხედავ.

**- „ნეფთჩი" კონტრაქტის გაწყვეტაზე თანახმაა?**

- წესით, ხელი არ უნდა შემიშალონ. თუმცა ჯერ ხელმძღვანელობას უნდა დაველაპარაკო. „ხაზარსა" და „ოლიმპიკზე" რა მოგახსენოთ და, მე გეზი ევროპისკენ მაქვს აღებული. აზერბაიჯანში მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში დავრჩები.

**- ევროპაში წასვლა ადრეც შეგეძლო...**

- ნეტავ, დროზე წავსულიყავი, მაგრამ იქაც რაღაც ვერ მოგვარდა და რა უნდა მექნა?

**- საქართველოში თამაშს გამორიცხავ?**

- მაგის გაგონებაც არ მინდა! ჯერ აქამდე რა ფული ჰქონდათ კლუბებს და ახლა, ვინც მაშინ შეძლებული იყო, დღეს უკვე იმათაც უჭირთ. ხათრით თამაშს ნამდვილად არ ვაპირებ.

**- მწვრთნელის გარდა, ურთიერთობა „ნეფთჩის" ხელმძღვანელობასთანაც დაგეძაბა?**

- სანამ გერმანელი მოვიდოდა, ნორმალური ურთიერთობა გვქონდა. მერე მთელი ძალაუფლება მწვრთნელს გადაულოცეს, მაგრამ ადამია გააგდეო, კი არ უთქვამთ...

მერაბ მამულაშვილი

# გვაზავა ლუჩს ტოვებს?

წლევანდელი სეზონის დასრულების შემდეგ პრემიერლიგაში დარჩენისთვის მებრძოლ „ლუჩ-ენერგიის" რიგებში სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელიო, აღნიშნავს „სპორტ-ექსპრესი". უკვე ცნობილია იმ 8 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებიც აუცილებლად დატოვებენ შორეული აღმოსავლეთის კლუბს. „სპორტ- ექსპრესი" კიდევ ხუთი ფეხბურთელის წასვლას ვარაუდობს. მათ შორისაა ნახევარდაცვის ლიდერი **ლევან გვაზავაც**. ამ ხუთეულს სერიოზული წინადადებები ჰქონია სხვა პრემიერლიგური კლუბებისგან.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ინტერვიუ გოჩა ტყებუჩავასთან

# ესპანეთში ვაპირებ მწვრთნელობას...

## ...უმცროსი ტყებუჩავა კი ფეხბურთელობას

**თბილისის „დინამოს", „ვიტ ჯორჯიის", „თბილისის", აგარის „მეშაქრისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავა ესპანეთშია და იქ მწვრთნელად მუშაობას აპირებს, უმცროსი ტყებუჩავა კი ფეხბურთის თამაშს. მწვრთნელი ტყებუჩავა არასდროს გაურბოდა სირთულეებს, ემოციური და შრომისმოყვარე სპეციალისტის სახელი დაიბევა, თუმც ასეთი მწვრთნელისთვისაც კი ძნელი გამოდგა საქართველოში სამსახურის შოვნა და უცხოეთს მიაშურა. მას გუშინ ესპანეთში დავუკავშირდით...**

**- როგორც ვიცით, ესპანეთში, ფაქტობრივად, ალალ ბედზე ჩახვედით. ჯერ არ გამოგინახავთ კლუბი, სადაც იმუშავებთ...**

- მართლაც მსურს ესპანეთში მწვრთნელად მუშაობა და უკვე არის კიდეც რაღაც ვარიანტები. ლაპარაკია ბავშვთა გუნდებზე. B ლიცენზია მაქვს, A ლიცენზიის კურსებიც გავიარე, თუმც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მითხრეს, A ლიცენზიები უეფადან ჯერ არ გამოუგზავნიათო. მოკლედ, ველოდები ლიცენზიას და სამსახურს.

- ესპანური ენის ცოდნა აუცილებელი იქნება...

- უკვე დავიწყე ესპანურის სწავლა. ამ საკითხის მოგვარება შეუძლებელი ნამდვილად არ არის. ისე, ესპანეთში, პირველ რიგში, ჩემი შვილის გამო წავედი.

**- რას გულისხმობთ?**

- ლევანი კლუბ „ვილიაოისის" 19-წლამდელთა გუნდში ვარჯიშობს, გასინჯვაზე მივიყვანეთ და მოეწონათ. ეს გუნდი ვალენსიის ზონაში თამაშობს, ქალაქ ბენიდორმის გუნდია.

**- როდის გადაწყდება ამ კლუბში მისი ჩარიცხვის საკითხი?**

- წმინდა სპორტული თვალსაზრისით ეს პრობლემა არ უნდა იყოს, თვითონ კლუბია დაინტერესებული იმით, რომ ლევანს თამაშის უფლება ჰქონდეს. არაევროკავშირელებს საამისოდ ფორმალური პრობლემები აბრკოლებთ და ჩვენც ამ დღეში ვართ. მოკლედ, ველოდებით, როდის შეგროვდება ყველა საჭირო საბუთი.

**- და მაინც, როგორ აღმოჩნდით ესპანეთში?**

- მეგობრებმა გვირჩიეს აქ ჩამოსვლა. ჯერ არ ვიცი, რამდენ ხანს დავრჩებით აქ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა და როგორ მოგვარდება.

დავით თავართქილაძე

იტალია. სერია A. IX ტური

# იუვე-რომა ტოტის გარეშე

| დღეს | |
|---|---|
| რეჯინა-ინტერი | 21:00 |
| იუვენტუსი-რომა | 23:30 |
| **ხვალ** | |
| ატალანტა-ლეჩე | 18:00 |
| კალიარი-ბოლონია | 18:00 |
| ლაციო-კატანია | 18:00 |
| პალერმო-კიევო | 18:00 |
| სამპდორია-ტორინო | 18:00 |
| სიენა-ფიორენტინა | 18:00 |
| უდინეზე-ჯენოა | 18:00 |
| მილანი-ნაპოლი | 23:30 |

ამ უქმეებზე იტალიის ჩემპიონატში რიგით მეათე ტური გაიმართება. წინასწარი ვარაუდით, ძალიან საინტერესო მატჩები უნდა შედგეს, განსაკუთრებით კი ორი პაექრობა გამოირჩევა. შაბათ საღამოს ტურინში „იუვენტუსი“ „რომას“ უმასპინძლებს, კვირას კი „სან სიროზე“ „მილანი“ პირველობის ერთ-ერთ ლიდერს, „ნაპოლის“ მიიღებს.

ტურინული მატჩით დავიწყოთ. მოფერიანებული „იუვენტუსი“ „ოლიმპიკოზე“ კრიზისში მყოფ „რომას“ უმასპინძლებს და შეეცდება, წარმატებული სვლა კიდევ ერთი მატჩით გაზარდოს. ასეთი წარუმატებელი სტარტი „ჯალოროსის“ ათი წელია არ ჰქონია და ბუნებრივია, ტიფოზები მდგომარეობის გამოსწორებას უახლოეს პერიოდში ითხოვენ. იტალიურ პრესაში „რომას“ ირგვლივ უამრავი სტატია იწერება, საკუთარ მოსაზრებას აფიქსირებს ყველა, ვისაც ფეხბურთზე აზრი დაეკითხება. ერთ-ერთ წინა ნომერში გამცნეთ, რომ **ლუჩანო სპალეტის** ტაქტიკის შეცვლისკენ მოუწოდეს და 4-4-2-ზე დაბრუნება შესთავაზეს. მაგრამ ტრავმის გამო დღეს **ფრანჩესკო ტოტი** ვერ ითამაშებს და ამიტომ სპალეტი იძულებულია, წინა ხაზზე მხოლოდ **მირკო ვუჩინიჩი** გაამწესოს, ცოტა უკან კი, ალბათ, **ჟულიო ბაპტიშტას** ვიხილავთ. ნახევარდაცვაში ოთხი ფეხბურთელი იმოქმედებს, სავარაუდოდ - **დავიდ პისარო, როდრიგო ტადეი, დანიელე დე როსი და სიმონე პეროტა.**

სამზადისია ტურინელთა ბანაკშიც, „იუვე“ სამი ქულის ასაღებად და სატურნირო მდგომარეობის გამოსასწორებლად ემზადება. მართალია, „ვეკია სენიორამ“ კრიზისი დაძლია, მაგრამ ეს ჯერჯერობით ცხრილში გუნდის პოზიციაზე არ ასახულა. დაგვეთანხმებით, „იუვენტუსისთვის“ მე-9 ადგილი უჩვეულოა. **კლაუდიო რანიერი** კვლავაც **კარვალიო ამაური-ალესანდრო დელ პიეროს** დუეტს ენდობა და ჯერჯერობით, თავდამსხმელებიც უმართლებენ იმედებს. „გაძეტაში“ “ბებერი ქალბატონის” შემტევ წყვილზე საგანგებო სტატიაც გამოქვეყნდა, სადაც ორივე ფორვარდი ქებით ცაშია აყვანილი. ჟურნალისტი არც იმას გამორიცხავს, რომ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე “სკუადრა აძურის” თავდასხმის ხაზი სწორედ ამაურიმ და დელ პიერომ დააკომპლექტონ. თურმე, რამდენიმე დღის წინ კარვალიოს **მარჩელო ლიპისთან** უსაუბრია და იტალიის ეროვნულ გუნდში თამაშის სურვილი გამოუთქვამს. აღნიშნულ თემაზე ლიპიმ პრესასთანაც ისაუბრა და განაცხადა, რომ ამაურის გამოძახებას წინ მხოლოდ ბიუროკრატიული პროცედურები უდგას. უმჯობესია, „ოლიმპიკოზე“ გასამართ მატჩსა და „იუვენტუსს“ დავუბრუნდეთ. კლაუდიო რანიერი ნახევარდაცვაში ოთხ ფეხბურთელს დაეყრდნობა: **მარკო მარკიონის, მოჰამედ სისოკოს, ტიაგო მენდეშისა** და **პაველ ნედვედს**, ამ უკანასკნელმა წინა ტურში „ბოლონიის“ კარში ორი გოლი გაიტანა და მატჩის გმირი გახდა. ერთი სიტყვით, „ოლიმპიკოზე“ ძალიან საინტერესო მატჩი შედგება, რომელიც ბევრ კითხვას გასცემს პასუხს.

ტური „სან სიროზე“ დაგეგმილი პაექრობით დასრულდება. ერთმანეთის პირისპირ ცხრილში მეორე და მესამე პოზიციაზე გამაგრებული გუნდები წარდგებიან. „მილანიც“ და „ნაპოლიც“ ალმავლობის გზაზე არიან. წესით, უშელავათო ორთაბრძოლის მომსწრენი უნდა გავხდეთ. „როსონერი“ მოსაგებად არის განწყობილი, რაზეც კარლო ანჩელოტის სიტყვებიც მეტყველებს: *„ძლიერ მეტოქესთან მოგვიწევს შერკინება, რომელიც აგრესიულ ფეხბურთს ითამაშებს და არაფერს დაგვითმობს. ედუარდო რეიას მისამართით კომპლიმენტები მინდა გამოვთქვა, მან დიდებული გუნდი ჩამოაყალიბა, რომელსაც ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან ტოლ-სწორად ძალუძს ასპარეზობა. ჩვენი მხრივ, ამ მატჩისთვის სრულ მზადყოფნაში ვართ. კვლავაც ვაგრძელებ როტაციის პრინციპს და ფეხბურთელებს მორიგეობით ვასვენებ. ინძაგიმ ბოლო თამაშებში დიდებული შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პიპო „ნაპოლისთან“ აუცილებლად სასტარტოში იქნება. კმაყოფილი ვარ ბორიელოსა და პატოს ასპარეზობითაც“.*

ჟურნალისტთა აზრით, „ნაპოლის“ კარლეტო 4-3-2-1 სისტემას დაუპირისპირებს. ძირითადში ბრუნდება **რონალდინიო**, რომელიც **კაკასთან** ერთად სიღრმიდან ითამაშებს, გამოკვეთილი ფორვარდის ფუნქციას კი **მარკო ბორიელო** შეასრულებს. **ფილიპო ინძაგი,** სავარაუდოდ, სათადარიგო იქნება. მას ანჩელოტი საჭიროებისამებრ გამოიყენებს.

ამასობაში, ნეაპოლი ჭკუიდანაა შეშლილი. ხანგრძლივი ძილის შემდეგ „ნაპოლიმ“ გამოიღვიძა და სერია A-ში ლიდერის პოზიცია დაიკავა. ნეაპოლელებმა „რეჯინასთან“ მოპოვებული გამარჯვება ქალაქის ქუჩებში აღნიშნეს, ეს უკვე ეიფორიააო, წერენ იტალიელები. ადვილი წარმოსადგენია, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ რეიას შეგირდები “სან სიროზე” იძალებენ და მორიგ სამ ქულას აიღებენ. ისე, წესით, სამხრეთელებმა არც ქულაზე უნდა თქვან უარი. ნეაპოლში ფეხბურთელების გვარები ყველას პირზე აკერია: **მარეკ ჰამშიკი, ეზეკილ ლავეცი** და უკვე **ხერმან დენისიც**. არგენტინელმა შემტევმა „რეჯინას“ სამი გოლი გაუტანა და გუნდს მორიგი გამარჯვება მოუტანა. რეია შემტევ ტაქტიკას არც „სან სიროზე“ უღალატებს, ზემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელები კვლავაც სასტარტო შემადგენლობაში იქნებიან. დენისმა პრესას შემდეგი განუცხადა: *„მთავარი ჩემი გოლები არ არის. უპირველესი მიზანი გამარჯვებაა და მიხარია, რომ ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. წინ ურთულესი მატჩი გვაქვს და ყველანი მობილიზებულნი ვართ. ჩემი აზრით, „მილანი“ მიმდინარე ჩემპიონატის ფავორიტია და ამ გუნდთან თამაში განსაკუთრებულ ძალისხმევას საჭიროებს. რისთვის მივდივართ მილანში? - იმისთვის, რომ ნეაპოლელები კიდევ ერთხელ გავახაროთ“.*

ძალიან საინტერესო მატჩი გაიმართება „ფრიულიზე“. ჩემპიონატის კიდევ ერთი ლიდერი „უდინეზე“ კერკეტ „ჯენოას“ უმასპინძლებს. უდინური გუნდის გულშემატკივართათვის სასიხარულო ამბავი გვაქვს, ბრუნდება **ანტონიო დი ნატალე**, ტოტო კვირის შეხვედრას სასტარტო შემადგენლობაში დაიწყებს. ძირითადში იქნებიან **სიმონე პეპე და ფაბიო კვალიარელა.** ერთი სიტყვით, „უდინეზე“ შემტევ ფეხბურთს ითამაშებს და ეცდება, ლიდერობა კიდევ მინიმუმ ერთი ტურით გაიხანგრძლივოს.

საინტერესო გუნდია „ჯენოა“. გენუელებმა საკუთარ მოედანზე გამართული ხუთი მატჩიდან ხუთივე მოიგეს, სამაგიეროდ, გასვლაზე მოიკოჭლებენ - ოთხი პაექრობიდან მხოლოდ ერთი ქულა. საგულისხმოა, რომ ერთადერთი ფრე „სტადიო მარასის“ ბინადრებმა „ინტერთან“ მოიპოვეს. „ჯენოაში“ რამდენიმე უმაღლესი კლასის ვარსკვლავი თამაშობს, მათ შორის **დიეგო მილიტო** და **ტიაგო მოტა**, ამ უკანასკნელმა გასულ ტურში გოლიც კი გაიტანა. ასე რომ, „ფრიულიზე“, წესით, ძალიან დაძაბული და დრამატული მატჩი უნდა ვიხილოთ.

ტური კალაბრიული პაექრობით იხსნება. პირველობის აუტსაიდერ „რეჯინას“ „ინტერი“ სტუმრობს. „ნერაძურიმ“ უკანასკნელ ორ ტურში მხოლოდ ორი ქულის აღება მოახერხა და სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზე დაეშვა. იტალიელი ჟურნალისტების აზრით, დაკარგული ქულები ფორვარდთა უნიათო თამაშით გახლავთ განპირობებული. კვლავ დაძაბულობაა **ჟოზე მოურინიოსა** და **ადრიანოს** შორის. როგორც ამბობენ, პორტუგალიელმა ბრაზილიელის ბოდიში არ მიიღო და კვლავაც აგრძელებს მის იგნორირებას. ადრიანოს არყოფნაში ძირითად შემადგენლობაში **მარიო ბალოტელის** უნდა ველოდეთ, შავკანიანი ფორვარდი ბოლო ხანს დაიჩაგრა და მოედანზე გამოსვლა იშვიათად უწევს.

ბოლოს ორი სიტყვა ტოსკანურ დერბიზეც ვთქვათ. **ჩეზარე პრანდელი** რთულ მდგომარეობაშია. მას ორი წამყვანი ფორვარდის გარეშე უწევს ფონს გასვლა. „ვიოლას“ სარჩელი **ჯილარდინოსთვის** დისკვალიფიკაციის მოხსნასთან დაკავშირებით, ფედერკალჩომ არ დააკმაყოფილა, **ადრიან მუტუ** კი ტრავმირებულია. ფლორენციელები ერთი გამოკვეთილი ფორვარდით შეუტევენ, პრანდელი სასტარტოში **პაცინის** გაამწესებს, **ოსვალდო** კი სათადარიგო იქნება.

**ლაშა წიკლაური**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უდინეზე | 9 | 6 | 2 | 1 | 17-6 | 20 |
| 2. ნაპოლი | 9 | 6 | 2 | 1 | 14-7 | 20 |
| 3. მილანი | 9 | 6 | 1 | 2 | 14-7 | 19 |
| 4. ინტერი | 9 | 5 | 3 | 1 | 13-5 | [illegible] |
| 5. ფიორენტინა | 9 | 5 | 2 | 2 | 12-7 | 17 |
| 6. ლაციო | 9 | 5 | 1 | 3 | 17-12 | 16 |
| 7. ჯენოა | 9 | 5 | 1 | 3 | 12-8 | 16 |
| 8. კატანია | 9 | 4 | 3 | 2 | 9-7 | 15 |
| 9. იუვენტუსი | 9 | 4 | 3 | 2 | 9-7 | 15 |
| 10. ატალანტა | 9 | 4 | 1 | 4 | 9-9 | 13 |
| 11. პალერმო | 9 | 4 | 1 | 4 | 12-14 | 13 |
| 12. ლეჩე | 9 | 2 | 4 | 3 | 9-11 | 10 |
| 13. სიენა | 9 | 2 | 3 | 4 | 7-8 | 9 |
| 14. ტორინო | 9 | 2 | 2 | 5 | 9-13 | 8 |
| 15. სამპდორია | 8 | 1 | 4 | 3 | 6-11 | 7 |
| 16. რომა | 8 | 2 | 1 | 5 | 9-15 | 7 |
| 17. კალიარი | 9 | 2 | 1 | 6 | 5-12 | 7 |
| 18. ბოლონია | 9 | 2 | 0 | 7 | 7-14 | 6 |
| 19. კიევო | 9 | 1 | 3 | 5 | 6-13 | 6 |
| 20. რეჯინა | 9 | 1 | 2 | 6 | 6-16 | 5 |

ინტერვიუ

ალეშანდრე პატოსთან

# მილანი ერთი გუნდია

## როსონერიში ბექჰემის ჩასვლას მოუთმენლად ელოდებიან


ალეშანდრე პატო

**19 წლის ბრაზილიელმა ვარსკვლავმა ინტერვიუ მისცა ESPN-ის იტალიურ წარმომადგენლობას, სადაც სიამოვნებით ლაპარაკობს გუნდში დევიდ ბექჰემის გამოჩენის პერსპექტივაზე (ინტერვიუ აღებულია იქამდე, ვიდრე გალაქტიკოს “როსონერიში” გადასვლა საბოლოოდ გადაწყდებოდა), პასუხობს დაუნდობელ კრიტიკას, იხსენებს მის მიერ გატანილ საუკეთესო გოლებს და გამოთქვამს ვარაუდს, რომ რონალდინიო ძველ მწვერვალებს დაუბრუნდება, ხოლო “მილანი” ხუთწლიანი პაუზის შემდეგ მე-18 სკუდეტოს მოიგებს. მაშ ასე, ალეშანდრე პატო...**

**- რას ფიქრობთ დევიდ ბექჰემის “მილანში” გადმოსვლაზე?**

- ყველა მოუთმენლად ველოდებით ამ მოვლენას. ინგლისელი ფეხბურთელი თავისი აურით გამარჯვებულია და რა თქმა უნდა, ჯილდოების მოგებაში დიდ დახმარებას გაგვიწევს. მისი მოსვლით “მილანი” ვარსკვლავთა კრებულად იქცევა. თუმცა დევიდს ძირითადში მოსახვედრად ბრძოლა მოუწევს.

**- შარშან ცენტრფორვარდად თამაშობდით, წელს კი ანჩელოტიმ პოზიცია შეგიცვალათ და თავდამსხმელების უკან გათამაშებთ. როგორც ჩანს, მოედანზე ეს ადგილი თქვენთვის უფრო ხელსაყრელისია. თუმცა ხანდახან გული ისევ წინ მიგიწევთ. მაგალითად, მილანურ დერბიში ძალიან ხშირად შეტევის პირველ ხაზზე გხედავდით.**

- შეიძლება, მოგეჩვენოთ, რომ უცნაურ რამეს ვამბობ, მაგრამ მინდორზე საყვარელი პოზიცია არ მაქვს: მთავარია, შეტევაში ვთამაშობდე, დანარჩენი მეორეხარისხოვანია.

**- სეზონის დასაწყისში დიდხანს ვერ ახერხებდით პირველი გოლის გატანას და რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ამის გამო ცოტა შეშფოთებულიც კი იყავით. რას გრძნობდით იმ წამს, როცა “ციურიხს” საჯარიმოდან გოლი გაუტანეთ? ანდაც “სან სიროზე”...**

- რაც მთავარია, საკუთარი ძალების რწმენა არ დამიკარგავს. თუმცა გოლის გატანა და მერე მთელი გუნდის მიერ მოლოცვა მართლა სასიამოვნო იყო. ჩემპიონატის სასტარტო ტურებში წარუმატებელი თამაშის შემდეგ ჩვენ კრიტიკის ქარცეცხლი დაგვატყდა. შეიძლება ითქვას, რომ პირადად ჩემთვის ეს იყო უიღბლო პერიოდის დასრულების ნიშანი.

**- ახლა საქმეები აშკარად გამოსწორდა, მაგრამ “ატალანტასთან” (1:0), “სიენასთან” (2:1) და, თუნდაც “სამპდორიასთან” (3:0) ანგარიშის მიუხედავად, ვერავინ იტყვის, რომ ეს თამაშები “როსონერიმ” იოლად მოიგო.**

- არა, მე ასე არ ვიტყოდი. მაგალითად, “სიენასთან” უბრალოდ, პირველ ტაიმში ვერ მოვახერხეთ გატანა. ეს რომ მოგვეხერხებინა, ბევრად ადვილად შევძლებდით თამაშის სადავეების მართვას.

**- დროდადრო “მილანი” არითმიულ ფეხბურთს აჩვენებს, მეთანხმებით?**

- თამაშს როგორ წარვმართავთ, ეს მეტოქეზეა დამოკიდებული. როცა ვეთამაშებით გუნდს, რომელიც თავს 10 კაცით იცავს, თავისუფალი სივრცის გამონახვა ძალზე ძნელია. ფრთების გაშლა და ლამაზი ფეხბურთი ასეთ დროს არ გამოდის. მსგავს თამაშებში ერთი გოლის გატანა საკმარისი ხდება ხოლმე.

**- აღიარებულია, რომ თქვენ დიდი ტალანტის პატრონი ხართ. თქვენს ანგარიშზე წელს უკვე 2 გოლია სერია A-ში, მაგრამ სადღაც შეიძლება წააწყდე კიდეც სტატიას, სადაც მავანი ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ თქვენ ვერ ერგებით გუნდის ტაქტიკასა და თამაშის სტილს. რამდენად ეთანხმებით ასეთ შეფასებას?**

- რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები. მე ძალიან ბევრს ვმუშაობ გუნდის ინტერესებისთვის. ანუ ვაკეთებ სწორედ იმას, რასაც ჩემგან მწვრთნელი და გამოცდილი თანაგუნდელები ითხოვენ. კლუბში ჩემით ყველა კმაყოფილია. ეტყობა, ეს ჟურნალისტები არიან პატოთი უკმაყოფილონი და არ ენდობიან მას.

**- გასაგებია, მაგრამ დაგვეთანხმეთ, რომ “სამპდორიის” წინააღმდეგ პირველივე ტაიმში შეგცვალეს და შეხვედრის ბედი მოედანზე თქვენ მაგივრად შემოსულმა კაკამ გადაწყვიტა. შეიძლება თუ არა კაკა “როსონერის” საუკეთესო ფეხბურთელად დავასახელოთ.**

- რა თქმა უნდა, ის ბრწყინვალე ფეხბურთელია. კაკა გუნდის წამყვანი მოთამაშეა, თუმცა გარწმუნებთ, რომ არც ერთ ფეხბურთელს მარტო არ შეუძლია შეხვედრის ბედის გადაწყვეტა. კარგად დაზეთილი გუნდური მექანიზმის გარეშე ბევრს ვერაფერს მივაღწევთ. საბედნიეროდ, “მილანში” უამრავი ძლიერი ფეხბურთელია.

**- “მილანის” ფიზიკური მომზადების მწვრთნელი დანიელე ტონიჩინი ამტკიცებს, რომ რონალდინიო საუკეთესო ფორმაში ნელ-ნელა შედის, მაგრამ ნახევარი მანძილი ჯერ კიდევ გასავლელი აქვს. მის ანგარიშზე უკვე 3 გოლი და ერთი საგოლე პასია. რა მოხდება თუკი ის ძველ, “ბარსელონის” დროინდელ ფორმას დაუბრუნდება?**

- უზომოდ მოხარული ვარ, რომ რონი ნელ-ნელა ისევ პოულობს საკუთარ თავს. ის ყოველ ვარჯიშზე როგორც გადარეული, ისე მუშაობს. მუდმივად ცდილობს გუნდში უფრო კარგად ჩაჯდეს. თანდათან პროცესი გაღრმავდება და “მილანისთვის” ეს ძალიან კარგი იქნება. ჩვენ რონის საუკეთესო ფორმა ძალიან გვჭირდება.

**- და რონალდინიოსა და კაკას ჩრდილში მოქცევა არ გაშინებთ? არ დაგვავიწყდეთ, რომ ორივე მათგანი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად იყო დასახელებული.**

- მედალს ორი მხარე აქვს. მეორე მხრივ, ეს გუნდისთვის არის სასარგებლო, “მილანი” ძალიან შეკრული გუნდია.

**- ეთანხმებით ანჩელოტის, რომელმაც განაცხადა ერთადერთი გუნდი, რომელსაც შეუძლია “ინტერს” სკუდეტოში შეეცილოს, ეს “მილანიაო”?**

- ჯერ ამ თემაზე ლაპარაკი უაღრესად ადრეა. საჩემპიონო შანსი ჯერ არავის დაუკარგავს. “იუვენტუსი”, “ფიორენტინა”, კრიზისის მიუხედავად “რომა” - ყველა მათგანს შეუძლია ოქროსთვის ბრძოლა.

**- რას უპასუხებდით ზლატან იბრაჰიმოვიჩს, რომელიც ამტკიცებს, რომ “ნერაძური” “მილანზე” ბევრად ძლიერია და სკუდეტოს ისევ ადვილად მოიგებს.**

- რა გითხრათ, აბა? ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს. ყველაფერი ფინიშისკენ გაირკვევა. ერთი რამ ცხადია, “მილანი” ბოლომდე ბრძოლას აპირებს.

**- რომელია თქვენი საუკეთესო გოლი კარიერაში?**

- სამის გამოყოფა შემიძლია. საჯარიმო “ციურიხის” კარში, რომელიც თავად გაიხსენეთ, ასევე “ფიორენტინისა” და “ნაპოლის” კარებში გატანილი გოლები “სან სიროზე”. გარწმუნებთ, კარიერის საუკეთესო გოლი ჯერ არ გამიტანია, მე ამას მომავალში ვგეგმავ.

**- რონალდო ისევ თქვენი კერპია?**

- ასეთადვე დარჩება ცხოვრების ბოლომდე. სადაც არ უნდა ითამაშოს, იტალიასა თუ ბრაზილიაში, ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ ცხოვრებასა თუ კარიერაში.

**- მართალია თუ არა, რომ ემერსონის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ხარ?**

- ის ყველაფერში მეხმარება როგორც მინდორზე, ისე მის მიღმა. მისთვის ათასი მადლობა მაქვს სათქმელი. დარწმუნებული ვარ, მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა *(ემერსონი პატოზე 13 წლით უფროსია)*, ცხოვრების ბოლომდე მეგობრებად დავრჩებით.

**- უკვე ერთი წელიწადია, რაც იტალიაში ცხოვრობთ, რა მოგეწონათ ყველაზე მეტად?**

- რა თქმა უნდა, აქაური საჭმელი. იმ რესტორნებში, სადაც ბიჭებთან ერთად დავდივარ, უამრავ გემრიელ კერძს ვპოულობ ხოლმე.

**- რამე განსაკუთრებულზე თუ ოცნებობთ?**

- განსაკუთრებულზე არაფერზე. ბევრი ტიტულის მოგებაზე კი ვფიქრობ. ასევე მინდა, ოდესმე “ოქროს ბურთი” მოვიგო.

**- დაბოლოს, ვის დარჩება სკუდეტო?**

- “მილანს” *(იღიმება)*.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XI ტური

# ივაჟკაცებს კარლსრუე?

## სამი დერბი ერთ ტურში: ბადენური, რურისა და ჩრდილოეთის

| | |
|---|---|
| **გუშინ** | |
| ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 2:0 |
| **დღეს** | |
| ვერდერი-ჰერტა | 18:30 |
| კოტბუსი-შალკე | 18:30 |
| ჰოფენჰაიმი-კარლსრუე | 18:30 |
| ბაიერნი-არმინია | 18:30 |
| ჰანოვერი-ჰამბურგი | 18:30 |
| შტუტგარტი-კიოლნი | 18:30 |
| **ხვალ** | |
| ბორუსია (დ)-ბოხუმი | 20:00 |
| ბორუსია (მ)-აინტრახტი | 20:00 |

3:1, 3:0, 5:2, 2:1 - ეს ის ანგარიშებია, რაც „ჰოფენჰაიმმა" ბოლო ოთხ მატჩში დააფიქსირა და თანაც, ოთხივე თავის სასარგებლოდ. სწორედ ამიტომ, ათი ტურის შემდეგ ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილს სწორედ **რალფ რანგნიკის** შეგირდები ლიდერობენ. დღეს „ჰოფეს" მეტოქე **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუეა". მოდით, ბარემ **ედი ბეკერის** ბოლო ოთხ შედეგსაც გადავხედოთ: 0:3, 0:1, 1:2 და 0:1 - ანუ, „კარლსრუემ" ზედიზედ ოთხი თამაში წააგო. შეგახსენებთ, რომ ეს მატჩი ბადენური დერბი გახლავთ. ერთი შეხედვით, წინდაწინვე ცნობილი უნდა იყოს, თუ როგორ დასრულდება შეხვედრა, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ არც ერთი სერია არ არის მუდმივი და ნებისმიერი მათგანი ოდესღაც წყდება.

დღესვე ჩრდილოური დერბია ჰანოვერში, სადაც „წითლები" „ჰამბურგს" მასპინძლობენ. ფავორიტად **მარტინ იოლის** გუნდი უნდა მივიჩნიოთ, რომელმაც წინა ტურში „შტუტგარტი" უმძიმეს ბრძოლაში 2:0 დაამარცხა. „ჰანოვერი" კი არც თუ სახარბიელო ვითარებაშია - „96" ოთხშაბათს „ჰერტასთან" განადგურდა (0:3). მაგრამ „ჰანოვერის" მთავარი მწვრთნელი **დიტერ ჰეკინგი** მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი, მას სჯერა, რომ „ჰამბურგთან" 3 ქულის მოპოვება ძალზე რეალურია.

მიუნხენის „ბაიერნი" ბილეფელდის „არმინიას" მასპინძლობს და მას მერე, რაც „რეკორდმაისტერი" ფორმაში შევიდა, ძალიან ცოტას თუ სჯერა იმის, რომ „არმინია" „ალიანს არენიდან" თუნდაც ქულის წაღებას მოახერხებს. თავად განსაჯეთ, ბილეფელდელებმა მიუნხენიდან ქულა ბოლოს 1985 წელს წაიღეს (3:3) და მას მერე ყოველთვის მარცხდებიან. თანაც, ბავარიელებმა ბუნდესლიგაში ზედიზედ სამი თამაში მოიგეს. ცხადია, **იურგენ კლინსმანისა** და მისი გუნდისთვის მხოლოდ გამარჯვება იქნება მისაღები შედეგი.

ბრემენის „ვერდერი" ბერლინის „ჰერტას" მასპინძლობს. შეიძლება ითქვას, გუნდებს როლები აქვთ გაცვლილი. ბერლინელები დღესდღეობით იქ არიან, სადაც, წესით, ბრემენელები უნდა იყვნენ - ლიდერებს შორის. „ვერდერი" კი ცხრილში ჩაიკარგა, მე-10 ადგილზეა. **თომას შააფის** გუნდი კრიზისშია. „მუსიკოსებს" **დიეგო** აკლდათ და შააფისადმი დასმულ შეკითხვას, არის თუ არა ბოლოდროინდელი წარუმატებლობები ბრაზილიელის არყოფნის ბრალიო, ის ცივად პასუხობს: *„არა, ჩვენ ხომ მოედანზე 11 ფეხბურთელით გავდივართ!"* დღევანდელი მატჩისთვის შააფს **დიეგოც** უბრუნდება და **კლაუდიო პისაროც**. ბრემენელთა გენერალურ მენეჯერ **კლაუს ალოფსს** უკვე მოთმინების ფიალა აევსო, მან განაცხადა, მნიშვნელობა არა აქვს, როგორ და რანაირად, თამაში უნდა მოვიგოთო.

„შტუტგარტი" გასულ ტურში ჰამბურგში დამარცხდა (0:2) და ფაქტია, რომ **არმინ ფეეს** სამწყსოს მეტი შეეძლო. შავაბები ვითარების გამოსწორებას დღეს „კიოლნთან" შეხვედრაში შეეცდებიან. ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ზედიზედ მეხუთე თამაში მოიგონ. „კიოლნს" ზედიზედ სამი მატჩი ჰქონდა მოგებული, მაგრამ **კრისტოფ დაუმის** ბიჭებმა ოთხშაბათს დორტმუნდის „ბორუსიასთან" ძალიან ცუდად ითამაშეს და 0:1 დამარცხდნენ.

„კოტბუსში" განგაშის ზარებს შემოჰკრეს. „ენერგი" 6 ქულით ბოლო ადგილზეა და თუ სასწრაფოდ ქულების დაგროვება არ დაიწყო, მეორე ბუნდესლიგაში გავარდნის რეალური კანდიდატი იქნება. მენეჯერი **შტეფენ ჰაიდრიხი** ამბობს, ბილეფელდში მოპოვებული ქულა (1:1) მორალურად დიდი საქმე გახლდათო. დღეს „კოტბუსის" მეტოქე გელზენკირხენის „შალკეა" და ცხადია, კოტბუსელებს ძალიან კარგად ახსოვთ შარშანდელი სეზონი, როცა **ლევან კობიაშვილისა** და **ლევან ყენიას** გუნდი შინ კუდამოძუებული გაუშვეს - „ენერგიმ" ის თამაში 1:0 მოიგო. „შალკეს" ფანებს **კევინ კურანის** ფორმაში შესვლა ახარებთ - გერმანიის ნაკრებიდან გამოძევებული თავდამსხმელი წინა ტურში, „კარლსრუესთან" მოპოვებული გამარჯვების გარანტი იყო. სხვათა შორის, კევინსაც ძალიან კარგად ახსოვს შარშანდელი სეზონი, როცა „კოტბუსს" საპასუხო მატჩში 4 გოლი გაუტანა, მატჩი კი 5:0 დასრულდა.

დიდი ხანია, დორტმუნდის „ბორუსია" ასეთი სტაბილური აღარ ყოფილა. „შავ-ყვითლებს" 4 მოგება, 5 ფრე და მხოლოდ ერთი მარცხი აქვთ. შედეგად, „დორტმუნდი" „შალკესთან" ერთად მე-6-7 ადგილებს იყოფს. ხვალ, **იურგენ კლოპის** სამწყსოს „რურის მცირე დერბი" აქვს „ბოხუმთან" და კლოპს უნდა, რომ მისმა გუნდმა ზუსტად ისეთივე კონცენტრაციითა და მონდომებით ითამაშოს, როგორც კიოლნში, სადაც ვესტფალიელებმა 1:0 იმარჯვეს. ცხადია, ასეთი თამაში მოგების გარანტიას არ იძლევა, მაგრამ კლოპის აზრით, მთავარი შემართებაა. **მარსელ კოლერის** „ბოხუმმა" შუა კვირაში „ჰოფენჰაიმთან" 1:3 წააგო და დღეს ბოხუმელებს დისკვალიფიცირებული **დაბროვსკიც** არ ეყოლებათ, რომელიც „ჰოფესთან" მატჩში გააგდეს. კოლერი მის ნაცვლად, სავარაუდოდ, **ცდებელს** ათამაშებს.




ვერდერს ჰერტასთან მატჩისთვის დიეგო (მარჯვნივ) უბრუნდება

**ჰანს მაიერის** დანიშვნის შემდეგ, მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" ერთი თამაში მოიგო და ერთი წააგო. დღეს „რკინის ჰანსის" ბიჭები უშუალო კონკურენტ ფრანკფურტის „აინტრახტს" მიიღებენ და აღსანიშნავია, რომ „გლადბახს" ძირითადი მეკარე **ჰაიმეროთი** უბრუნდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევერკუზენი | 11 | 8 | 0 | 3 | 26-11 | 24 |
| 2. ჰოფენჰაიმი | 10 | 7 | 1 | 2 | 27-15 | 22 |
| 3. ჰამბურგი | 10 | 6 | 2 | 2 | 17-15 | 20 |
| 4. ბაიერნი | 10 | 5 | 3 | 2 | 22-16 | 18 |
| 5. ჰერტა | 10 | 5 | 3 | 2 | 14-10 | 18 |
| 6. შალკე | 10 | 4 | 5 | 1 | 15-8 | 17 |
| 7. ბორუსია (დ) | 10 | 4 | 5 | 1 | 18-15 | 17 |
| 8. ვოლფსბურგი | 11 | 4 | 4 | 3 | 23-18 | 16 |
| 9. შტუტგარტი | 10 | 5 | 1 | 4 | 15-12 | 16 |
| 10. ვერდერი | 10 | 3 | 4 | 3 | 23-22 | 13 |
| 11. კიოლნი | 10 | 4 | 1 | 5 | 8-12 | 13 |
| 12. აინტრახტი | 10 | 2 | 3 | 5 | 11-16 | 9 |
| 13. კარლსრუე | 10 | 3 | 0 | 7 | 8-16 | 9 |
| 14. ჰანოვერი | 10 | 2 | 3 | 5 | 10-20 | 9 |
| 15. არმინია | 10 | 1 | 5 | 4 | 11-17 | 8 |
| 16. ბოხუმი | 10 | 1 | 4 | 5 | 13-18 | 7 |
| 17. ბორუსია (მ) | 10 | 2 | 1 | 7 | 9-20 | 7 |
| 18. კოტბუსი | 10 | 1 | 3 | 6 | 6-15 | 6 |

პორტრეტი

# კანისა და ლემანის მემკვიდრე

## საფეხბურთო გერმანიას რენე ადლერი შეუყვარდა



რენე ადლერი

ყველაფერი იმით იწყება, რომ თმა ყალყზე გიდგება, გულისცემა გიჩქარდება, ტანში უსიამოვნო ჟრუანტელი გივლის და გინდა, რომ თვალები დახუჭო, მაგრამ ვერ ხუჭავ, რადგან ძალიან გაინტერესებს. ფეხბურთის ქომაგებისთვის ეს გრძნობა ძალიან კარგადაა ცნობილი - გრძნობა, რომელიც შენი საყვარელი გუნდის კარში გატანილ გოლს მოასწავებს. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრების მეკარეების გადამკიდე ქართველი ქომაგები ამ განცდის ინტენსივობით ძალიან ვართ „განებივრებულები". საკუთარი თავი უნდა ვაიძულოთ და წარმოვიდგინოთ, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ასეთი განცდა თვით გერმანიის ნაკრების ქომაგებსაც კი ხშირად ეუფლებოდათ. შეხსენებას არ უნდა საჭიროებდეს, მაგრამ მაინც: გერმანიას მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სამეკარეო სკოლა აქვს.

თუკი ჩვენ, ქომაგები ასეთ დღეში ვვარდებით, ახლა ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა ემართება თვითონ მეკარეს, როდესაც მის კართან სახიფათო მომენტი იქმნება - განსაკუთრებით მაშინ, თუ კიპერი ახალგაზრდა და არც ისე გამოცდილია. ამაზე ლაპარაკი ძალიან შორს წაგვიყვანს და უმჯობესია, დავაკონკრეტოთ: ოქტომბრის სანაკრებო მატჩების შემდეგ გერმანიის ნაკრების გულშემატკივრები აღარ ნერვიულობენ. **ოლივერ კანმა** აქტიური სპორტული კარიერა დაასრულა, **იენს ლემანი** ფანების უსაყვარლესი მოთამაშე არასდროს ყოფილა, მაგრამ აღარც ის თამაშობს ბუნდესგუნდში... **რობერტ ენკემ** ბედი სცადა, მაგრამ ბევრს ვერაფერს მიაღწია და ვინლა დარჩა? გამოიცნობდით, მაგრამ მაინც: დღეს საფეხბურთო გერმანიას **რენე ადლერი** უყვარს.

პესიმისტებისთვის ახლავე ვიტყვით, რომ ფეხბურთელის უაზრო ქებას (როგორც ეს ჩვენში ხშირად ხდება ხოლმე) ნამდვილად არ ვაპირებთ. ცხადია, „ლევერკუზენის" კარის დარაჯმა გერმანიის ნაკრებში ჯერ მხოლოდ ორი მატჩი ჩაატარა. და ცხადია ისიც, რომ 23 წლის ბიჭი ოდესმე შეცდომას ან შეცდომებსაც კი დაუშვებს, მაგრამ... განსხვავება ის არის, რომ რენეს შეცდომას აპატიებენ. ამას აქვს თავისი მიზეზი: ადლერი ბუნდესმეკარეობისთვის იდეალური კანდიდატია. რენე ახალგაზრდა, დინამიკური, ნიჭიერი და რაც მთავარია, სახალხო, ძალიან სიმპათიური პიროვნებაა. ბუნდესგუნდი დორტმუნდში რუსეთს რომ ეთამაშებოდა, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ადლერისთვის ეს პირველი კი არა, რიგით მე-100 სანაკრებო შეხვედრა ყოფილიყო. სხვათა შორის, გერმანელი ქომაგები ადლერს ჯერ კიდევ ევრო 2008-მდე მიიჩნევდნენ ლემანის პოტენციურ შემცვლელად. ახლა კი, ქომაგთა 88 პროცენტი დარწმუნებულია, რომ რენე ჰანოვერელ ენკეზე უკეთესია. როდესაც რობერტი დაშავდა, არც ერთ ბუნდესფეხბურთელს არ წამოსცდენია ის, რომ ცუდი რამ მოხდა. ეს კი იმის ნიშანია, რომ ადლერის კარში ჩადგომის პერსპექტივამ გუნდში არავინ შეაშინა.

*„მან ოთხი ურთულესი დარტყმა მოიგერია, მთელი მატჩის განმავლობაში მშვიდად მოქმედებდა, არ ანერვიულებულა და უბრალოდ, ძალიან კარგად ითამაშა. 23 წლის მეკარე ეროვნულ ნაკრებში ამაზე უკეთეს დებიუტს ვერ ინატრებს,"* - ეს სიტყვები გერმანიის ნაკრების კაპიტანმა **მიხაელ ბალაკმა** რუსეთთან მატჩის შემდეგ თქვა.

ფაქტია, რომ რობერტ ენკე ძალიან გაბრაზდა **ფილიპ ლამზე**, რომელმაც მას ტრავმა მიაღებინა. „ჰანოვერის" კარის დარაჯმა ოქტომბრის მატჩებში სწორედ ამის გამო ველარ ისპარეზა, რამაც ის გამოიწვია, რომ შედგა ადლერის დებიუტი და თანაც როგორი? იდეალური! დღეს უკვე ეჭვი აღარავის ეპარება, რომ რენე უკვე ენკეზე მაღლა დგას. ეს მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ნაკრების მეკარეების მწვრთნელი **ანდრეას კიოპკე** საბოლოო განაჩენის გამოტანას არ ჩქარობს.

*„ჩვენ არ გვითქვამს, როდის დავასახელებთ ადლერსა და ენკეს შორის გამარჯვებულს. როდესაც 100 პროცენტით დარწმუნებულები ვიქნებით იმაში, რომ ერთ-ერთი მათგანი უკვე პირველი ნომერია, გამარჯვებულის ვინაობას მხოლოდ მაშინ გავამხელთ,"* - აცხადებს კიოპკე.

შესანიშნავი დებიუტის შემდეგ ადლერი ყველა ჟურნალისტის სასურველი რესპონდენტი გახდათ, მაგრამ რენე ეიფორიაში არ ჩავარდნილა, კითხვებს ძალიან დიპლომატიურად პასუხობდა. თქვა, ცხადია, ვნერვიულობდი, მაგრამ იმდენად კონცენტრირებული ვიყავი, რომ მალე დავმშვიდდიო. საკუთარ წარმატებაზე თითქმის არაფერი უთქვამს, მთავარი ნაკრებიაო. მაგრამ სახეზე ეტყობოდა, რომ ძალიან, ძალიან ბედნიერი იყო.

როდესაც გაირკვა, რომ ენკე ვერ ითამაშებდა, რენე მაშინაც ძალიან მშვიდი და გაწონასწორებული ჩანდა. *„რატომ უნდა ავნერვიულდე? მხოლოდ იმიტომ, რომ მივიღე ის, რაც ნამდვილად დავიმსახურე? ვწუხვარ, რომ რობერტმა ტრავმა მიიღო, მაგრამ მიხარია, რომ შანსი მომეცემა,"* - ამბობდა „არწივი". ვინ, ვინ და მან ყველაზე უკეთ იცის, რა ნიჭის პატრონიცაა. და ისიც იცის, როგორ მოიქცეს და რა თქვას სანაკრებო დებიუტის წინ.

ადლერი: *„შევეცადე, თითოეული ტაიმი ცალ-ცალკე განმეხილა. ბურთისთვის თვალი არ მომიშორებია და გაოცებული ვიყავი, რა მალე გავიდა 45 წუთი!"*

იმისათვის, რომ გერმანიის ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ეთამაშა, მან „ლევერკუზენში' **რიუდიგერ ფოლბორნთან** ზუსტად 8 წელიწადი იშრომა. 2001 წლიდან გერმანიის ასაკობრივ ნაკრებებში იბრძოდა, დღეს კი მიზანს მიაღწია და ბუნდესმეკარეა.

რაკი ადლერის პროგრესი ასეთი აშკარაა, შესაბამისად გაჩნდა კითხვაც: როდის ამოყოფს ის თავს მიუნხენის „ბაიერნში"? რეკორდმაისტერში დღესდღეობით პირველი მეკარე 24 წლის **მიხაელ რენზინგია**, თუმცა რამდენიმე მატჩში მან სისუსტე გამოავლინა. თუკი რენზინგი სტაბილური არ იქნება, ადვილად სავარაუდოა, რომ ბავარიელები სხვა მეკარეზე იფიქრებენ და ვისზე უნდა იფიქრონ, თუ არა ადლერზე? რენეს „ლევერკუზენთან" კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს. ცხადია, მიუნხენელებს მის სანაცვლოდ მილიონების გადახდა მოუწევთ. თუმცა თვითონ ადლერი „ბაიერნზე" არ ფიქრობს და ამბობს: *„პირველ რიგში, „ლევერკუზენში" მინდა წარმატებების მიღწევა. სულაც არაა აუცილებელი, რომ ჩემი მომდევნო კლუბი მაინცდამაინც „ბაიერნი" იყოს„.* „ფარმაცევტების" სპორტული დირექტორი **რუდი ფიოლერი** არ ნერვიულობს. ის ამბობს, დარწმუნებული ვარ, რომ ადლერი ჩვენი გუნდის კარს კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში დაიცავსო...

დაბოლოს, ვინ უნდა იყოს ახალგაზრდა გერმანელი მეკარისთვის მისაბაძი მაგალითი, თუ არა ოლივერ კანი? შეგეშალათ! რენე ადლერის კერპი **პეტერ შმაიხელია**...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ლიონელ მესისთან

# ახლა მალაგასთან მატჩი უფრო მაღელვებს, ვიდრე მარადონა

## არგენტინელ ვარსკვლავს დიეგოს კრიტიკა არ სწყინს, მისგან მხოლოდ ჭკუას სწავლობს

ორი დღის წინ ლეო მესიმ განაცხადა, თუ მარადონა დამიძახებს, 19 ნოემბერს არგენტინის ნაკრებთან ერთად შოტლანდიის ეროვნულ გუნდს დავუპირისპირდებიო. ამაში ერთი შეხედვით გასაკვირი არაფერია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ არგენტინის საფეხბურთო ასოციაციამ და "ბარსელონამ" მნიშვნელოვან შეთანხმებას მიაღწიეს, რომლის ძალითაც ლეო "ალბისელესტეს" ამხანაგური შეხვედრებიდან გათავისუფლდა. ხოლო იმის თქმა, 19 აგვისტოს თამაში მინდაო, ამ შეთანხმების დარღვევის ცალსახა სურვილად შეიძლება მივიჩნიოთ. სხვათა შორის, მესის ამ განცხადების შემდეგ ესპანურ მედიაში დიდი აჟიოტაჟი ატყდა, როგორ, მესი ჟოან ლაპორტას ნების წინააღმდეგ მიდისო? რეალური სურათის დადგენის მიზნით, "დიარიო ასის" კორესპონდენტი "ბარსელონის" ახალგაზრდა სუპერვარსკვლავს შეხვდა და ინტერვიუ ჩამოართვა.

**- პირველ რიგში, არგენტინის ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელზე მინდა გკითხოთ. მარადონასგან რას ელით?**

- მგონი, მთელმა მსოფლიომ იცის ჩვენთვის, არგენტინელებისთვის მარადონა რამდენს ნიშნავს. დიეგო გმირი და ცოცხალი ლეგენდაა. ერთად მუშაობით, მისი უდიდესი გამოცდილების გაზიარების შანსი მოგვეცემა. დარწმუნებული ვარ, მარადონასგან ბევრს ვისწავლით არა მარტო მე, არამედ ნაკრების ვეტერანებიც.

**- მარადონას რამდენჯერმე აქვს ნათქვამი, რომ ზედმეტად ინდივიდუალისტი ხართ და საკუთარ თავზე საჭიროზე დიდი წარმოდგენა გაქვთ. მასთან მუშაობისას ეს სიტყვები ხელს არ შეგიშლით?**

- სულაც არა. მარადონა არგენტინის ნაკრების ფეხბურთელებს ხშირად აკრიტიკებს, მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, ერთადერთი მიზეზით აკეთებს. მას სურს, ხარვეზები გამოვასწოროთ და უკეთ ვითამაშოთ. ეს არის და ეს. როგორ შეიძლება, ადამიანს იმის გამო უსაყვედურო, რომ მას შენთვის სიკეთე სურს? დიეგოსთან არანაირი პრობლემა არ მაქვს. გულწრფელად გეტყვით: მისგან კრიტიკის მოსმენა არ მწყენია. მოკლედ, რაც თამაში დავიწყე და ერთმანეთი გავიცანით, მშვენიერი ურთიერთობა გვაქვს.

**- მარადონას თავადაც ხშირად აკრიტიკებენ. რა თქმა უნდა, მხოლოდ პირადი ცხოვრების გამო...**

-ცხადია! აბა, როგორც ფეხბურთელს ვინ გააკრიტიკებდა? პირად ცხოვრებას რაც შეეხება, ჩემი აზრით, არავის აქვს უფლება, ამის გამო გააკრიტიკოს. ჟურნალისტებსა თუ გულშემატკივრებს მხოლოდ მის პროფესიულ ცხოვრებაზე შეუძლიათ ლაპარაკი, რადგან ისინიც ფეხბურთის მონაწილეები არიან. მოედანს მიღმა კი დიეგო რასაც უნდა, იმას გააკეთებს. ის მხოლოდ კანონისა და საკუთარი სინდისის წინაშე იქნება პასუხისმგებელი. რამდენიც უნდა ილაპარაკონ, დიეგო ჩემთვის უდიდეს პიროვნებად დარჩება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნაკრების ბირთვი დროულად შეადგინოს და მუშაობას შეუდგეს. ჩვენ მას უნდა მოვუსმინოთ, დავალებები შევასრულოთ და თამაშები მოვიგოთ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მარადონას დანიშვნით უკლებლივ ყველა კმაყოფილი ვართ. პროტესტი ნაკრების არც ერთ წევრს გამოუთქვამს.

**- "ბარსელონის" ხელმძღვანელობამ და ხულიო გრონდონამ მნიშვნელოვან შეთანხმებას მიაღწიეს. თქვენ ნაკრების ამხანაგური შეხვედრებისგან გაგათავისუფლეს. მიუხედავად ამისა, გუშინ თქვით, 19 ნოემბერს თამაში მინდაო. შოტლანდიას "ალბისელესტე" სწორედ ამხანაგურ მატჩში შეხვდება. თქვენი განცხადება როგორ უნდა გავიგოთ, "ბარსას" ნების წინააღმდეგ მიდიხართ?**

- ასეც ვიცოდი, მაშინვე ვიფიქრე, ხომ არ სჯობდა, ხმა არ ამომეღო, ახლა პრესა ერთ ამბავს ატეხსმეთქი. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ "ბარსელონის" ნების წინააღმდეგ არასოდეს წავსულვარ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ჩემი მიზანია რომ ყველგან და ყოველთვის ვითამაშო. მით უმეტეს, ახლა, როცა მარადონა დანიშნეს. დანარჩენი კი კლუბისა და არგენტინული მხარის გადასაწყვეტია.

**- კი, მაგრამ კლუბმა გადაწყვიტა, ამხანაგურ შეხვედრებში არ გაგიშვათ. ხულიო გრონდონამ "ბარსა" პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა. ეს ორმხრივი შეთანხმებაა. თქვენ კი ამბობთ, რომ მარადონასთან გინდათ და 19 ნოემბრის დაპირისპირებაში მონაწილეობაზე ოცნებობთ...**

- არ ვიცი, თქვენ როგორი პასუხის მოსმენა გსურთ, მაგრამ მე მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია. "ბარსელონის" ინტერესებისთვის არასოდეს გადამიბიჯებია. მაშინაც კი, როცა პეკინში წავედი. გადაწყვეტილება ნაკრებისა და კლუბის მმართველებმა მიიღეს. ჩემი საქმეა, ბუცები ჩავიცვა და ვითამაშო. "ბარსა" ჩემი მეორე სახლია, მისი ღირსების დაცვა კი ბედნიერება.

**- ახლა რა უფრო გაღელვებთ, მარადონა და არგენტინის ნაკრები, თუ "მალაგასთან" მატჩი?**

- რა თქმა უნდა, "მალაგასთან" მატჩი. უფრო ნათელი რომ იყოს, შემიძლია, სრული პასუხი გაგცეთ. მე, ლეო მესის ახლა "მალაგასთან" მატჩი უფრო მაღელვებს, ვიდრე მარადონა. ანდალუსიელებმა სერიოზული პროგრესი განიცადეს და მათი დამარცხება იოლი არ იქნება. ამიტომ ამჟამად სწორედ "მალაგასთან" სამი ქულის მოპოვებაზე ვფიქრობ. ეს თამაში ნებისმიერ ფასად უნდა მოვიგოთ. ამით ჩვენი წარმატებული სვლა გაგრძელდება და უფრო თავდაჯერებული გავხდებით.

**- მორიგ 5:0-ს უნდა ველოდეთ?**

- გამორიცხული არაფერია, თუმცა ასე შეკვეთით ხუთბურთიანი უპირატესობით გამარჯვება ძნელი იქნება. რა თქმა უნდა, ანგარიში არ არის მთავარი. არც ის, ჩვენგან გოლებს ვინ გაიტანს. მთავარია, მოვიგოთ, თუნდაც მინიმალური უპირატესობით... თუმცა ისიც სათქმელია, რომ თუ "ბარსას" თამაში მისდის, მას ვერავინ შეაჩერებს. ვნახოთ, რას დაგვიპირისპირებს "მალაგა". ჩემი აზრით, გამარჯვებისთვის ყველა პირობა გვაქვს.

**- აგუერო მარადონას სიძეა. როგორ ფიქრობთ, ნათესაური კავშირი საქმეს გაამარტივებს?**

- ვისთვის, აგუეროსთვის? თუ ღმერთი გწამთ, სერხიოს დასამტკიცებელი არაფერი აქვს არც "ატლეტიკოსთვის" და არც არგენტინული საფეხბურთო საზოგადოებისთვის. ამ შემთხვევაში აგუეროსა და მარადონას ნათესაობა არაფერ შუაშია. ის ახალგაზრდა ნიჭიერი ფორვარდია და უცხოელი მწვრთნელიც რომ გვყავდეს, მაინც "ალბისელესტეში" ითამაშებდა. იმედია, ამგვარი საუბარი დიდხანს არ გაგრძელდება. თუ ხშირად ილაპარაკებენ, რომ აგუერო მარადონას სიძეა და ეს მისთვის უპირატესობაა, სერხიო პრობლემებს ვერ გაექცევა. შეუძლებელია, ასეთ დროს წნეხში არ აღმოჩნდე. მარადონას ხასიათს რომ ვიცნობ, შესაძლოა, ისე გაბრაზდეს, რომელიმე ჟურნალისტი საშინლად გამოლანძღოს (იცინის).

**- მართლა თქვით, რომ დეკუსა და რონალდინიოს წასვლამ "ბარსელონას" კარგი სამსახური გაუწია?**

- არა, ეს დეზინფორმაციაა. მე მეგობრებზე ასე არ ვსაუბრობ. დეკუმ და რონალდინიომ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ "ბარსას" შევგუებოდი და დიდ ფეხბურთში ფეხი მომეკიდებინა. მათი უსაზღვროდ მადლიერი ვარ. რონიმ და დეკუმ "ბარსელონისთვის" უამრავი რამ გააკეთეს. უბრალოდ, ცხოვრებამ ასე მოიტანა და ისინი წავიდნენ. ამით ბედნიერება ნამდვილად არ მიგრძვნია.

**- რონალდინიოს წასვლის შემდეგ "ბარსელონის" ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად იქეცით. ეს პრობლემას არ გიქმნით?**

- არა. მე მხოლოდ ფეხბურთის თამაშზე ვფიქრობ. სხვა არაფერი მაინტერესებს.

**- "ბარსა" არაჩვეულებრივად გამოიყურება. არ გიკვირთ, რომ გვარდიოლას დანიშვნის პირველივე თვეებში გასაოცარ დონეს მიაღწიეთ?**

-არა, არ მიკვირს. ჩვენს გუნდში საუკეთესო ფეხბურთელები თამაშობენ და კარგი შედეგები ლოგიკურად მეჩვენება. გასაკვირი ის იქნებოდა, ცუდად რომ ვასპარეზობდეთ... თუმცა ყოველ ტურში უნდა დავამტკიცოთ, რომ ძლიერები ვართ. თუ ამ უქმეებზე "მალაგას" ვერ დავამარცხებთ, განწყობა გაგვიუარესდება. ცუდი განწყობა კი პრობლემების სათავეა.

**- საუბარი "მალაგასთან" მატჩით დავასრულოთ. ანდალუსიაში ეგრეთ წოდებული საშინაო ტაქტიკით ითამაშებთ?**

- რამდენადაც ვხვდები, საშინაო ტაქტიკაში შეტევა იგულისხმება, "ბარსას" მთავარი ღირსება კი სწორედ შემტევი ფეხბურთია. როცა კარგად ვუტევთ, კარგ შედეგებსაც ვაღწევთ. მთავარია, შინ და გარეთ მოსაგებად ვიბრძოლოთ. დანარჩენი კი ტექნიკური დეტალებია.



**ილია ნიკოლაიშვილი**

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. IX ტურის წინ

# ვილიარეალს სასწრაფო რეაბილიტაცია სჭირდება

## დე ლა რედის თამაში სიცოცხლისთვის სახიფათოა

| დღეს | |
|---|---|
| მალაგა-ბარსელონა | 23:00 |
| ბილბაო-ვილიარეალი | 23:00 |
| ატლეტიკო-მალიორკა | 23:00 |
| ვალენსია-რასინგი | 01:00 |
| **ხვალ** | |
| რეკრეატივო-ხეტაფე | 20:00 |
| ვალიადოლიდი-სევილია | 20:00 |
| ესპანიოლი-ოსასუნა | 20:00 |
| სპორტინგი-ნუმანსია | 20:00 |
| ალმერია-რეალი | 22:00 |
| ბეტისი-დეპორტივო | 00:00 |

შუა კვირაში ესპანურ ფეხბურთში უცნაური ამბები ხდებოდა. ყველა ეს უცნაურობა სამეფო თასის გათამაშებას უკავშირდება. სრულიად მოულოდნელად, პრიმერა დივიზიონის ორმა გრანდმა, "რეალმა" და "ვილიარეალმა" დაბალი დივიზიონის გუნდებთან სამარცხვინოდ წააგეს. ეს განსაკუთრებით "ვილიარეალზე" ითქმის. **მანუელ პელეგრინის** ბიჭები "პოლი ეხიდოსთან" არც მეტი, არც ნაკლები - 0:5 დამარცხდნენ. სამეფო კლუბმა კი "უნიონ რეალთან" 2:3 დათმო. მადრიდული გრანდისთვის ეს შეხვედრა შოკისმომგვრელი და შემაძრწუნებელი აღმოჩნდა. მინდორზე ისეთი რამ მოხდა, სუსტ მოწინააღმდეგესთან წაგებით დიდად არავინ დარდობს. დედაქალაქელები ბედნიერნი არიან, რომ **რუბენ დე ლა რედი** სიკვდილს გადაურჩა. მატჩის მე-13 წუთზე "რეალის" ნახევარმცველი მეტოქის საჯარიმო მოედნიდან უკან, საკუთარი ნახევრისკენ იხედა. რუბენი მინდორზე მოწყვეტით დაეცა. ექიმები მიხვდნენ, რომ ფეხბურთელის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა და მოედანზე მსაჯის ნებართვის გარეშე შეცვივდნენ. დე ლა რედს რამდენიმე წამის განმავლობაში გონება დაკარგული ჰქონდა. მადლობა ღმერთს, მან თვალებში გამოიხედა და გასახდელში გაყვანა ითხოვა. **ბერნდ შუსტერმა** თამაში მიატოვა და ახალგაზრდა მოთამაშის სანახავად გავიდა. ექიმებმა გერმანელ სპეციალისტს უთხრეს, რომ რუბენმა გონება წნევის მკვეთრი ვარდნის გამო დაკარგა. პირველადი დახმარების ყველა პროცედურის ჩატარების შემდეგ მადრიდელი ნახევარმცველი სასწრაფო დახმარების მანქანაში საკუთარი ფეხით ავიდა და საავადმყოფოში სრულფასოვანი გამოკვლევის ჩასატარებლად გაემართა. ბუნებრივია, "რეალის" ბიჭებზე თანაგუნდელის გასაჭირმა სერიოზულად იმოქმედა. შესაძლოა, თამაში ამიტომაც წააგეს. მიუხედავად ყველაფრისა, ესპანური მედია სამეფო კლუბს კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს და აცხადებს, რომ სათადარიგო შემადგენლობამ თავი შეირცხვინა. შუსტერმა სათასო შეხვედრაში თამაშის საშუალება იმ ბიჭებს მისცა, რომლებიც დროის დიდ ნაწილს სათადარიგოთა სკამზე ატარებენ. მოედანზე ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე წევრიც გავიდა. მაგალითად, **გუტი**. მოგეხსენებათ, ხოსე მარიამ 13 სექტემბერს მძიმე ტრავმა მიილო და თითქმის თვე-ნახევარი იძულებით შვებულებაში იმყოფებოდა. შუსტერმა ის, რა თქმა უნდა, ფორმის ასადგენად ათამაშა. გამორიცხული არ არის, გუტი "ალმერიასთან" მატჩშიც ვიხილოთ. სავარაუდოა, რომ გერმანელი მწვრთნელი დე ლა რედს დაასვენებს. ექიმები ამბობენ, ასეთი უსიამოვნო ინციდენტის შემდეგ რუბენს სიმშვიდე სჭირდებაო. "ალმერიასთან" დედაქალაქელთა დამრიგებელი საკმაოდ ძლიერ შემადგენლობას მოუყრის თავს. პირენეული მედიასაშუალებები გვატყობინებენ, რომ წამყვანი მოთამაშეები არაჩვეულებრივად გრძნობენ თავს. მიკროტრავმები მხოლოდ **რუუდ ვან ნისტელროისა** და **რობენს** აწუხებდათ, მაგრამ ჰოლანდიელმა ვარსკვლავებმა ტრავმები მოიშუშეს და პარასკევის ვარჯიშზე ნაყოფიერად იმუშავეს. შუსტერი, ალბათ, დაცვის ხაზს იმ ფეხბურთელებით არ დააკომპლექტებს, რომლებმაც "უნიონ რეალის" არცთუ ძლიერ ფორვარდებს მინიმალური წინააღმდეგობაც ვერ გაუწიეს. **მარსელოს, ჰაინცეს, მეტცელდერისა** და **მიჩელ სალგადოს** ოთხეულმა მართლა სამარცხვინოდ იასპარეზა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ **ფაბიო კანავაროს** გარეშე სამეფო კლუბის დაცვა თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნებს ვერ პასუხობს. ალბათ, დადგა დრო, მიჩელ სალგადო ან პენსიაში გავიდეს, ან კლუბი შეიცვალოს.

"მალაგას" პრიმერა დივიზიონში საშინელი სტარტი ჰქონდა. თავად განსაჯეთ, სადებიუტო ოთხ ტურში ამ გუნდმა ერთი გოლის გატანაც კი ვერ მოახერხა, ოთხიდან სამი პაექრობა კი წააგო და ცხრილის ფსკერზე აღმოჩნდა... ამის შემდეგ ანდალუსიელებმა თამაშის ხარისხი გამოასწორეს და ოთხი მატჩი მოიგეს, რისი წყალობითაც, მეექვსე ადგილზე დამკვიდრდნენ. "მალაგას" პრიმერა დივიზიონში რვა ტურის შემდეგ ასეთი კარგი შედეგი არსებობის განმავლობაში არ ჰქონია. ბოლო დროინდელმა წარმატებებმა სამხრეთელებს თავბრუ დაახვია და ახლა ისინი "ბარსელონის" დამარცხების რეალურ შანსზე ალაპარაკდნენ. ძნელი სათქმელია, რამდენად გამართლდება მასპინძლების იმედები, მაგრამ ის კი ადვილად სავარაუდოა, რომ კატალონიურ გრანდთან ჭიდილში "მალაგას" რეალური შესაძლებლობები გამოჩნდება. მათ უნდა დაამტკიცონ, რომ "სევილიის" დამარცხება შემთხვევითობა არ იყო. მთავარი მწვრთნელი **ანტონიო ტაპია** იმედიანადაა განწყობილი, თუმცა **პეპ გვარდიოლას** ანდალუსიელთა მოჭარბებული ოპტიმიზმი სულაც არ აშინებს. "ბარსელონა" საკურორტო ქალაქში, რა თქმა უნდა, სამი ქულის მოსაპოვებლად ჩავიდა. სტუმრებს საკადრო პრობლემები არ აქვთ. გვარდიოლას ყველა პირობა გააჩნია იმისთვის, რომ საუკეთესო შემადგენლობა გამოიყვანოს და გულშემატკივრები მორიგი გამარჯვებით გაახაროს. კატალონიელები არაჩვეულებრივ ფორმაში იმყოფებიან. თუნდაც მათი ბოლო ორი შეხვედრა რად ღირს! "ბარსა" "ბაზელსა" და "ალმერიას" ერთნაირად გაუსწორდა, ორივეს გამანადგურებელი ანგარიშით 5:0 მოუგო. მანამდე კი "კამპ ნოუზე" "ატლეტიკოც" საშინლად დაამცირა (6:1). ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, ესპანური გრანდი "მალაგასთან" მატჩშიც ულაპარაკო ფავორიტი იქნება.

"ვილიარეალს" გულშემატკივართა თვალში სასწრაფო რეაბილიტაცია სჭირდება. "ყვითლებმა" მიმდინარე სეზონში პირველი მატჩი წააგეს. როგორც გითხარით, **მანუელ პელეგრინის** ბიჭები "პოლი ეხიდოსთან" 0:5 დამარცხდნენ. ამას, რა თქმა უნდა, ვერავინ წარმოიდგენდა. გასაგებია, რომ "ვილიარეალი" რამდენიმე ფრონტზე ერთდროულად ბრძოლით დაიღალა, მაგრამ საკმაოდ სუსტ გუნდთან ასეთი ანგარიშით დამარცხება მაინც გაუგებარია. ძალზე ძნელია ზუსტი მიზეზის დადგენა. შესაძლოა, ეს უბრალოდ საფეხბურთო კურიოზი იყო. კურიოზები კი ფეხბურთში არცთუ იშვიათად ხდება. სენიორ პელეგრინიმ სათასო დაპირისპირების შემდეგ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და გულშემატკივრებს ბოდიში მოუხადა. თუ შეძლებთ, გვაპატიეთ, სამარცხვინოდ ვითამაშეთო. ბოდიშით საქმე არ გამოსწორდება. "ვილიარეალმა" პოზიციები დათმო, რაც საგანგაშო გარემოების გამოძახილია. ჯერ კიდევ ორი კვირის წინ "ყვითლების" კარგი თამაშით აღფრთოვანებული გულშემატკივრები ვერ წარმოიდგენდნენ, რომ სამ შეხვედრაში გუნდი ერთბაშად 12 გოლს გაუშვებდა. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, იმაზე მეტყველებს, რომ მანუელ პელეგრინის გუნდს დაცვაში სერიოზული პრობლემები შეექმნა. ძნელი საწინასწარმეტყველოა, "ბილბაოსთან" მატჩში ისინი რას მოიმოქმედებენ. მართალია, ბასკებს უფრო მწვავე პრობლემები აქვთ, მაგრამ თუ პელეგრინი დაცვას არ დაალაგებს, რა ღმერთი გაუწყრებათ, რომ სტუმრებს ერთი გოლი მაინც არ გაუტანონ.

რვა ტურის შედეგებს თვალს თუ გადავავლებთ, მაშინვე აღმოვაჩენთ, რომ ყველაზე დაჩაგრული გუნდი "ოსასუნაა". პამპლონელებს ჯერჯერობით ერთი გამარჯვებაც არ მოუპოვებიათ. მათ **ხოსე ანტონიო კამაჩოს** დანიშვნამ ჯერ ვერ უშველა. ცნობილმა ესპანელმა სპეციალისტმა სადებიუტო შეხვედრაში მარცხი იწვნია. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ "ოსასუნას" "მონჟუიკზე" გამარჯვების შანსი, ფაქტობრივად, არ აქვს. მათი თქმით, სტუმრებისთვის ფრეც მოგების ტოლფასი იქნება. ა დასკვნის გამოტანისას ისინი, ცხადი ობიექტური რეალობით ხელმძღვან ლობდნენ. სხვათა შორის, ნავარელებ ბედთან ერთად მსაჯებიც არ სწყალო ბენ. მიმდინარე სეზონში მათ თამაშ რიდან გაშვებული გოლები არდანიშნული 100-პროცენტიანი პ ნალტებისა და წესების სრული დაცვი გატანილი გოლების გაუქმების გა არაერთი მნიშვნელოვანი ქულა დაკა გეს. არბიტრების მწვავე შეცდომებ მიუხედავად, "ოსასუნის" ხელმძღვან ლობას "რელის" გენერალური მენეჯ რის **პრედრაგ მიატოვიჩისგ** განსხვავებით, მიზანმიმართულ ბრძ ლასა და შავი ხელის არსებობაზე ლა რაკი არ დაუწყია.



შუა კვირაში ვილიარეალი საშვილიშვილოდ შერცხვ

| | თ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალენსია | 8 | 6 | 2 | 0 | 18-5 |
| 2. ბარსელონა | 8 | 6 | 1 | 1 | 24-7 |
| 3. რეალი | 8 | 6 | 1 | 1 | 23-12 |
| 4. ვილიარეალი | 8 | 5 | 3 | 0 | 13-7 |
| 5. სევილია | 8 | 5 | 2 | 1 | 13-5 |
| 6. მალაგა | 8 | 4 | 1 | 3 | 9-9 |
| 7. ხეტაფე | 8 | 3 | 3 | 2 | 9-8 |
| 8. მალიორკა | 8 | 3 | 2 | 3 | 8-10 |
| 9. ალმერია | 8 | 3 | 2 | 3 | 9-13 |
| 10. ატლეტიკო | 8 | 3 | 1 | 4 | 17-1[illegible] |
| 11. ესპანიოლი | 8 | 2 | 3 | 3 | 6-10 |
| 12. დეპორტივო | 8 | 2 | 3 | 3 | 5-9 |
| 13. სპორტინგი | 8 | 3 | 0 | 5 | 13-2[illegible] |
| 14. ბეტისი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-8 |
| 15. ვალიადოლიდი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-9 |
| 16. ნუმანსია | 8 | 2 | 1 | 5 | 7-1[illegible] |
| 17. რასინგი | 8 | 1 | 3 | 4 | 5-1[illegible] |
| 18. რეკრეატივო | 8 | 1 | 3 | 4 | 4-1[illegible] |
| 19. ბილბაო | 8 | 1 | 2 | 5 | 6-1[illegible] |
| 20. ოსასუნა | 8 | 0 | 4 | 4 | 3-[illegible] |



რამონ კალდერონი ჟურნალისტებს შემოსწყრა

რეალი. პრეზიდენტი სკანდალში გაეხვია

# კალდერონი სასამართლოში ჩივის

## ელ მუნდოს მტკიცებით, სენიორ რამონი კლუბის თანხებს პირადი კეთილდღეობისთვის ხარჯავს

**რამონ კალდერონმა** საღამოს 7 საათზე "სანტიაგო ბერნაბეუს" საპრესკონფერენციო დარბაზში ჟურნალისტები დაპატიჟა და პრესსამსახურის თანამშრომლების საშუალებით განუცხადა: აუცილებლად მოდით, ძალიან მნიშვნელოვან თემაზე უნდა ვილაპარაკოო. ამის განმარტება საჭირო ნამდვილად არავისთვის იყო, რადგან "რეალის" პრეზიდენტის პრესკონფერენციებზე თითქმის იმდენივე ჟურნალისტი დადის, რამდენიც ესპანეთის პრემიერ-მინისტრ **ხოსე ლუის როდრიგეს საპატეროს** ბრიფინგებზე... თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გუშინდელი პრესკონფერენცია განსაკუთრებით საინტერესო იყო. კალდერონმა დაწყებამდეც იცოდა, რომ მედია განსაკუთრებულად ელოდა მის სიტყვას, მაგრამ მიუხედავად ამისა, დამატებით მაინც სთხოვა, დიდი წარმომადგენლობით მოდითო. ჟურნალისტები ინტრიგას აჰყვნენ. თავად განსაჯეთ, პრესკონფერენციაზე 18 სატელევიზიო კამერა მუშაობდა. გაზეთების ჟურნალისტების რაოდენობამ კი ასს გადააჭარბა.

*შეხვედრა დათქმულ დროს დაიწყო. კალდერონმა დრო არ დაკარგა და მაშინვე ლაპარაკს შეუდგა: "სამწუხაროდ, დღეს არასასიამოვნო ამბავზე სალაპარაკოდ მოგიწვიეთ. საქმე ჩემი პატივისა და ღირსების შელახვას ეხება. "ელ მუნდოში" ცილისმწამებლური სტატია დაიბეჭდა. თითქოს, მე სამეფო კლუბის საბანკო ანგარიშიდან თანხებს პირადი მოხმარების მიზნით ვხარჯავ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, "ელ მუნდოს" ჟურნალისტმა შესაშური სამოქალაქო აქტივობა გამოიჩინა და ამ დილით მადრიდის პოლიციაში საჩივარი შეიტანა. მან სამართალდამცავებისგან სრულფასოვანი გამოძიების ჩატარება მოითხოვა. მათ საქმე წარმოებაში მიიღეს. ზოგადად სამოქალაქო აქტივობას მივესალმები. თუ მიიჩნევ, რომ დანაშაული ხდება, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა აიღო და სხვის რეაგირებას არ დაელოდო. ეს მართებული გადაწყვეტილებაა, მაგრამ სხვა საქმეა, რომ იმავე ჟურნალისტმა, რომელიც აქ ზის და უტიფრად მიყურებს, ცილი დამწამა. მისი სტატია სიცრუეზეა აგებული. მე "რეალის" საბანკო ანგარიშიდან პირადი მოხმარებისთვის ფული არასოდეს დამიხარჯავს, ხაზს ვუსვამ - არასოდეს! რადგან მავანმა ჟურნალისტმა ჩემი პატივისა და ღირსების შელახვა ისურვა, ვალდებული ვარ, თავი დავიცვა და სასამართლოში ვიჩივლო. ჩემი ადვოკატები საჩივარს დღეს მოამზადებენ. ხვალ დილით კი მას სასამართლოს კანცელარიაში ჩავაბარებთ. მზად ვარ, პოლიციას უკლებლივ ყველა მასალა და საბანკო ამონაწერი წარვუდგინო. მაინტერესებს, პატივცემული ცილისმწამებელი რას გააკეთებს, როცა დადასტურდება, რომ კლუბის ბარათიდან თანხა ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ერთხელაც არ გამომიყენებია?"*

"ელ მუნდოს" მტკიცებით, რამონ კალდერონი "რეალის" ფულს ფუფუნებისთვის ხარჯავს. მაგალითად, სტატიაში ეწერა - სამეფო კლუბის ბარათიდან სპა-სეანსების, სოლარიუმის, გოლფ-კლუბისა და სხვა გასართობი თუ დასასვენებელი ობიექტების მომსახურების თანხებია გადახდილიო. მტკიცებულებად საბანკო ტერმინალებიდან ამონაბეჭდი ქვითრებია მოყვანილი. ჟურნალისტი ინფორმატორის სახელსა და გვარს არ ამხელს, თუმცა აცხადებს, რომ ქვითარი საკუთარი თვალით და იქ ბარათის მფლობელად მადრ "რეალი" იყო მითითებული.

სხვათა შორის, კალდერონი ად რებს, რომ მისი ოჯახი სპა-სეანსებ გოლფ-კლუბებში რეგულარულა მაოდ დიდ თანხას ხარჯავს, თუმც ლოდ და მხოლოდ საკუთარ *"ჩემს ქალიშვილს სპა-თერაპია ძ უყვარს. ეს მის ჯანმრთელობას უ და ფული არ მენანება, მაგრამ ს პასუხისმგებლობით ვაცხადებ ყველა ცენტი საკუთარი ანგარ მაქვს გადახდილი. ახლა ბევრ ლა არ დავიწყებ, ყველაფერს გამოძ სასამართლო დაადგენს. იმედი მუნდოს" ჟურნალისტს ციხეში ჩა თუ ასე მოხდება, მას ჩვენს საქვე მედო პროგრამაში მოვახვედრებ ჯერად მართლაც "რ ანგარიშიდან შეძენილი ნობათი ში მოვინახულებ. მოგეხსენება ხშირად დავდივართ საპატიმრო ქველმოქმედებას ვეწევით."*

გვერდი მო

**ილია ნიკოლაიშ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XI ტურის წინ

# მანჩესტერი vs ჰალი: რა შეიცვალა უკანასკნელ ათ წელიწადში?

| დღეს | |
|---|---|
| ევერტონი-ფულჰემი | 18:00 |
| ჩელსი-სანდერლენდი | 18:00 |
| მანჩესტერ იუნ.-ჰალ სიტი | 18:00 |
| მიდლსბრო-ვესტ ჰემი | 18:00 |
| პორტსმუთი-ვიგანი | 18:00 |
| სტოკი-არსენალი | 18:00 |
| ვესტ ბრომვიჩი-ბლექბერნი | 18:00 |
| ტოტენჰემი-ლივერპული | 20:30 |
| **ხვალ** | |
| ბოლტონი-მანჩესტერ სიტი | 19:00 |
| **ზეგ** | |
| ნიუკასლი-ასტონ ვილა | 23:00 |

"ჩელსის" შემდეგ "ჰალ სიტის" მორიგი მეტოქე "მანჩესტერ იუნაიტედია". 10 წლის წინ "ჰალი" მეოთხე დივიზიონის ფსკერზე განისვენებდა და სამოყვარულო ლიგაში გავარდნის პირას იდგა. "მანჩესტერი" კი ერთბაშად სამი ტიტულის - პრემიერლიგის, ჩემპიონთა ლიგისა და ასოციაციის თასის მოსაგებად ემზადებოდა.

იმხანად ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ ეს კლუბები ოდესმე შეხვდებოდნენ ერთმანეთს. ესეც რომ წარმოედგინათ, ნამდვილად ვერავინ იფიქრებდა, რომ პრემიერლიგის ათი ტურის შემდეგ "ჰალ სიტის" "მანჩესტერ იუნაიტედზე" უკეთესი სატურნირო მდგომარეობა ექნებოდა. "ეშმაკებს" დღევანდელი მეტოქისაგან ორი ქულა და ერთი ადგილი აშორებს, თუმცა ერთი მატჩი თადარიგში აქვს. ეს გუნდები უკანასკნელად 1987 წელს შეხვდნენ ერთმანეთს. ლიგის თასის მატჩში "იუნაიტედმა" 6:0 მოიგო.

მანჩესტერელებს **ვეს ბრაუნი** არ ეყოლებათ. **გარი ნევილი** ძირითად შემადგენლობაში დასაბრუნებლად ემზადება. ძირითადში უნდა ვიხილოთ კიდევ ორი გამოცდილი ფეხბურთელი - **ედვინ ვან დერ სარი და მაიკლ ქერიკი.**

"ჰალ სიტის" თავკაცი **ფილ ბრაუნი** ბოლო ექვს მატჩში პირველად შეცვლის შემადგენლობას. **იან ეშბი** დისკვალიფიცირებულია. მას **ბრაიან ჰიუზი** ან **ბერნარ მენდი** შეცვლის. კლუბის უძვირეს ფეხბურთელი **ენტონი გარდნერს** ტრავმის გამო კიდევ სამკვირიანი დასვენება ემუქრება.

ჩემპიონატის ლიდერი "ლივერპული" "ტოტენჰემის" სტუმარია. "მამლებს" გამოცოცხლება ეტყობათ. დღევანდელი მატჩი მათთვის საუცხოო ტესტია. **ჰარი რედნაპის** მისვლის შემდეგ გუნდმა ორ მატჩში ოთხი ქულა აიღო. "ტოტენჰემმა" შუა კვირაში მცირე სასწაული მოახდინა. მან "არსენალს" ბოლო ორ წუთში ორი გოლი გაუტანა და მატჩი ფრედ დაასრულა (4:4).

დღეს რედნაპი "უაით ჰართ ლეინზე" პირველად გაიყვანს გუნდს. გულშემატკივართა თვალში ის უკვე გმირია. გამარჯვების შემთხვევაში "ტოტენჰემი" ბოლო ადგილს თავს დააღწევს. მაგრამ "ლივერპული" სამი ქულის დათმობას არ აპირებს. მან „ჩელსი" იმიტომ არ დაამარცხა, რომ სამქულიანი უპირატესობა ჩემპიონატის აუტსაიდერთან გაანიავოს.

"ტოტენჰემს" იმედი აქვს, რომ კაპიტანი **ლედლი კინგი** დაუბრუნდება. ის "არსენალთან" მატჩში დაასვენეს. ფეხის თითი აწუხებს **ჯერმეინ ჯენასს**, თუმცა იმედოვნებს, რომ დღეს მწყობრში იქნება. სასჯელს იხდის "ტოტენჰემის" ცენტრალური მცველი **მაიკლ დოსონი.**

"ლივერპულს" **რობი კინი** გამოჯანმრთელდა. მას საზარდულის ტრავმამ შეახსენა თავი. **ფერნანდო ტორესმა** მსუბუქი დატვირთვით ვარჯიშობს, მაგრამ მისი თამაში საეჭვოა. **რაფა ბენიტესი** საუკეთესო ბომბარდირის ჯანმრთელობის გარისკვას არ აპირებს.

"სანდერლენდის" თავკაცი **როი კინი** "ჩელსისთან" მატჩში გულშემატკივარს სიურპრიზებს ჰპირდება. შუა კვირაში მისმა შეგირდებმა "სტოკ სიტისთან" წააგეს. უკმაყოფილო დამრიგებელმა შემადგენლობის გადახალისება გადაწყვიტა.

მუხლის ტრავმის შემდეგ პირველ მატჩს ჩაატარებს "სანდერლენდის" თავდამსხმელი **კევინ ჯოუნსი.** მწყობრშია **ფილ ბერდსლი.** დაშავებულია ძირითადი მეკარე **კრეიგ გორდონი.** მას უნგრელი **მარტონ ფულოპი** შეცვლის.

"ჩელსის" ცენტრალური მცველი **რიკარდო კარვალიო** ვერ დაეხმარება. ის "ჰალ სიტისთან" ბოლო ტურის მატჩისას დაშავდა. მუხლი მოიშუშა **დიდიე დროგბამ. ჯო კოული** ისევ მკურნალობს და მისი ასპარეზობა საეჭვოა. ტრავმებისგამო კვლავ ვერ ითამაშებენ **მიხაელ ბალაკი და მიკაელ ესიენი.**



არისტოკრატებს რიკარდო კარვალიო ვერ დაეხმარება

"არსენალი" ლიდერ "ლივერპულს" ექვსი ქულით ჩამორჩება. დღეს ის დებიუტანტ "სტოკ სიტის" სტუმრობს. "ტოტენჰემთან" ოთხშაბათის მატჩისას მსუბუქად დაშავდნენ **ვილიამ გალასი** და **ემანუელ ებუე.** დღეს მათი ასპარეზობა საეჭვოა. ორივე ფეხბურთელს მუხლის ძველმა ტრავმებმა შეახსენეს თავი.

საინტერესო მატჩი გაიმართება ორშაბათს ნიუკასლში. ჯორდები "ასტონ ვილას" მიიღებენ. **მაიკლ ოუენი** გამოჯანმრთელდა და ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ. გამოჯანმრთელდა **ნიკი ბატიც.** მან მცირე ტრავმის გამო "ვესტ ბრომვიჩთან" ბოლო ტურის შეხვედრა გამოტოვა.

ბირმინგემელთა შემადგენლობაში საეჭვოა **სტილიან პეტროვის** ასპარეზობა. მატჩის წინ გადაწყდება, ითამაშებს თუ არა ნახევარმცველი **სტივ სიდველი.** ნორვეგიელ თავდამსხმელ **ჯონ კარიუს** ძირითად შემადგენლობაში თამაშის იმედი აქვს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 10 | 8 | 2 | 0 | 15-6 | 26 |
| 2. ჩელსი | 10 | 7 | 2 | 1 | 22-4 | 23 |
| 3. არსენალი | 10 | 6 | 2 | 2 | 22-10 | 20 |
| 4. ასტონ ვილა | 10 | 6 | 2 | 2 | 19-12 | 20 |
| 5. ჰალ სიტი | 10 | 6 | 2 | 2 | 14-14 | 20 |
| 6. მანჩესტერ იუნ. | 9 | 5 | 3 | 1 | 15-5 | 18 |
| 7. პორტსმუთი | 10 | 4 | 2 | 4 | 10-15 | 14 |
| 8. მანჩესტერ სიტი | 10 | 4 | 1 | 5 | 23-16 | 13 |
| 9. მიდლსბრო | 10 | 4 | 1 | 5 | 10-15 | 13 |
| 10. სანდერლენდი | 10 | 3 | 3 | 4 | 9-11 | 12 |
| 11. ვესტ ჰემი | 10 | 4 | 0 | 6 | 14-18 | 12 |
| 12. ევერტონი | 10 | 3 | 3 | 4 | 14-19 | 12 |
| 13. ბლექბერნი | 10 | 3 | 3 | 4 | 11-18 | 12 |
| 14. ფულჰემი | 9 | 3 | 2 | 4 | 8-8 | 11 |
| 15. სტოკ სიტი | 10 | 3 | 1 | 6 | 11-18 | 10 |
| 16. ვესტ ბრომვიჩი | 10 | 3 | 1 | 6 | 8-16 | 10 |
| 17. ნიუკასლი | 10 | 2 | 3 | 5 | 12-18 | 9 |
| 18. ვიგანი | 10 | 2 | 2 | 6 | 11-15 | 8 |
| 19. ბოლტონი | 10 | 2 | 2 | 6 | 8-13 | 8 |
| 20. ტოტენჰემი | 10 | 1 | 3 | 6 | 11-16 | 6 |

სატრანსფერო ქორ-მართალი

# მოდრიჩი მამლებს დატოვებს?



ლუკა მოდრიჩი

ინგლისი. შესაძლოა, ლონდონური კლუბი წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვოს. მას შემდეგ, რაც "ტოტენჰემიდან" **ხუანდე რამოსი** დაითხოვეს, ვარაუდობა, რომ ხორვატი **ლუკა მოდრიჩი** მის კვალს დაადგება. ნახევარმცველი პრემიერლიგაში სწორედ ესპანელის მონდომების წყალობით გაჩნდა. მისით დაინტერესება უკვე გამოთქვეს ევროპული ფეხბურთის წამყვანმა კლუბებმა, მათ შორის, "იუვენტუსმა". ჯერჯერობით, სატრანსფერო დეტალები არ დაკონკრეტებულა, თუმცა ფეხბურთელის ღირებულება 20 მილიონ ევროზე ნაკლები ნამდვილად იქნება.

"ევერტონის" ხელმძღვანელობამ განიზრახა, რომ "ნაპოლის" 22 წლის ცენტრალური მცველი ფაბიანო სანტაკროჩე გადაიბიროს. ნეაპოლელის ღირებულება 6 მილიონი ფუნტია. ფაბიანოთი დაინტერესებულნი არიან ასევე "ბარსელონა" და "მილანი". **დევიდ მოიესს** ასევე სურს "რედინგის" განაპირა მცველის, ირლანდიელი **სტივენ ჰანტის** გადაბირება. ჰანტის ღირებულებაც 6 მილიონ გირვანქას აღწევს.

იტალია. "ნერაძური" სულ უფრო ახლოსაა **ტიაგო სილვას** შეძენასთან. ალჟირული გაზეთი "ალ ჰაბარი" ირწმუნება, რომ **მოურინიომ** თვალი დაადგა "ბენფიკაში" მოთამაშე 24 წლის ალჟირელ **ჰასან იებდას.** ნახევარმცველს არაევროკავშირელების ლიმიტი არ შეეხება, რადგან ის საფრანგეთის მოქალაქეც გახლავთ.

"მილანმა" "ბოკა ხუნიორსიდან" 18 წლის ცენტრალური მცველის, **ესეკილ მუნიოსის** გადაბირება მოისურვა. ეს ფეხბურთელი მართალია, "ბოკას" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, მაგრამ პერსპექტივის გათვალისწინებით, ურიგო გარიგება არ უნდა იყოს. **არიედო ბრაიდა** არგენტინაში უკვე გაემგზავრა საკითხის გადასაჭრელად. იესეკილი არგენტინის 19-წლამდელთა ნაკრების წევრია. ბრაიდა ბუენოს აირესიდან ბრაზილიაში გადაფრინდება, რათა "სან პაულუს" ხელმძღვანელობას დაელაპარაკოს დაცვითი ტიპის ნახევარმცველის, 24 წლის **მირანდუს** თაობაზე. ეს უკანასკნელი "სან პაულუს" თითქმის შეუცვლელი ფიგურაა. მას დაცვაშიც არანაკლები წარმატებით შეუძლია თამაში. როგორც ჩანს, "როსონერი" სწორედ ამ გზით ცდილობს უკანა ხაზის პრობლემების მოგვარებას. მირანდუს თაობაზე კლუბს რეკომენდაცია მისცა მისმა ყოფილმა ნახევარმცველმა **სერჟინიომ.**

"პალერმო" ინტერესს იჩენს პორტუ ალეგრის "ინტერნასიონალის" ფორვარდ **ნილმარის** მიმართ. მას 2008 წელს 34 შეხვედრაში 15 გოლი აქვს გატანილი. **კარლოს დუნგამ** ერთხელ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაშიც კი ათამაშა. ნილმარის ღირებულება 15 მილიონი ევროა. "ინტერნასიონალთან" ფეხბურთელის კონტრაქტს ვადა 2012 წელს ეწურება. ბრაზილიური მხარე დასახელებულ თანხას ფეხს არ უცვლის. სიცილიელები მზად არიან, 14 მილიონი გადაიხადონ. ალბათ, შეთანხმების გაფორმება მაინც არ გაჭირდება. "პალერმო" მზადაა, სოლიდური თანხა შესთავაზოს "სანტოსს" 19 წლის მარცხენა მცველ **დიეგო კარლეტოში.**

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ამბები

## კეირუშმა შემადგენლობა დაასახელა

რამდენიმე დღის წინ პორტუგალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კარლუშ კეირუშმა** დაასახელა ის 24 ფეხბურთელი, ვისაც ის მალტისა და დანიის ნაკრებებთან შეხვედრებში დაეყრდნობა. სამწუხაროდ, "ჩელსის" ცენტრალურმა მცველმა **რიკარდო კარვალიომ** ტრავმა მიიღო და ფეხბურთს 3 კვირით ჩამოშორდა. გაგაცნობთ დარჩენილი 23 ფეხბურთელის გვარს:

**მეკარეები** - კუიმი (ბენფიკა); ედუარდუ (ბრაგა); ფერნანდეში (ბოხუმი);

**მცველები** - მიგელი (ვალენსია); პეპე (რეალი); მეირა (გალათასარაი); ფერეირა, ბოსინგვა (ორივე ჩელსი); ალვეში (პორტუ); ანტუნიეში (ლეჩე);

**ნახევარმცველები** - დეკუ (ჩელსი); მოუტინიო (სპორტინგი); მანიშე, სიმაო (ორივე ატლეტიკო); მარტინში (ბენფიკა); მეირელეში (პორტუ); მენდეში (რეინჯერსი); დანი (ზენიტი); რონალდო, ნანი (ორივე მანჩესტერ იუნ);

**თავდამსხმელები** - ჟალო (სპორტინგი); ალმეიდა (ვერდერი); გომეში (ბენფიკა).

## კერბიშლი კომპენსაციას ითხოვს

"ვესტ ჰემის" ყოფილი დამრიგებელი **ალან კერბიშლი** კლუბისგან კონტრაქტის ვადაზე ადრე გაწყვეტის გამო საკმაოდ სოლიდურ კომპენსაციას ითხოვს. მოგეხსენებათ, კლუბის ისლანდიელმა მესაკუთრე **ბიორგოლფურ გუდმუნდსონმა** სპეციალისტის თხოვნა თანამდებობიდან წასვლის შესახებ დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა. "ჩაქუჩების" წარმომადგენლის თქმისა არ იყოს, გაუგებარია, რა პრეტენზია აქვს მწვრთნელს ყოფილ კლუბთან. მან კომპენსაციის მოთხოვნის უფლება მაშინ დაკარგა, როცა თავისივე სურვილით გადადგა. საქმის დეტალურ შესწავლაზე ახლა ორივე მხარის იურისტები მუშაობენ. თუკი საქმე მხარეთა მორიგებით არ დასრულდა, ინგლისელი მწვრთნელი სარჩელის სასამართლოში შეტანას აპირებს.

## ოლიმპიურ არენაზე შეიძლება ფეხბურთი დასახლდეს

ოლიმპიური არენა, რომელსაც ბრიტანეთის დედაქალაქში სპეციალურად 2012 წლის გრანდიოზული მოვლენისთვის ააგებენ, შეიძლება თამაშების დასრულების შემდეგ ფეხბურთის სამსახურში ჩადგეს. სოკ-ის პრეზიდენტის **ჟაკ როგის** განცხადებით, მისთვის არ აქვს პრინციპული მნიშვნელობა, ოლიმპიადის დასრულების შემდეგ რა მიზნით გამოიყენებენ მას, მთავარია, რომ სტადიონმა ფუნქცია არ დაკარგოს. ოლიმპიურ არენაზე საშინაო თამაშების ჩატარების სურვილი უკვე გამოთქვეს "ტოტენჰემმა", "ვესტ ჰემმა" და "ლეიტონ ორიენტმა". მათი ერთადერთი თხოვნაა, რომ თუკი ისინი ხსენებულ სტადიონს იჯარით აიღებენ, ამ შემთხვევაში, სარბენი ბილიკები უნდა გაუქმდეს და მას მხოლოდ საფეხბურთო დანიშნულება დარჩეს, გვამცნობს "გარდიანი".

იმ შემთხვევაში, თუკი ოლიმპიური არენის წინასწარ დაბევება არ გამოვა, "მამლების" ხელმძღვანელი **დანიელ ლევი** "უაით ჰართ ლეინის" ახლოს ახალი, თანამედროვე 60-ათასიანი სტადიონის აშენებას გეგმავს, რომლის მაკეტის ნახვა კლუბის ოფიციალურ საიტზე უკვე შეგიძლიათ.

## ლატო უკრაინას აფრთხილებს

გუშინწინ ცნობილი გახდა, რომ პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად ლეგენდარული ფეხბურთელი, 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **გჟეგოშ ლატო** აირჩიეს. მისი თქმით, ის უკმაყოფილოა უკრაინული მხარის პასიურობით 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, ამ ორმა ქვეყანამ ხსენებულ გრანდიოზულ ღონისძიებას ერთად უნდა უმასპინძლონ.

პრობლემა ის გახლავთ, რომ კიევში სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვთ, რის გამოც უახლოეს მომავალშიც კი არ არსებობს გარანტია, რომ აუცილებელი სახსრები მოინახება. ამ ზაფხულს უეფას ხელმძღვანელობას თავად უკრაინის პრეზიდენტმა **ვიქტორ იუშჩენკომ** მისცა პირობა, რომ პრობლემები აღმოიფხვრებოდა. მიუხედავად ამისა, გლობალური ეკონომიკური და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის პირობებში, საქმე მკვდარი წერტილიდან არ დაძრულა. ლატოს განცხადებით: *"თუკი უკრაინა ვერ შეძლებს ევროფორუმის მასპინძლობას, პოლონეთი მზადაა, განიხილოს ჩემპიონატის გერმანიასთან ერთად ჩატარების იდეა."*

ორი წლის წინ გერმანიამ უკვე უმაღლეს დონეზე უმასპინძლა მსოფლიოს ჩემპიონატს და ამ ქვეყანას ინფრასტრუქტურა იდეალურ მდგომარეობაში აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესია

# ქართული სპორტის საკეთილდღეოდ

## გია ნაცვლიშვილი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მეოთხე პრეზიდენტია


მარცხნიდან: ბეჟან ხურციძე, გია ნაცვლიშვილი და ლევან ახვლედიანი


მიმდინარეობს სესია


პეკინის ოლიმპიადის გმირები სეოკ-ის ორდენებით დაჯილდოვდნენ. მარცხნიდან: რევაზ მინდორაშვილი, მანუჩარ კვირკველია, ირაკლი ცირეკიძე, ნინო სალუქვაძე, გიორგი გოგშელიძე და ოთარ თუშიშვილი

ქართული ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში მორიგი ოთხწლიანი ციკლი მიილია. განვლილ პერიოდში ჩვენმა ათლეტებმა არნახულ წარმატებებს მიაღწიეს - იქნებოდა ეს მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები თუ პირველობები, მსოფლიოს თასის გათამაშებები. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც პეკინის 29-ე ზაფხულის ოლიმპიადაზე ნაჩვენები შედეგებია: 3 ოქროს და ამდენივე ბრინჯაოს მედლით საქართველომ 204 ქვეყანას შორის 27-ე ადგილი დაიკავა, რაც მრავლისმეტყველია და სიამაყის საფუძველს გვაძლევს. მართალია, ატლანტასა და სიდნეისთან შედარებით თამაშებში მონაწილეთა რაოდენობა შეგვიმცირდა, მაგრამ სპორტული შედეგები აშკარად გაუმჯობესდა, იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ინფრასტრუქტურა ჯერჯერობით ნამდვილად ვერ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა სპორტის დაფინანსება, თუმცა ათლეტთა მატერიალური დონის ამაღლებისა და სპორტის მუშაკთა სოციალური პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით კვლავაც ჩამოვრჩებით. დასტურად ისიც გამოდგება, რომ დღეს სპორტისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების მიხედვით ჩვენი ქვეყანა 204 სახელმწიფოს შორის პირველი ასეულის ბოლოშია, არადა, სპორტული შედეგები ოლიმპიადიდან ოლიმპიადამდე უმჯობესდება, რაც უმთავრესად მწვრთნელებისა და მათი შეგირდების თავდადებული გარჯის შედეგია.

ბოლო წლებში ზოგადად სპორტისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება უკეთესობისკენ იცვლება, მაგრამ დაფინანსების ტემპის დაჩქარებაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე პეკინის შედეგების გამეორებაც კი გაგვიჭირდება, რადგან ყოველ ოლიმპიადაზე „ოქროს" მომხვეჭელ სახელმწიფოთა რაოდენობა მატულობს. 1992 წელს ბარსელონაში თუ 41 ქვეყნის ეროვნული ჰიმნი აჟღერდა, პეკინში მათი რიცხვი 55-მდე გაიზარდა. მსოფლიოს რიტმს რომ არ ჩამოვრჩეთ, ყველაზე ეკონომიური და ოპტიმალური გათვლებით, საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობისა და ქვეყნის ინფრასტრუქტურის გარდასაქმნელად დაახლოებით 15-20 მილიონი ლარი გვჭირდება. თუ ამას დროულად არ გავითვალისწინებთ, მაშინ დევიზი „ლონდონში უკეთ, ვიდრე პეკინში" მხოლოდ დევიზად დარჩება.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათქვამია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც საანგარიშო-საარჩევნო სესიის მონაწილეებს გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტის" საკონფერენციო დარბაზში დაურიგდათ.

სესია შესავალი სიტყვით სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტმა **ჯანო ბაგრატიონმა** გახსნა. თავყრილობას გენერალური მდივანი **ემზარ ზენაიშვილი** უძღვებოდა, რადგან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი **გოგი თოფაძე** და პირველი ვიცე-პრეზიდენტი **ლერი ხაბელოვი** სხდომაზე არ მოსულან.

დარბაზში შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სახელოვანი მამულიშვილების - **ბადრი პატარკაციშვილის, გიორგი სხირტლაძის, ნოდარ ჯორჯიკიას, გივი ხაჩიძის, გივი ყირმელაშვილის, ანზორ ქიბრონაშვილისა** და **თემურ ნავერიანის** ნათელ ხსოვნას.

საგულისხმოა ისიც, რომ ოლიმპიზმის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის სეოკ-ის ორდენებით დაჯილდოვდნენ პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონები და პრიზიორები - **მანუჩარ კვირკველია, ირაკლი ცირეკიძე, რევაზ მინდორაშვილი, ნინო სალუქვაძე, გიორგი გოგშელიძე, ოთარ თუშიშვილი**; მათი მწვრთნელები - **შოთა ხაბარელი, ზაზა თურმანიძე, ბეგი დარჩია, ვახტანგ სალუქვაძე**; ოლიმპიური გუნდის ექიმი **ზურაბ კახაბრიშვილი**; ასევე, **ჯანო ბაგრატიონი**, ოლიმპიური ჩემპიონი **ვაჟა კაჭარავა**, პარლამენტარი **გიორგი გაბაშვილი**, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური**, გოგი თოფაძე, ლერი ხაბელოვი, **ლევან თედიაშვილი, თენგიზ ბოლქვაძე, დავით კინწურაშვილი**, მოქანდაკეები - **გიორგი შხვაცაბაია** და **ლევან ვარდოსანიძე**, ჟურნალისტები - **თამარ ბალავაძე, პაატა ნაცვლიშვილი** და **ავთანდილ გურასაშვილი**, ბიზნესმენები - **ზაზა რაზიკაშვილი, გიორგი რამიშვილი, თეიმურაზ ჭოხონელიძე, ირაკლი თოფაძე, დავით კილაძე** და **ტარიელ შავერდაშვილი**...

საანგარიშო მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ **ლუკა კურტანიძე, მურთაზ მნათობიშვილი**, ზურაბ კახაბრიშვილი, **კახა წაქაძე**, გიორგი გაბაშვილი.

**მურთაზ მნათობიშვილი:** ცუდია, რომ სასპორტო სკოლებს დაფინანსება შეუწყვიტეს. ხელმოკლე ოჯახებს სპორტზე შვილის მიყვანის საშუალება აღარ აქვთ. მიმაჩნია, რომ დღევანდელმა სესიამ უნდა მიიღოს მიმართვა ქვეყნის პრეზიდენტისა და პარლამენტისადმი, რათა სასწრაფოდ იქნეს შეტანილი ცვლილებები განათლების შესახებ კანონში.

**ზურაბ კახაბრიშვილი:** ვალში ვარ სპორტის წინაშე, ამიტომ ყველაფერს ვაკეთებ ჩვენი ათლეტების ჯანმრთელობისთვის, თუმცა, ეს არ არის საკმარისი: აუცილებელია, რომ შეიქმნას სპორტული მედიცინის დიაგნოსტიკა - რეაბილიტაციის თანამედროვე ცენტრი. იმედია, ახალარჩეული ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობა ამ პრობლემას დადებითად გადაჭრის.

**კახა წაქაძე:** ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამგზის მონაწილე ვარ. კარგა ხანს ამერიკაში ვცხოვრობდი, ახლა დავბრუნდი სამშობლოში, რათა ჩემს ქვეყანას გამოვადგე, როგორც პროფესიონალი, მაგრამ საქართველოში სპორტის ზამთრის სახეობები ცუდ დღეშია. არ არის ბაზები. არადა, ჩვენთან შეიძლება ტრამპლინიდან ხტომის, საციგაო და სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარება.

**გიორგი გაბაშვილი:** ის ვითარება, რომელიც წლების წინათ იყო საქართველოში, უეჭველ გარდაქმნას მოითხოვდა. არც განათლების სისტემის რეფორმა მომხდარა უხარვეზოდ, თუმცა, ვცდილობთ მტკივნეული საკითხების მოგვარებას. სოციალურად დაუცველი ფენისთვის უნდა შევქმნათ სოციალური პროგრამები, რათა პერსპექტიული მოზარდები დავაფინანსოთ და სპორტისთვის არ დავკარგოთ. იყო დრო, როცა საწვრთნელი შეკრებებისთვის კი არა, მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე გასამგზავრებელი თანხის მოძიება ჭირდა. საბედნიეროდ, დღეს ეს პრობლემა მოხსნილია; ბოლო წლებში სპორტის ბიუჯეტი 17,5-ჯერ გაიზარდა. მესმის, რომ ესეც არ არის საკმარისი, მაგრამ მალე მოვა ის დროც, როცა სპორტის ფინანსურად უზრუნველყოფის საკითხიც მოგვარდება, რაც, თავის მხრივ, მაღალი მიღწევების სპორტის განვითარებასაც შეუწყობს ხელს...

სესიის დასასრულს სეოკ-ის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა. თავიდან განცხადება ხუთმა კანდიდატმა შეიტანა, მაგრამ ბოლო მომენტისთვის ბიულეტენში მხოლოდ სამი გვარი დარჩა (ლერი ხაბელოვმა და **კახა ბასილიამ** კანდიდატურები მოხსნეს). 121-დან 94 ხმით საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად მომდევნო ოთხი წლით **გია ნაცვლიშვილი** აირჩიეს. პარლამენტარმა **ბეჟან ხურციძემ** 24, ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან ახვლედიანმა** კი 3 ხმა მიიღო.

სეოკ-ის პირველ ვიცე-პრეზიდენტად **რამაზ გოგოლიძე**, ვიცე-პრეზიდენტებად - **დავით გობეჯიშვილი** და **ვახტანგ გეგელია**, გენერალურ მდივნად კი **ალექსანდრე ბითაძე** აირჩიეს.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

დაფასება

# იყო წევრი, გახდა ვიცე-პრეზიდენტი

როგორც იცით, შავი ზღვის პირველი სპორტული თამაშები ჩატარდა ქალაქ ტრაბზონში, მეორე კი, ადრევე მიღებული გადაწყვეტილებით, 2010 წელს რუმინეთის ქალაქ კონსტანცაში გაიმართება. რუმინეთში, კერძოდ ქ. ბრაშოვში ამ დღეებში შეიკრიბა მომავალი თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის სხდომას ესწრებოდა საქართველოდან ამ კომიტეტის წევრი თამაზ თევზაძე. სხდომამ ადმინისტრაციის კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე ორ კანდიდატურას უყარა კენჭი. ერთი იყო რუსეთის წარმომადგენელი, მეორე - თამაზ თევზაძე. ხმების უმრავლესობით ამ პოსტზე საქართველოს წარმომადგენელი აირჩიეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



ბათუმი-მაკაბი

საქართველოს ჩემპიონატი. III ტური

# საკალათბურთო ამინდი ბათუმში, თექვსმეტობანა რუსთავში

| 31 ოქტომბერი. რუსთავი | |
| --- | --- |
| ენერჯი-შსს | 91:65 |

25:16, 29:16, 26:16, 11:17

ენერჯი: გამყრელიძე (5პ), უგრეხელიძე (18ქ, 7მ, 3პ), ტულუში (11ქ), ცეკვავა (15ქ, 3პ), ბაბიაშვილი (8ქ, 8მ), დვალიშვილი (2ქ), ...ლეჟავა (9ქ), დიდია (6ქ), არწივიძე (9ქ), მა...ჰავარიანი (1ქ), ტუჯანი (9ქ), ჭოჭუა (3ქ)

შსს: მიქაბერიძე (2ქ), ბერუაშვილი (13ქ, ...0მ), ბაქრაძე (4ქ), ბ. ნოზაძე (9ქ), ნინუა (12ქ), ...ატარაია (3ქ), ქვილითაია (2ქ), აბულაძე (4ქ), ...ოლეთიანი (6ქ), ბერია (2ქ), ფაიქრიძე (8ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე

| 31 ოქტომბერი. ბათუმი | |
| --- | --- |
| ბათუმი-მაკაბი | 87:67 |

21:22, 26:11, 25:16, 15:18

ბათუმი: კვერნაძე (9ქ), ელიაშვილი (7ქ), კეშელავა (21ქ), ბოლქვაძე (6 ქ, 10 მ), ...ნაძე (11 ქ, 19 მ); გვაზავა, მაისურაძე, თა...რთქილაძე (4ქ), ჩხატარაშვილი (14ქ), დო...იძე (3ქ), ნ. ნოზაძე (2ქ), ბერიძე

მაკაბი: სუდაძე (3ქ), ახმედიანი (5ქ), ან...ძე (16ქ), იოსელიანი (8ქ), ბიბილური (9ქ); კილაძე (7ქ), ლონდარიძე (10ქ), ელიკაშვილი, ჯანგველაძე (6ქ), მჭედლიშვილი (3ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

როგორც იქნა, "საკალათბურთო ამინდი" აჭარაშიც დადგა – ოთხწლიანი შესვენების შემდეგ ბათუმში კალათბურთი დაბრუნდა. გუშინ ზღვისპირელებმა "მაკაბის" უმასპინძლეს და 87:67 დაამარცხეს. მართალია, დღევანდელი "ბათუმი" ძველი "ბასკოს" სიძლიერისა არ არის, მაგრამ „მაკაბის" მაინც იოლად გაუმკლავდა. ნიშანდობლივია, რომ ზღვისპირელთა გუნდი მთლიანად ადგილობრივი კადრებითაა დაკომპლექტებული, რაც აჭარული კალათბურთისთვის ერთგვარი ბიძგი უნდა იყოს.

"ბასკოში" გატარებული დრო გაიხსენეს **ლაშა კეშელავამ** და **დავით იმნაძემ**. პირველმა 21 ქულა ჩააგდო, ხოლო დათომ ორმაგი დუბლი შეასრულა – 11 ქულა და 19 მოხსნა.

"მაკაბიზე" კი ვერაფერს ვიტყვით, ძმები **შერმადინების** წასვლის შემდეგ გუნდი აშკარად დასუსტდა.

დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა რუსთავის "ენერჯიმაც". ქვემოქართლელებმა შსს-ს 91:65 აჯობეს. რუსთაველთა მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** უპირატესობის მოპოვების შემდეგ თავის გამოჩენის საშუალება მისცა ახალგაზრდებს, თუმცა ყველასგან მაინც გამოცდილი **დავით უგრეხელიძე** გამოირჩა – 18 ქულა, 7 მოხსნა და 3 პასი გაიფორმა.

...და რა უნდა ვთქვათ შსს-ზე? თბილისელებმა თექვსმეტობანის საკალათბურთო ვარიანტი ითამაშეს – საწყის სამ მეოთხედში 16-16 ქულა ჩააგდეს.

მესამე ტურის დარჩენილი 2 მატჩი კვირას თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება. ვინ ვის ხვდება, შეგიძლიათ ამავე გვერდზე მდებარე ბანერზე წაიკითხოთ.

# ბექა ნივნივაძე პოლონეთში მიდის

საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტურში სუპერლიგის დებიუტანტმა "სასოფლომ" დამაჯერებლად ითამაშა და თსუ 103:88 დაამარცხა. გადამწყვეტ მომენტში სასოფლოელთაგან უშეცდომოდ ისროდა გამთამაშებელი **ბექა ნივნივაძე**. საბოლოოდ მედიელთა გამოკითხვამ ტურის საუკეთესო კალათბურთელად სწორედ ბექა დაასახელა. მან თსუ-სთან 27 ქულა, 6 პასი, 5 მოხსნა და 3 ჩაჭრა მიითვალა. ნივნივაძის შემხედვარე ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ისიც თქვა, გაისად ბექა ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა **კოკოშკოვმა** აუცილებლად უნდა ნახოსო.

ნივნივაძე 1990 წელსაა დაბადებული და **ლაშა გამყრელიძეზე** ოთხი წლით უმცროსია...

კალათბურთში ჩახედული მკითხველი მიხვდება, რატომ ვახსენეთ ბექა ლაშას გვერდით: ისევე როგორც გამყრელიძე, ნივნივაძეც მეტისმეტად მონდომებული და შრომისმოყვარეა. ეს ორივეს უფასდება და რიგითი გულშემატკივარიც თვალნათლივ ხედავს მათ პროგრესს.

მათ შორის ერთი მსგავსებაცაა: ვერ ვიტყვით, რომ სროლის სიზუსტით ყველას სჯობიან, მაგრამ ისევ და ისევ მონდომების წყალობით, იმდენად კარგად ახერხებენ მატჩზე კონცენტრაციას, რომ გადამწყვეტ მომენტში შორეული დისტანციიდანაც უშეცდომოდ ისვრიან.

ოთხი წლით უფროსი გამყრელიძე საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა, ნივნივაძე კი ახლა გადის იმ გზას, რაც ლაშამ სამი წლის წინ გაიარა...

...ლაშამ ახალგაზრდულ ნაკრებში თავის გამოჩენის შემდეგ უცხოეთს მიაშურა და ავსტრიულ "პანტერსში" ითამაშა.

ნივნივაძემაც ახალგაზრდულში დამაჯერებელი გარჯით პოლონელთა ყურადღება მიიპყრო და საზღვარგარეთ აპირებს კარიერის გაგრძელებას. მას პოლონური ჩარნის "ენერგი" იწვევს. აი, რა წერია გუნდის ოფიციალურ საიტზე:

*"ჩვენს გუნდში 19 წლის ქართველი გამთამაშებელი ბექა ნივნივაძე ივარჯიშებს. იგი აქ აგვისტოში ჩამოვიდა, "ენერგისთან" ერთად ემზადებოდა, მაგრამ ვიზის გამო პოლონეთში დიდი ხნით ვერ გაჩერდა. ნივნივაძემ სავიზო პრობლემები უკვე მოაგვარა და მას ჩარნიში 7 ნოემბერს ველით.*

*- მოხარული ვარ, რომ ბექა პოლონეთში ბრუნდება. გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს, გასპერ ოკორნი. იგი ქართველ გამთამაშებელთან იმუშავებს და თუ ორივე მხარე ყაბულს იქნება, კონტრაქტსაც გავაფორმებთ",* - აცხადებს "ენერგის" დირექტორი **ადამ რომანსკი.**

შეგახსენებთ, რომ ოკორნი მანუჩარ მარკოიშვილს სლოვენიის "ოლიმპიაში" წვრთნიდა, ბოლო სეზონი კი ლატვიის "ვენტსპილსში" გაატარა.

ჩვენ ისლა დაგვრჩენია, ნივნივაძის ინტერვიუ შემოგთავაზოთ:

**- პოლონეთში 7 ნოემბერს გელიან...**

- ასეა. გუნდის ხელმძღვანელობას ვესაუბრე და მითხრეს, რომ შვიდში ადგილზე უნდა ვიყო. ყველა საბუთი მზად მაქვს და პოლონეთში მომავალ კვირას გავფრინდები.

**- კონტრაქტზე ჯერ ხომ არ გისაუბრია?**

- "ენერგიში" სერიოზული ცვლილებებია. სეზონი ახალი დაწყებულია და მთავარი მწვრთნელი უკვე შეცვალეს. აქამდე იქ უკრაინელი სპეციალისტი პოდკოვიროვი მუშაობდა, ახლა მის ნაცვლად სლოვენიელი მოვიდა. უკრაინელი კარგი თვალით მიყურებდა და რომ არ შეეცვალათ, დარწმუნებული ვარ, პოლონეთში დავრჩებოდი. ახალი მწვრთნელი რა აზრზეა და რას გადაწყვეტს, ჯერ არ ვიცი. თუმცა, გუნდის პრეზიდენტიც ძალიან მონდომებულია ჩემი დამატებით.



ბექა ნივნივაძე ავტორის ფოტო

**- საქართველოს ჩემპიონატის მესამე ტურში ითამაშებ?**

- რა თქმა უნდა. "სასოფლოს" დავეხმარები და შემდეგ წავალ.

**- თსუ-სთან მატჩზე რას იტყვი?**

- საინტერესო შეხვედრა გამოვიდა. იყო მომენტი, როცა 20 ქულის სხვაობითაც ვიგებდით, მაგრამ თსუ ისეთი გუნდია, წამიერად მოდუნებას არ გაპატიებს. ბოლოს მეტოქემ თამაშის შემოტრიალება სცადა, მაგრამ ამის საშუალება ალარ მივეცით.

**- მაინც რის ხარჯზე აჯობეთ თსუ-ს?**

- ვცდილობდით, შეტევა პირველივე ფაზაში დაგვესრულებინა და ასეთმა სწრაფმა თამაშმა შედეგი გამოილო. პერიმეტრიდან სროლებიც წაგვივიდა. თუმცა გვქონდა ჩავარდნები, რაც ახალშეკრებილი გუნდისთვის დამახასიათებელია.

**- ახლა "სასოფლოზე" ვთქვათ.**

- ახალგაზრდული შემადგენლობა გვყავს, მაგრამ თავ-თავის ასაკში საუკეთესო კალათბურთელები არიან შეკრებილი. მაგალითად, მერაბ ბოქოლიშვილი 1992-წლიანია და თანატოლებში საუკეთესოა. ჩემი აზრით, ჩვენი ხუთეული არც ერთი სხვა გუნდის სასტარტო შემადგენლობას არ ჩამოუვარდება.

**- საკუთარ თამაშს როგორ შეაფასებ?**

- სიმართლე გითხრათ, ფორმაში არ ვარ. დუდუ დადიანის მემორიალის შემდეგ მცირე ტრავმას ვმკურნალობდი. ფორმიდან ამოვვარდი და სრულფასოვნად ვარჯიში თსუ-სთან მატჩამდე 3 დღის წინ განვაახლე.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილი**

წინასამატჩო პრესკონფერენცია

# ...სტუდენტები მფრინავთა ...წინააღმდეგ

გუშინ ტოტალიზატორ "აჭარაბეთ-...ში" გაიმართა წინასამატჩო პრესკონფერენცია. ჟურნალისტებთან სასაუბ...დ გამოცხადდნენ მე-3 ტურის ცენტ...ლური მატჩის მონაწილე თსუ-სა და ...ავიამშენის" წარმომადგენლები.

...შეხვედრა "ავიატორთა" თავკაცმა **...ვან მოსეშვილმა** გახსნა:

- თსუ-სთან სათამაშოდ სათანადოდ ...ხადებით, რადგან ვიცით, რომ იოლი ...ბრძოლ ...ირნება არ გველის. მეტოქეს ჰყავს ...გამო...ცდილი, ჭკვიანი მწვრთნელი და მის...გან ყოველთვის სიურპრიზებს ველით. ...ველ ტურში "ნტდ-თბილისთან" დავ...ცხდით და ვეცდებით სატურნირო ...მარეობა სტუდენტებთან მატჩის ...დეგ გამოვასწოროთ. სეზონის და...ისში გვყავდა არაერთი ტრავმირე...ი, რომელთა ნაწილი მომჯობინდა ...ხლა მხოლოდ **ირაკლი ხოშტარიას** ...ჯანმრთელებას ველით. იგი პირვე...რის ბოლომდე ვერ დაგვეხმარება.

ლევან მოსეშვილს პრესკონფერენციაზე ახლდა "ავიამშენის" უკანახაზელი, თავისი შვილიშვილი, ლევანი:

- ჩვენი გუნდი ოპტიმალურ ფორმაში არ არის. ვიცით, რომ თსუ ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტუნარიანი გუნდია და ამიტომ მის დასამარცხებლად დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება. რაც შეეხება ჩემს თამაშს, გამიყვანს თუ არა მოედანზე, ეს ბაბუაჩემს უნდა ჰკითხოთ.

თსუ-ს მწვრთნელმა **ნუგზარ ჭეიშვილმა** მეორე ტურში "სასოფლოსთან" წაგება გაიხსენა:

- მიუხედავად იმისა, რომ ერთ ეპიზოდში 20 ქულით ჩამოვრჩით, გამარჯვების შანსი მაინც გვქონდა – სხვაობა 5 ქულამდე შემცირდა. თუმცა მოსაგებად ალარც ძალა გვეყო და ალარც ჭკუა. კვირას კიდევ უფრო სერიოზული მეტოქე გველის – "ავიამშენი", რომელიც ჩემპიონობაზე ფიქრობს. სათუოა გამთამაშებლის **დავით ბერიშვილის** მოედანზე გასვლის საკითხი, რომელმაც გასულ ტურში ტვინის შერყევა მიიღო და მას შემდეგ არ უვარჯიშია.

თსუ-ს ფორვარდ **დავით ბარბაქაძეს** გავახსენეთ, რომ შარშან იგი სტუდენტთა გუნდში სწორედ "ავიადან" გადავიდა და ვკითხეთ, რამდენად პრინციპული მნიშვნელობა აქვს "მფრინავებთან" დაპირისპირებას.

- სადაც ვირიცხები, იმ გუნდს ვახმარ ჩემს ენერგიას და ვინმესთვის რამის დამტკიცებაზე საერთოდ არ ვფიქრობ. ვცდილობ, მხოლოდ ჩემს მწვრთნელს ვუჩვენო, რა შემიძლია. სეზონის ბოლოს შეიძლება თითოეულ ქულას ოქროს ფასი ჰქონდეს, ამიტომ ყოველი მატჩისთვის მაქსიმალური მობილიზება გვმართებს.



რაგბი

## ინტერვიუ ტიმ ლეინთან

# ყველა თამაში უნდა მოვიგოთ


ტიმ ლეინი

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მწვრთნელი, ავსტრალიელი ტიმ ლეინი შვებულებიდან ახლახან დაბრუნდა. თან ფიზმომზადების მწვრთნელი ჯონი ნამუც ჩამოიყვანა, რომელიც სავარაუდოდ უახლოეს დღეებში საქართველოს რაგბის კავშირთან კონტრაქტს გააფორმებს. ლეინი და ნამუ საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალურ შეხვედრებსაც დაესწრნენ. ბორჯღალოსანთა თავკაცს თავდაპირველად განვლილ შვებულებაზე დავეკითხეთ:**

- საქართველოდან სამხრეთ აფრიკაში გავემგზავრე - გვიამბობს ტიმ ლეინი - იქ ერთი თვე დავყავი ჩემს შვილთან, რომელიც ამ ქვეყნის ერთ-ერთ სარაგბო აკადემიაში სწავლობს. ვესწრებოდი სარაგბო სკოლების ჩემპიონატის თამაშებს. მერე ავსტრალიაში გადავინაცვლე, სადაც საშუალება მომეცა ქვეყნის ნაკრების რამდენიმე ვარჯიშს დავსწრებოდი. ამასთან, მქონდა ბედნიერება, კეიპტაუნში ზელანდიის ნაკრების ვარჯიშიც მენახა. ერთი სიტყვით, შვებულება სასარგებლო გამოდგა და თან ოჯახთან ერთად მშვენიერი დღეები გავატარე.

**- თქვენი ავსტრალიაში ყოფნისას გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქართველ შერკინების პირველხაზელებს გაუწიეთ რეკომენდაცია ამ ქვეყნის რაგბის ხელმძღვანელებთან.**

- დიახ, მქონდა შეხვედრა ავსტრალიის რაგბის კავშირის ხელმძღვანელებთან და ჟურნალისტებთან. მე მათ ვუთხარი და მათაც ძალიან კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს ნაკრების ყველაზე ძლიერი მხარე შერკინებაა. ამ დროს ავსტრალიის ნაკრებისთვის ეს პრობლემაა. როგორ განვითარდება მოვლენები, არ ვიცი. მაგრამ ერთი კია, ამის შემდეგ ოთხი ავსტრალიური კლუბი დამიკავშირდა, რომელთაგან ორი ზე-14-ში ასპარეზობს. მათ სურვილი გამოთქვეს, თავიანთ რიგებში იხილონ ქართველი შერკინების ბურჯები.

**- ხომ არაა უკვე გადაწყვეტილი ვინ გაემგზავრება ავსტრალიაში?**

- არა, ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი. ისე, მაგალითისთვის, დავით ხინჩაგიშვილს, დავით ზირაქაშვილს, გოდერძი შველიძეს და დავით ქუბრიაშვილს რეალურად შესწევთ ძალა ზე-14-ის ნებისმიერ გუნდში ითამაშონ, მაგრამ ამ ეტაპზე ეს შეუძლებელია ვინაიდან მათ კონტრაქტი აკავშირებთ ფრანგულ კლუბებთან.

**- თქვენთან ერთად თბილისში ტონგელი სპეციალისტი ჯონი ნამუ ჩამოვიდა. დაგვიხასიათეთ ეს სპეციალისტი.**

- ჯონი მაღალი დონის პროფესიონალია. კარგი იქნება, თუ იგი ეროვნულის გარდა, ყველა ასაკის ნაკრებთან იმუშავებს. ბევრ ახალგაზრდა მორაგბეს შეეცვლება დამოკიდებულება ფიზმომზადების საკითხთან დაკავშირებით. მიხვდებიან, რაოდენ დიდი შრომა მართებთ, რათა ეროვნული ნაკრების მოთხოვნები დააკმაყოფილონ. ვფიქრობ, ჯონის მუშაობა ჩვენთან ძალიან სასარგებლო და ეფექტური იქნება.

**- თქვენ ახლახან საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალურ მატჩებს დაესწარით. როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე ამ შეხვედრებმა?**

- კარგი თამაშები იყო. წინსვლა დავინახე. განსაკუთრებით „ლელოსა“ და „ლოკომოტივის“ დაპირისპირება მომეწონა. აშკარად ეტყობოდა, რომ ქვეყნის ორი საუკეთესო გუნდი თამაშობდა. „ლელომ“ ბევრი აუტი დაკარგა და ამიტომ ბურთს ნაკლებად ფლობდა. „ლოკომოტივი,“ უბრალოდ, მაგრამ ეფექტურად ირჯებოდა. მთავარია, რომ კარგი რაგბი ვიხილეთ.

**- ივნისში საქართველოს ნაკრებმა რუმინეთში, IRB-ის ერთა თასის გათამაშებაში ექსპერიმენტული შემადგენლობით იასპარეზა. თუმცა საყოველთაო აღიარებით, ის ყველაზე უკეთ მომზადებული გუნდი გამოდგა. რით ახსნით ამას?**

- დიახ, რუმინეთში მართლაც ისე გამოვიდა, რომ ექსპერიმენტული შემადგენლობით მოგვიწია ასპარეზობამ. ბევრი ახალი მოთამაშე გვყავდა, რომლებიც იძულებულნი იყვნენ მოკლე დროში მორგებოდნენ ნაკრების სათამაშო სისტემას. სასიამოვნო იყო, რომ ყოველი თამაშის შემდეგ მათი თავდაჯერება სულ უფრო იზრდებოდა. ამიტომ ძალიან დაგვწყდა გული, რომ პირველივე შეხვედრამ სამხრეთ აფრიკასთან მოგვიწია. ცოტა მოგვიანებით რომ შევხვედროდით, გამარჯვების მეტი შანსი გვექნებოდა.

რაც მთავარია, თითქმის ყველა მოთამაშე ძალიან მონდომებული იყო. ყველას ჰქონდა სურვილი, წინ გადაედგა ნაბიჯი კარიერაში. ამიტომ შესაძლოა ყველაზე ორგანიზებული გუნდი არა, მაგრამ ყველაზე მონდომებული კი ნამდვილად ვიყავით.

**- მალე ეროვნულ ნაკრებს შოტლანდიაში უწევს თამაში. ბორჯღალოსნები ვერც ამ შეხვედრისთვის იკრიბებიან ოპტიმალური შემადგენლობით. ეს სერიოზულ პრობლემებს არ შეუქმნის ჩვენს გუნდს?**

- შოტლანდიაში სერიოზული თამაში გველის. ამ ქვეყნის რაგბი წინ მიდის, ვითარდება. კლუბები საკმაოდ წარმატებით ასპარეზობენ ევროპის საკლუბო ტურნირებში. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მოთამაშე გვაკლია, მაინც იმედიანად ვართ. შოტლანდიაში ორი ისეთი მოთამაშე იქნება ნაკრებში, რომელსაც ჩემი ხელმძღვანელობით ჯერ არ უთამაშიათ: ირაკლი მაჩხანელი და დავით ხინჩაგიშვილი. მათ მალე ავუხსნით ნაკრების თამაშის ახალ ნიუანსებს და, იმედია, შოტლანდიელებს დავამარცხებთ.

**- მომავალი წლიდან მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირი იწყება. რუსეთის ნაკრებთან, IRB-ის გადაწყვეტილებით, ნეიტრალურ მოედანზე მოგვიწევს თამაში. რამდენად სწორად მიგაჩნიათ ეს გადაწყვეტილება და როგორი მომზადებული შეხვდება შესარჩევ ტურნირს საქართველოს ნაკრები?**

- შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება მართებულია. რაც შეხება შესარჩევი ტურნირის თამაშებს, კარგია, რომ მატჩების თარიღი IRB-ის მიერ დადგენილ ღია ფანჯარას დაემთხვა. ეს საშუალებას მოგვცემს, ნებისმიერი მორაგბე შეუფერხებლად გამოვიძახოთ ეროვნულ გუნდში. იმედი მაქვს, რომ ერთი და იმავე შემადგენლობით თუნდაც სამ მატჩში ვითამაშებთ. შედეგი კი ისეთივე უნდა ვაჩვენოთ, როგორიც წლეულს. ყველა თამაში უნდა მოვიგოთ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭადრაკი

## ინტერვიუ გია გიორგაძესთან

# მედლებისთვის მადლობელი ვარ!

**ქართველ მოჭადრაკეთა ვიეტნამურ წარმატებაზე გუშინ ვწერდით და დაგპირდით, რომ დღევანდელ ნომერში ტურნირის შესახებ აზრს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძე გამოთქვამდა.**

- ძალიან ბედნიერი ვარ! ასეთი წარმატება სიხარულის საბაბს ნამდვილად იძლევა და დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ჩვენი ქვეყანა და ქართული საჭადრაკო სკოლა ასახელა. სიმართლე გითხრათ, მსგავს წარმატებას ნამდვილად ველოდით, რადგანაც ნაზი პაიკიძეც და მერი არაბიძეც უნიჭიერესი გოგონები არიან და წლეულს უკვე მოიპოვეს ევროპის ჩემპიონობა. სხვებისაც გვეიმედებოდა, თუმცა, კონკრეტულად ვინ აჩვენებდა მაღალ შედეგს, ცხადია, ვერ განვსაზღვრავდით. ნამდვილად არ ველოდი, თუ ნოდარ ლორთქიფანიძე ასეთ სიმაღლეზე ავიდოდა. ვიცოდი, რომ ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ ასაკობრივი თავისებურებები უშლიდა ხელს, რის გამოც ჭადრაკს მთელი სერიოზულობით არ ეკიდებოდა. ჩემპიონატზე გამგზავრების წინ დელეგაციის ყველა წევრს თხოვნით მივმართე, მთელი სერიოზულობით მოკიდებოდნენ ტურნირს და მხოლოდ ჭადრაკზე ეფიქრათ. როგორც ჩანს, ნოდარმა კარგად შეისმინა ჩემი თხოვნა. გული დამწყდა, რომ ლევან ბრეგაძემ ვერ შეძლო მედლის მოპოვება. არადა, ჩემპიონობაც კი შეეძლო, - რომ არა ზედიზედ რამდენიმე ყაიმი, ეს სიმაღლე დაუძლეველი ნამდვილად არ იყო მისთვის. საერთო ჯამში სტაბილურად კი გამოვიდა ლევანი, მაგრამ ასეთ ტურნირებში ცოტა მეტი რისკია საჭირო, მოგებისთვის ყველაფერი უნდა გაიღო და მიზანსაც მიაღწევ.

**- უცნაური ის არის, ლამის საჭადრაკო პრაქტიკის უქონელი ქართველი გოგო-ბიჭები მრავალტურნირგამოვლილ და ნაწრთობ მეტოქეებს რომ ამარცხებენ. ასეთი წარმატება დასაფასებელია და როგორ აპირებს ფედერაცია მათ წახალისებას?**

- მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი უნიშნავს ხელფასს, პრიზიორებს კი ფედერაცია უზრუნველყოფს სტიპენდიით. გეთანხმებით, რომ ხელის შეწყობა აუცილებლად სჭირდებათ ასეთ ბავშვებს. ისინი ტურნირებზეც უნდა გაუშვა და შეკრებაზეც. ჩვენ ვცდილობთ და იმედი გვაქვს, რომ ნიჭიერ ბავშვებს მომავალში ყველა პირობას შევუქმნით პროფესიული ზრდისათვის. ახლა მათ ის ეტაპი უდგათ, როცა პროფესიულ ასპარეზზე გადიან. ამ დროს სჭირდებათ მათ ჩვენი თანადგომა, რათა არჩევანის სისწორეში დარწმუნებულნი იყვნენ. ჩვენ ვამზადებთ პროექტთა წყებას, სადაც გეგმიურად იქნება ჩვენი მუშაობის სტრატეგია გაწერილი. ამ პროექტს წარვუდგენთ სპორტის დეპარტამენტს.

**- ამისათვის საკმაოდ დიდი ფინანსებია საჭირო. თუ წამოვა ხელისუფლება თქვენს წინადადებებზე?**

- ჭადრაკს რომ უკვე ძალიან ეხმარებიან, იქიდანაც ჩანს, რომ საჭადრაკო ოლიმპიადისთვის დამატებით იმდენი თანხა გამოგვიყვეს, რაც წლევანდელი ბიუჯეტით იყო განკუთვნილი და დახარჯული. მომავალი წლისათვის დეპარტამენტის თანადგომის კიდევ მეტად გვეიმედება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გულზე ხელები დავიკრიფოთ და ფედერაცია მხოლოდ ტურნირებზე გასამგზავრებელი დოკუმენტაციის მოწესრიგების კანტორად ვაქციოთ, - ჩვენც ვეძიებთ ფინანსებს - სისტემატიურად ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს სპონსორებთან. მომავალი წლიდან, დარწმუნებული ვარ, რამდენიმე მსხვილი ქართული კომპანია ჭადრაკის განვითარებაში უდიდეს წვლილს დაიდებს. მე შემიძლია გითხრათ იმ კომპანიათა სახელები, რომლებთანაც გარკვეული ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა. ესენია: „საქართველოს ბანკი“, „ვისოლი“, „სოკარი“, „ავერსი“. მათი დახმარებით მთელი წლის განმავლობაში შევძლებთ ტურნირებზე მივავლინოთ მოჭადრაკეები და ნიჭიერ ბავშვთა მომზადებაზე ვიზრუნოთ. ნებისმიერი ტურნირის წინ აუცილებელია საწვრთნელი შეკრების მოწყობა, თუ გვსურს, რომ მაღალი შედეგები გვქონდეს; უნდა შემუშავდეს ნაკრები გუნდების წევრთა და კანდიდატთა მომზადების გეგმა და დაფინანსდეს მათი წვრთნა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა ჭადრაკს, იმათ, ვინც ახლა იდგამს ფეხს და გამორჩეულებს შესაბამისი თანადგომა გავუწიოთ. მწვრთნელთა წახალისებაზე და მოტივაციის გაზრდაზეც უნდა ვიფიქროთ. კი გვყავს კარგი მწვრთნელები, მაგრამ მათი რაოდენობა ძალზე მცირეა და კვალიფიკაციის ამაღლებაც არავის აწყენდა. უნდა შევძლოთ უცხოეთიდანაც უმაღლესი კლასის მწვრთნელთა ჩამოყვანა, რითაც ბევრად წინ წავწევთ ქართული ჭადრაკის განვითარების საქმეს. ამასთან, ჩვენივე საქმიანობით მოჭადრაკეებს მრავალმხრივი განათლების მიღებისაკენ ვუბიძგებთ, - ღრმად მწამს, რომ უმაღლეს შედეგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ ჩვენი გოგო-ბიჭები, თუკი ჭადრაკის გარდა სხვა პროფესიების შესწავლასაც შეძლებენ, ანუ მხოლოდ ჭადრაკით არ უნდა შემოიფარგლოს მათი მსოფლმხედველობა. ამის შესანიშნავი დასტური იყო ვიეტნამში ჩვენებურთა მიერ თვითშემოქმედების მაღალ დონეზე წარმოჩენა და ვინც, ასე ვთქვათ, სცენაზე ივაჟკაცა, საჭადრაკო დაფასთანაც ისინი იყვნენ წარმატებული...

ფედერაციაში უფრო ღრმა ანალიზს დელეგაციის დაბრუნების შემდეგ გავაკეთებთ, მაგრამ უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ მისია წარმატებულია. ამისათვის კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას მოჭადრაკეებს და დელეგაციის ხელმძღვანელ ალეკო არსენიძეს.

**ზვიად შათირიშვილი**

# ჯობავა მოგებით იწყებს

ესპანურ ბარსელონაში 30 ოქტომბერს სტარტი აიღო საკმაოდ ძლიერმა საერთაშორისო ტურნირმა, რომელშიც მსოფლიოს ცნობილი მოჭადრაკეები მონაწილეობენ. ტურნირში 9 დიდოსტატი და ერთი საერთაშორისო ოსტატი თამაშობს; ერთ-ერთი მათგანი ქართველი **ბაადურ ჯობავაა**. ბაადური, ისევე როგორც დანარჩენი მონაწილენი, ორგანიზატორებმა პერსონალურად მიიწვიეს. ქართველისადმი ყურადღების გამოჩენა კი ბარსელონაში მცხოვრები და კატალონიის ჭადრაკის ფედერაციაში მომუშავე დიდოსტატის **ანა მათნაძის** დამსახურებაა – მან გაუწია რეკომენდაცია.

ჯობავა რომ მსოფლიო ელიტასთან ახლოს მდგარი მოჭადრაკეა, ყველამ კარგად იცის. ელიტაში შესვლა რომ შეძლოს, სწორედ ამგვარ ტურნირთა მოგებაა საჭირო და, იმედია, ასეც იქნება. წინაპირობა უკვე არის: პირველ ტურში შავებით მასპინძელთა იმედი, ახალგაზრდა ვარსკვლავი **მარკ ნარსისო** დაამარცხა. თუმცა ფავორიტად ის არ მიიჩნევა და უმთავრესი ბრძოლები ბაადურს წინ ელის. რეიტინგით (2664) ჩვენებური მეორეა ტურნირზე, პირველი რუსი დიდოსტატი- **ალექსეი დრეევი** (2670); მესამე - ბულგარელი **კირილ გეორგიევი**(2645) და ა. შ. ტურნირი წრიულია: პირველ ორმოც სვლაზე 90 წუთია განკუთვნილი და შემდეგ ორივე მხარეს 30-30 წუთი ეძლევა, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. გამარჯვებული მიიღებს 1500 ევროს, მეორე ადგილზე გასული 1200 ევროთი დაჯილდოვდება, მესამე ადგილოსანს კი 900 ევრო ერგება. თასებიც სამივეს გადაეცემა. მეოთხე და მეხუთე ადგილებზე გასულები შესაბამისად 600 და 300 ევროთი დაჯილდოვდებიან. თანაბრობის შემთხვევაში, გამარჯვებულის გამოსავლენად პირველ რიგში მხედველობაში მიიღება ბერგერის სისტემით დათვლილი კოეფიციენტი; შემდეგ - შავებით მეტი პარტიის მოგებას მიანიჭებენ უპირატესობას. თუ ეს მაჩვენებელიც თანაბარი იქნა, მაშინ, ვისაც მეტი მოგება დაუგროვდება ტურნირში, იმას გამოარჩევენ; ბოლო კრიტერიუმი ურთიერთშეხვედრებში დაფიქსირებული შედეგია.

მეორე ტურში ჯობავა კუბელ **ჰოლდენ ერნანდესს** შეხვდება თეთრებით. პირველ ტურში კი ასეთი შედეგები დაფიქსირდა: **ბორის გულკო – ანტუანეტა სტეფანოვა – 0,5 : 0,5; ჰოლდენ ჰერნანდესი – ფიდელ კორალესი 0,5 : 0,5; ხოსეპ მარტინესი – არტურ კოგანი – 1 : 0; ალექსეი დრეევი – კირილ გეორგიევი 0,5 : 0,5.**

**ზვიად შათირიშვილი**

თვის მოვლენები

## ოქტომბერი

**2. ფეხბურთი:** ლევან ყენიას დებიუტი გერმანული „შალკეს“ ძირითად გუნდში.

**5. ფეხბურთი:** ლევან მჭედლიძის პირველი გოლი სერია A-ში (ტურინის „იუვენტუსის“ კარში).

**5. ძიუდო:** მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებმა იპირველა (მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი).

**5. ჩოგბურთი:** ანა ტატიშვილმა ტროას საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა.

**10. კალათბურთი:** დუდუ დადიანის ტურნირი რუსთავის „ენერჯიმ“ მოიგო, რომელმაც ფინალში სასოფლო უნივერსიტეტის გუნდი დაამარცხა.

**11. ფეხბურთი:** მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველომ კვიპროსს უმასპინძლა და 1:1 დაუზავდა(გოლის ავტორი – ლევან კობიაშვილი).

**12. ჩოგბურთი:** ოქსანა კალაშნიკოვამ მექსიკის საჩოგბურთო ტურნირი მოიგო (საპრიზო ფონდი – 25 ათასი დოლარი).

**14. კალათბურთი:** მარცხით დაიწყო ევროთასები რუსთავის „ენერჯიმ“, რომელმაც შინ უკრაინულ „სუმიქიმპრომთან“ დათმო 81:110.

**15. ფეხბურთი:** მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველომ ბულგარეთს უმასპინძლა და 0:0 დაუზავდა.

**17. კალათბურთი:** დაიწყო საქართველოს მორიგი პირველობა კალათბურთში (მონაწილეთა რაოდენობა – 9).

**19. კალათბურთი:** ნიკოლოზ ცქიტიშვილი ესპანურ „ფუენლაბრადაში“ გადავიდა.

**20. ფეხბურთი:** რუსთავის „ოლიმპში“ სამწვრთნელო ცვლილება მოხდა, ხვიჩა ქასრაშვილი ვარლამ კილასონიამ შეცვალა.

**20. ჩოგბურთი:** საფრანგეთის ქალაქ ლა როშის ტურნირის წყვილთა თანრიგში ლადო ჩიხლაძემ იმარჯვა (საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი).

**24. ძიუდო:** ვარლამ ლიპარტელიანმა ტაილანდში ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მან 5-დან 4 ორთაბრძოლა იპონით მოიგო.


ვარლამ ლიპარტელიანი

**25. ფეხბურთი:** დიეგო მარადონამ და მისმა მეგობრებმა თბილისში ამხანაგური მატჩი გამართეს ქართველ ვეტერანებთან. არგენტინელებმა 5:3 მოიგეს.

**30. ქართული ჭიდაობა:** გაიმართა რიგით მე-60 ფალავნობა, რომლის გამარჯვებული (მერვედ) ალექსი დავითაშვილი გახდა.

**31. ოლიმპიზმი:** სეოკ-ის სესიაზე აირჩიეს ახალი პრეზიდენტი, გია ნაცვლიშვილი. მან 94 ხმა მიიღო, 24 ხმით მეორე ადგილზე ბეჟან ხურციძე გავიდა, ლევან ახვლედიანს 3 ხმა აქვს.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**დალასი-ჰიუსტონი 102:112**

33:32, 26:30, 27:23, 16:27

დ: ნოვიცკი (36+7 მოხსნა), ჯ. ჰოვარდი (28+11 მოხსნა), ტერი (15), კიდი (7+7 მოხსნა+12 პასი+4 ჩაჭრა).

ჰ: იაო მინი (30+13 მოხსნა), არტესტი (29+7 მოხსნა), მაკგრეიდი (16+7 პასი), ბრუქსი (14).

**კლივლენდი-შარლოტი 96:79**

25:16, 25:17, 18:26, 28:20

კ: გიბსონი (25), ლ. ჯეიმსი (22+9 მოხსნა+9 პასი), მ. უილიამსი (17+7 პასი), ილგაუსკასი (11), ბ. უოლასი (2+10 მოხსნა+5 დაფარება).

შ: ჯ. რიჩარდსონი (24), ჯ. უოლასი (13), ავგუსტინი (12), ოკაფორი (7+12 მოხსნა).

**ფინიქსი-ნიუ ორლეანი 95:108**

22:30, 22:26, 25:25, 26:27

ფ: ნეში (24+9 პასი), ა. სტაუდმაიერი (21+12 მოხსნა), ბელი (13), დიაო (10), შ. ო'ნილი (8+8 მოხსნა).

ნ-ო: პიტერსონი (21), პოლი (20+8 მოხსნა+10 პასი+3 ჩაჭრა), სტიაკოვიჩი (20), დ. უესტი (18+7 მოხსნა), პოუსი (13).

## ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. II ტური

### A ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი-უნიკახა 83:72**

14:20, 25:18, 21:10, 23:24

ო: ბურუსისი (20+13 მოხსნა), ჩილდრესი (15), პრინტეცისი (12), გრირი (11), პაპალუკასი (4+6 პასი).

უ: არჩიბალდი (17+7 მოხსნა), კელატი (15), ნდონგი (11), პაისლიპი (11).

**მაკაბი-აველინო 90:83**

26:19, 19:20, 28:15, 17:29

მ: აროიო (20+8 პასი), ბრაუნი (15), ელიაჰუ (15), ფიშერი (11+7 მოხსნა), ბურშტეინი (11).

ა: უორენი (20), ტუშეკი (13+6 მოხსნა), დინერი (13), ბესტი (11), სლეი (11).

**ლე მანი-ციბონა 54:58**

6:10, 12:19, 15:12, 21:17

ლ-მ: ბატისტა (21+6 მოხსნა), სპენსერი (9).

ც: კალოუეი (19+6 მოხსნა+5 პასი), პრკაჩინი (17), მარშალი (11+7 მოხსნა).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 2/0 | +25 |
| 2. ციბონა | 2/0 | 6 |
| 3. მაკაბი | 1/1 | 5 |
| 4. უნიკახა | 1/1 | -6 |
| 5. ლე მანი | 0/2 | -9 |
| 6. აველინო | 0/2 | -21 |

### B ჯგუფი

**პროკომი-ნანსი 91:62**

14:19, 18:12, 28:16, 31:15

პ: იუინგი (32), ლოგანი (18), ბურკი (16), დილეევიჩი (12+10 მოხსნა).

ნ: ჯულიანი (17+9 მოხსნა), უილსონი (16), ჩიკამბუ (14), გრირი (10).

**ჟალგირისი-სიენა 67:93**

22:19, 21:21, 14:27, 10:26

ჟ: იუნკუნასი (16), ვუდსი (15+8 მოხსნა).

ს: კაუკენასი (27), სატო (18), კ. ლავრინოვიჩი (15+3 დაფარება), დოერკანტი (11).

**ბარსელონა-პანათინაიკოს 90:66**

26:15, 24:18, 22:12, 18:21

ბ: ნავარო (21), ილიასოვა (14+6 მოხსნა), ფ. ვასკასი (12+7 მოხსნა).

პ: პეკოვიჩი (15), ბატისტი (14), დიამანტიდისი (10), ფოცისი (9+5 მოხსნა).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 2/0 | +52 |
| 2. სიენა | 2/0 | +35 |
| 3. პროკომი | 1/1 | +20 |
| 4. პანათინაიკოსი | 1/1 | +3 |
| 5. ჟალგირისი | 0/2 | -53 |
| 6. ნანსი | 0/2 | -57 |

### C ჯგუფი

**ფენერბაჰჩე-ალბა 82:73**

23:15, 18:22, 20:22, 21:14

ფ: თურქჩანი (25+9 მოხსნა), მრშიჩი (17), სავაში (12).

ა: ჯენკინსი (26), მაკელროი (15+9 მოხსნა).

**ოლიმპია-ტაუგრესი 90:91**

22:23, 19:30, 25:23, 24:15

ო: ოზბოლტი (18), მილიჩი (16), ილიევსკი (15), ბეგიჩი (15+7 მოხსნა), უოლესი (11).

ტ: ტელეტოვიჩი (18), სპლიტერი (16), რაკოჩევიჩი (13), სანემეტერიო (12+6 მოხსნა), პრიჯიონი (10+5 ჩაჭრა).

**რომა-ხუვენტუდი 85:71**

17:18, 20:21, 31:12, 17:20

რ: ჯააბარი (17), ბეჩიროვიჩი (15), ჰათსონი (10+11 მოხსნა).

ხ: მენსა-ბონსუ (23+14 მოხსნა+3 ჩაჭრა), რაიტი (14), ერნანდეს-სონსეკა (11).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ტაუგრესი | 2/0 | +11 |
| 2. რომა | 1/1 | +9 |
| 3. ხუვენტუდი | 1/1 | +3 |
| 4. ფენერბაჰჩე | 1/1 | -1 |
| 5. ალბა | 1/1 | -4 |
| 6. ოლიმპია | 0/2 | -18 |

### D ჯგუფი

**პანიონიოსი-ცსკა 52:86**

14:23, 10:22, 16:18, 12:23

პ: ცვეტკოვიჩი (14), კალამპოკისი (11), ნიკოლიჩი (10).

ც: ლორბეკი (17), ცისისი (14), ლენგდონი (10), მორისი (9+9 მოხსნა+5 დაფარება).

**პარტიზანი-რეალი 81:77**

21:13, 23:25, 13:21, 24:18

პ: რაშიჩი (18), ტეპიჩი (16+5 პასი), ველიჩკოვიჩი (13), ლასმე (12), ვიტკოვაცი (10).

რ: იული (19), ჰოსლი (14+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), რეიესი (11), პაპადოპულოსი (10).

**მილანი-ეფესი 71:81**

17:20, 16:23, 16:22, 22:16

მ: ჰოკინსი (20), ტომასი (14), მორდენტე (13), ჰოლი (10).

ე: ვუიაჩიჩი (19), ტორნტონი (17+4 ჩაჭრა), სმიტი (14), კაკიუცისი (12), გიონლუმი (10+9 მოხსნა).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ცსკა | 2/0 | +60 |
| 2. ეფესი | 2/0 | +11 |
| 3. რეალი | 1/1 | +17 |
| 4. პარტიზანი | 1/1 | +3 |
| 5. მილანი | 0/2 | -36 |
| 6. პანიონიოსი | 0/2 | -55 |

### ტურის MVP

ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის მეორე ტურის საუკეთესო მოთამაშედ ესპანეთის "ხუვენტუდის" ფორვარდი **პოპს მენსა-ბონსუ** დასახელდა.

"რომასთან" გასვლით შეხვედრაში ბრიტანელმა კალათბურთელმა 23 ქულა, 14 მოხსნა (10 – შეტევაში), 3 ჩაჭრა და 2 შედეგიანი პასი დააგროვა. ასეთმა შედეგიანობამ მენსა-ბონსუს რეიტინგში ყველაზე მეტი - 37 ქულა მოუტანა, თუმცა ფორვარდის მონდომება საკმარისი არ აღმოჩნდა იტალიელების დასამარცხებლად.

მენსა-ბონსუს გარდა, ტურის MVP-ის ტიტულზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **დანიელ იუინგი** ("პროკომი"), **კარლოს აროიო** ("მაკაბი"), **იანის ბურუსისი** ("ოლიმპიაკოსი") და **მირსად თურქჩანი** ("ფენერბაჰჩე).

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-ტამპა ბეი 2:5**

1:3, 1:2, 0:0

გოლები: 0:1 სტემკოსი-1 (ლეკავალიე-2, სენტ ლუისი-5), ... ო. ოკიონენი-2 (არტიუხინი-1, რეკი-2), 1:2 მაკარტური-5 (პეი... შპაჩეკი-4), 1:3 მელოუნი-2 (სტემკოსი-2), 1:4 რეინფელი-1 ...რტონი-2, ლეკავალიე-3), 1:5 სტემკოსი-2 (პოლი-1), 2:5 ვანე... -9 (სეკერა-5, შპაჩეკი-5).

**...რეინჯერსი-ატლანტა 3:2**

1:1, 0:0, 2:1

გოლები: 0:1 ვიაჩ. კოზლოვი-4 (ტ. უაიტი-7), 1:1 ნესლუნ... -4 (მ. სტაალი-2, მარა-4), 2:1 ჟერდიოვი-5 (დუბინსკი-8, მარა-... 2:2 ლიტლი-5 (ტ. უაიტი-8, ვიაჩ. კოზლოვი-3), 3:2 ჟირარდი-2 ...რდიოვი-7, კალინინი-3).

**...ილადელფია-აილენდერს 3:2 (ო)**

2:1, 0:0, 0:1, 1:0

გოლები: 1:0 ნუბლი-5 (საიმონ განიე-4, ემინგერი-2), 1:1 ...ინი-3 (მტრაიტი-5, უეიტი-6), 2:1 ჯ. კარტერი-7 (ვაანანენი-5, ...ა-5), 2:2 ჰილბერტი-2 (კომრი-3, სატონი-1), 3:2 ჯ. კარტერი-... რიჩარდსი-9, საიმონ განიე-5).

**...ლორიდა-ოტავა 1:2**

1:0, 0:0, 0:2

გოლები: 1:0 ბალარდი-2 (ბოუმისტერი-2), 1:1 პიტლი-6 ...ერედსონი-7, პიკარი-2), 1:2 კელი-1 (ნილი-1, ი. რუუტუ-2).

**...ეშვილი-ედმონტონი 3:1**

1:0, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 ჰორნკვისტი-2 (მ. უებერი-7, რ. საჭერი-6), 2:0 ...ბერი-4 (რ. საჭერი-7, დუმონი-11), 2:1 სურეი-2 (პორკოვი... ...სკი-7), 3:1 ერატი-5 (ლეგვანდი-3, რ. ჯონსი-3).

**...ნესოტა-მონრეალი 1:2**

1:1, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 ბარნსი-3 (შეპარდი-1, ჟილი-2), 1:1 ბუიო... ...ტანგეი-4, ლატენდრესი-6), 1:2 მარკოვი-1 (ტანგეი-5, ...ი-3).

**სენტ ლუისი-კაროლინა 0:1**

0:0, 0:0, 0:1

გოლი: 0:1 ტ. რუუტუ-2 (ე. სტაალი-3, საიდენბერგი-5).

**კოლორადო-კოლამბუსი 2:4**

0:1, 1:3, 1:0

გოლები: 0:1 ბრასარი-4 (უმბერგერი-3, კომოდორი-4), 0:2 ჩიმერა-4 (ბრასარი-5), 0:3 მიურეი-2 (დორსეტი-1, მეტო-2), 0:4 პეიდა-1 (ჩიმერა-5, პეკა-2), 1:4 პ. შჩასტნი-3 (საკიკი-8, ჰეიდუკი-4), 2:4 არნასონი-2 (ვოლსკი-6, სვატოსი-4).

**კალგარი-ბოსტონი 3:2**

0:1, 2:0, 1:1

გოლები: 0:1 პ. ბერჟერონი-2, 1:1 ფანოფი-2 (იგინლა-5, ლენგკოუ-6), 2:1 კამალერი-4 (ფანოფი-7, იგინლა-6), 3:1 ბოიდი-2 (კამალერი-7, ა. ოკუანი-1), 3:2 უილერი-3 (ლუჩიჩი-4, სავარი-9).

**ფინიქსი-პიტსბურგი 4:1**

0:0, 2:1, 2:0

გოლები: 1:0 ო. იოკინენი-2 (დოუნი-2, ზ. მიხალეკი-2), 1:1 შატანი-5 (მალკინი-13, გოლიგოსკი-2), 2:1 დოუნი-5 (რაინპრეხტი-5, მიულერი-1), 3:1 პორტერი-1 (რაინპრეხტი-6, ბოდკერი-1), 4:1 დოუნი-6 (ტიხონოვი-1, ზ. მიხალეკი-3).

**ლოს ანჯელესი-ვანკუვერი 0:4**

0:2, 0:1, 0:1

გოლები: 0:1 დ. სედინი-3 (ჰ. სედინი-6, ბიეკსა-3), 0:2 რეიმონდი-4 (ედლერი-4, ჰანსენი-2), 0:3 უელვუდი-3 (დ. სედინი-5, ჰ. სედინი-7), 0:4 პიატი-1 (მიტჩელი-5, სალო-4).

**სან ხოსე-დეტროიტი 4:2**

0:0, 3:1, 1:1

გოლები: 0:1 მარიან ჰოსა-6 (ჰოლმსტრომი-4), 1:1 მარლო-6 (ჯ. ტორნტონი-8, სეტოგუჩი-4), 2:1 მაკგინი-1 (პლიჰალი-1, შელი-1), 3:1 ქლოუ-4 (მ. მიხალეკი-5, პაველსკი-4), 4:1 პაველსკი-5 (სეტოგუჩი-5, მაკგინი-1), 4:2 რაფალსკი-2 (კოპეცკი-1, ფილპულა-4).

რაგბი

# აფრიკა რასიზმის წინააღმდეგ

## სუპერ 14-ის გაფართოება არ იგეგმება



სამხრეთ აფრიკის ნაკრები ევროპული ტურნეს დროს ახალი ფორმით ითამაშებს, რომელზეც ყვითელ-მწვანე ვარსკვლავი იქნება გამოსახული. ეს არის რასიზმის წინააღმდეგ მიმართული აქცია.

*"მართალია, ეს მხოლოდ ლოგოა, მაგრამ ის მეტად მნიშვნელოვანი გზავნილია მთელ მსოფლიოში. ჩვენ ავირჩიეთ ვარსკვლავი, რადგან ეს სიტყვა არის შემდეგი ფრაზის აბრევიატურა - "დავდგეთ ერთად რასიზმის წინააღმდეგ" (STAR - Stand Together Against Racism). ლოგოს გასწვრივ არანაირი წარწერა არ არის, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მისი აზრი ყველასთვის გასაგები იქნება"*

*რასიზმი მხოლოდ რაგბის პრობლემა არ არის, ეს სენი მთელ ჩვენს ქვეყანას აწუხებს. გადაწყვეტილება სპონტანურად მივიღეთ - ამით ერთ უსიამოვნო ინციდენტს ვუპასუხეთ"*, - განაცხადა სამხრეთ აფრიკის რაგბისტთა კავშირის პრეზიდენტმა **ორეგონ ჰოსკინსმა**.

ვარსკვლავიანი ფორმით სამხრეთ აფრიკა ევროპაში სამ ტესტმატჩს გამართავს.

■ ■ ■

SANZAR-ის კავშირმა, რომელშიც სამხრეთ აფრიკის, ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის რაგბის ასოციაციები შედიან, გადაწყვიტა 2010 წლამდე გადადოს სუპერ 14-ის ტურნირის ფინალური სერიის მონაწილეთა რიცხვის გაზრდა. ამის მიზეზი ისაა, რომ მხარეებმა ვერ გადაწყვიტეს, როგორ ჩაატარონ პლეიოფი ექვსი გუნდის მონაწილეობით.

კავშირის ხელმძღვანელობა იმასაც იტყობინება, რომ სუპერ 14-ისა და სამი ერის თასის მატჩები იმ ექსპერიმენტული წესებით ჩაივლის, რომელიც IRB-ის ჯერ არ დაუმტკიცებია. შეგახსენებთ, რომ ამა წლის პირველი აგვისტოდან მთელ მსოფლიოში 13 ექსპერიმენტული წესი ამოქმედდა.

*"ჩვენ ვერ მოვილაპარაკეთ პლეიოფის სტრუქტურის შესახებ, ამიტომაც სტატუსკვოს შენარჩუნება გადავწყვიტეთ"*, - ამბობს ორეგონ ჰოსკინსი.

სუპერ 14-ის მორიგი გათამაშება 2009 წლის 13 თებერვალს დაიწყება.

■ ■ ■

ინგლისის მორაგბეთა კავშირის პრეზიდენტი **ფრენსის ბერონი** თვლის, რომ რაგბის საერთაშორისო კავშირმა (IRB) ფინანსური გარანტიები უნდა მისცეს 2015 წლის მსოფლიოს თასის ორგანიზატორებს და მსოფლიოში რთული ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით, განაცხადის შეტანის პირობებიც უფრო მისაღები უნდა გახადოს. შეგახსენებთ, რომ IRB ტურნირის ორგანიზატორი ქვეყნისგან პირველადი შესატანის სახით 70 მილიონ ფუნტს ითხოვს.

*"ორგანიზატორების ერთადერთი შემოსავალი - ბილეთების გაყიდვაა. ჩვენ გვინდა IRB-ში განაცხადის შეტანა, მაგრამ ყველაფერი ზუსტად უნდა გავთვალოთ, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ წაგებული დავრჩებით"*, - ამბობს ბერონი.

იმის გათვალისწინებით, რომ ლონდონმა 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებს უნდა უმასპინძლოს და ინგლისს ფეხბურთში მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაც სურს, ქვეყნის რაგბის კავშირს ეჭვი ეპარება, რომ მთავრობა მსოფლიოს თასის მასპინძლობაში დახმარებას გაუწევს. ინგლისში მიაჩნიათ - IRB ასეთ დიდ პირველად შენატანს იმის გამო ითხოვს, რომ დარწმუნებულია, 2011 წელს ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასი ფინანსურ ზარალს მოიტანს.

ინგლისის რაგბის კავშირში ისიც განაცხადეს, რომ 29 ნოემბერს „თვიქნემზე" ინგლისისა და ზელანდიის ნაკრებებს შორის გასამართ ტესტმატჩზე ჯერაც არის დარჩენილი გაუყიდავი ბილეთები. დაახლოებით 30 ათასი ბილეთი დარჩა გასაყიდი წყნარი ოკეანის კუნძულების ნაკრებთან მატჩზე.

**გია თვალაბეიშვილი**

რაგბი ლიგა

მსოფლიოს ჩემპიონატი

# ნაგაზების ბოლო შანსი



C ჯგუფის შეხვედრები რაგბი ლიგის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯერჯერობით ყველაზე საინტერესო გამოდგა. პირველ მატჩში ირლანდიელი „ნაგაზების" მძლეველი ტონგა მეზობელ სამოას დაუპირისპირდა და უშელავათო ბრძოლაში - 12:20 დამარცხდა.

სამოელებმა დასაწყისშივე მოიპოვეს სათამაშო უპირატესობა, რაც **ფრანსის მელიმ** და **ნაიჯელ ვაგანამ** ორ გატანილ ლელოდ აქციეს. გარდასახვა ორივეჯერ **ბენ რობერტსმა** გააცუდა - 8:0. ტონგელთა ქომაგებს დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებიათ. **მაიკლ ჯენინგსმა** და **ტევიტა ლეო-ლატუმ** წყვილი ლელოთივე უპასუხეს, ოღონდ მეტოქისაგან განსხვავებით **ტონი ვილიამსმა** ორივეჯერ ზუსტად დაჰკრა გარდასახვა - 12:8.

ამის მერე ტონგამ საკუთარ მონაგარს ველარაფერი შესძინა. არადა, მეტოქეს არც ფეხმარდობაში ჩამოუვარდებოდა და ჯანითაც არ იყო მასზე ჯაბანი. თუმცა სამოელთა ბრწყინვალედ ორგანიზებულ დაცვას ვერაფერი დააკლო.

სამოელები ანგარიშში პირველი ტაიმის ბოლოს ისევ დაწინაურდნენ. ლელო ამჯერად **მატ უტაის** ანგარიშზეა, რობერტსონმა ამჯერად გარდასახვის გატანა შეძლო - 14:12. მეორე ნახევარში მაყურებელმა მხოლოდ ერთი ლელო იხილა. მეტოქის ქალაქი ისევ სამოელებმა აიღეს - **ჯორჯ კარმონტმა** იყოჩაღა. რობერტსონმა ისევ გარდასახა - 20:12.

C ჯგუფში ბოლო, გადამწყვეტი შეხვედრა ირლანდიასა და სამოას შორის 5 ნოემბერს გაიმართება. შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლების მოსაპოვებლად ირლანდიას 6 ქულით მოგება მართებს.

დღეს ასევე პრინციპული შეხვედრაა B ჯგუფში. საფრანგეთის ნაკრები ფიჯისთან გამარჯვების შემთხვევაში, ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებს და ნახევარფინალში გამსვლელ მატჩში C ჯგუფის გამარჯვებულს დაელოდება.

**სამოა-ტონგა 20:12**

სამოა: 4ლ - მელი, ვაგანა, უტაი, კარმონტი. 2გ - რობერტსი

ტონგა: 2ლ - ჯენინგსი, ლეო-ლატუ. 2გ: ვილიამსი

### A ჯგუფი

ავსტრალია - 2 ქულა, ინგლისი - 2, პაპუასეთი - 0, ზელანდია - 0.

### B ჯგუფი

საფრანგეთი -2 ქულა, ფიჯი - 0, შოტლანდია - 0

### C ჯგუფი

სამოა - 2 ქულა, ტონგა - 2, ირლანდია - 0.

**1 ნოემბერი**

ფიჯი-საფრანგეთი

ზელანდია-პაპუასეთი

**2 ნოემბერი**

ავსტრალია-ინგლისი

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

**კრივი**

# ვალუევი-ჰოლიფილდი რეალურია?

WBA-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი, რუსი **ნიკოლაი ვალუევი** 20 დეკემბერს გეგმავს მორიგი ბრძოლის გამართვას, თუმცა როგორც მოკრივის ოფიციალური ვებგვერდი წერს, ჯერჯერობით ცნობილი არ არის, ვისთან მოუწევს შეხვედრა რუს გიგანტს.

*"ვალუევის მორიგი მეტოქის საკითხი დიდი ხანია დგას დღის წესრიგში. ყველაზე რეალური კანდიდატი ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე ევანდერ ჰოლიფილდია. გარდა ამისა, ცნობილი პრომოუტერი დონ კინგი პოლონელი ანჯეი გოლოტას ვარიანტს გვთავაზობს. თუმცა გოლოტასთან შეხვედრა ნაკლებად არის მოსალოდნელი, ვინაიდან პოლონელს ნოემბერში ჩინეთში უწევს ბრძოლა და ის ვალუევთან შეხვედრისთვის მომზადებას ვერ მოასწრებს"*, - განაცხადა ვალუევის მენეჯერმა **ბორის დიმიტროვმა**.

ამ უკანასკნელის სიტყვებით, ბრძოლის გამართვის ადგილი და მეტოქის ვინაობა უახლოეს დღეებში გაირკვევა. რუსულ მხარეს ყველაზე სავარაუდო ვარიანტად 20 დეკემბერს შვეიცარიაში ვალუევისა და **ჰოლიფილდის** ბრძოლა მიაჩნია.



**სახელი ხაზი**

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 2:0 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფრანკფურტი-ალემანია | 0:3 |
| ფიურტი-ვეენი | 1:1 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ბურგჰაუზენი-ერფურტი | 1:4 |
| ვუპერტალი-შტ. კიკერსი | 3:3 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| კაიზერი A-ლოტე | გადაიდო |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ამიენი-ტრუა | 1:1 |
| ბასტია-სედანი | 2:0 |
| დიჟონი-ბრესტი | 1:2 |
| გინგამი-ანჟერსი | 0:0 |
| რეიმსი-შატორუ | 4:3 |
| ტური-აიაჩო | 4:1 |
| ბულონი-კლერმონი | 2:1 |
| მეცი-ვანი | 2:0 |
| მონპელიე-ნიმი | 1:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდორნი-მაასტრიხტი | 2:3 |
| ვეენდამი-ეინდჰოვენი A | 2:2 |
| კამბური-ტოპ ოსი | 2:1 |
| დენ ბოში-როსენდალი | 2:1 |
| ფორტუნა-ტელსტარი | 2:1 |
| იგლზი-დორდრეჰტი | 0:0 |
| ჰაარლემი-ცვოლე | 3:1 |
| ჰელმონდი-ექსელსიორი | 1:1 |
| ომნივორლდი-ვენლო | 3:5 |
| ვაალვიკი-ემენი | 1:0 |
| **ბელგია** | |
| სტანდარდი-შარლერუა | 1:2 |
| **პორტუგალია** | |
| სეტუბალი-ტროფენსე | გვ. დასრულდა |
| **ავსტრია** | |
| კაპფენბერგი-რაპიდი | 0:2 |
| **II დივიზიონი** | |
| გრატკორნი-ფოკლაბრუკი | 2:1 |
| ლეობენი-ავსტრია A | 0:1 |
| ზალცბურგი A-ავსტრია (ლ) | 1:0 |
| ადმირა-გრიოდიგი | 3:0 |
| ტიროლი-სტ. პოლტენი | 0:1 |
| **კვიპროსი** | |
| ანორთოსისი-აპოპ | 2:0 |
| **ირლანდია** | |
| ბრეი-კოზ რამბლერსი | 3:2 |
| დროგედა-ფინ ჰარპსი | 1:2 |
| უნივერსიტი-ბოჰემიანსი | 0:1 |
| **პოლონეთი** | |
| არკა-პოლონია (ვ) | 0:1 |
| პიასტი-პოლონია (ბ) | 1:0 |
| ლკს-შლიონსკი | 0:0 |
| ლეხი-ოდრა | 3:1 |
| **სლოვენია** | |
| ინტერბლოკი-დომჟალე | 0:0 |
| კოპერი-დრავა | 3:1 |
| გორიცა-ნაფტა | 3:1 |
| მარიბორი-პუბლიკუმი | 2:1 |
| რუდარი-პრიმორიე | 0:1 |
| **უნგრეთი** | |
| ზალაეგერსეგი-უიპეშტი | 2:2 |
| **ბულგარეთი** | |
| ჩერნომორეცი-სპარტაკი | 2:0 |
| **რუმინეთი** | |
| გლორია (ბის)-არჯესი | 2:0 |
| კლუჟი-უნირეა | 1:0 |
| პოლიტეხნიკა-პანდური | 1:1 |
| ვასლუი-გაზ მეთანი | 1:1 |
| ოლიმპია-კლაგენფიურტი | 4:2 |
| ვენა-გრაცი | 4:2 |
| **გერმანია** | |
| ინგოლშტადტი-დუისბურგი | 4:2 |
| ფრანკფურტი-ჰამბურგი | 3:3 |
| იზერლონი-აისბარენი | 1:5 |
| კიოლნი-შტრაუბინგი | 3:3 |
| კრეფელდი-კასელი | 4:3 |
| ნიურნბერგი-ჰანოვერი | 5:6 |
| **დანია** | |
| როდოვრე-ოდენსე | 0:1 |
| ესბერგი-ნორდსილანდი | 2:5 |
| ჰერნინგი-ოლბორგი | 4:2 |
| ჰვიდოვრე-ჰერლევი | 4:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| მარტინი-ზვოლენი | 5:3 |
| პოპრადი-მიკულაში | 2:3 |
| ჟილინა-სკალიცა | 4:6 |
| სლოვანი-კეჟმაროკი | 4:1 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-კიეკო | 2:2 |
| იუვიასკიულა-პელიკანსი | 2:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-ლიბერეცი | 2:6 |
| ზლინი-სლავია | 1:0 |
| კლადნო-სპარტა | 1:3 |
| ბოლესლავი-ტრშინეცი | 6:4 |
| პლზენი-ლიტვინოვი | 1:2 |
| კარლოვი ვარი-ზნოიმო | 2:3 |
| **შვეიცარია** | |
| ბილი-დავოსი | 2:7 |
| ფრიბურგი-ცუგი | 4:1 |
| კლოტენი-სერვეტი | 7:3 |
| ლუგანო-ბერნი | 3:0 |
| რაპერსვილი-ამბრი | 5:3 |
| ლანგნაუ-ციურიხი | 3:3 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ულმი-გისენი | 88:83 |
| **საფრანგეთი** | |
| გრაველინი-ბეზანსონი | 86:68 |
| შალონი-ორლეანეზი | 65:59 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (მ)-ვიტიაზი | 1:1 |
| სევერსტალი-ავანგარდი | 1:4 |
| დინამო (მნ)-ნეფტეხიმიკი | 4:1 |
| დინამო (მ)-ლადა | 4:3 |
| სპარტაკი-ტრაქტორი | 4:0 |
| ცსკა-ს. იულიაევი | 5:4 |
| **ავსტრია** | |
| ლინცი-იეშენიცე | 3:3 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. პარიზი** | |
| მიურეი-ნალბანდიანი | 6:7, 3:6 |
| ნადალი-დავიდენკო | 1:6, 0:6 |
| როდიკი-ცონგა | 7:5, 4:6, 6:7 |
| ფედერერი-ბლეიკი | გადაიდო |
| **WTA. კვებეკი** | |
| მატეკი-უდინი | 7:6, 6:1 |
| პეტროვა-ჩინკი | 6:1, 6:4 |
| დემი-ჰეინსი | 6:2, 6:7, 3:6 |

**სხვადასხვა**

**ველოსპორტი**

## ჯირო ვენეციიდან დაიწყება

ცნობილი გახდა, რომ 2009 წელს ჯირო დ'იტალია 9 მაისს ქალაქ ვენეციიდან აიღებს სტარტს.

*"ჩვენი ქალაქის მოსახლეობა კმაყოფილია იმით, რომ პირველად ბოლო 12 წლის განმავლობაში, ლეგენდარული ველორბოლა ვენეციის ქუჩებში გაივლის. ორმაგად სასიხარულოა, რომ ეს ჯიროს ასწლიან იუბილეზე მოხდება"*, - აცხადებს ქალაქის მერი **მასიმო კაჩიარი**.

იტალიური ველომარათონის დანარჩენი მარშრუტი ჯერჯერობით უცნობია. მხოლოდ ის არის გარკვეული, რომ ბოლო ეტაპი 31 მაისს გაიმართება.

**კალათბურთი**

## ბინუმი ლეიკერსში დარჩა

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა **ენდრიუ ბინუმმა** კალიფორნიულ კლუბთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი. ხელშეკრულების თანახმად, ახალგაზრდა კალათბურთელი "ლეიკერსში" 2013 წლამდე ითამაშებს და ამ პერიოდში 58 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

*"როგორც იქნა მივაღწიეთ ენდრიუსთან შეთანხმებას. ამ ბიჭს უდიდესი ნიჭი გააჩნია და თუ მონდომებით ვარჯიშს გააგრძელებს, NBA-ის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი გახდება"*, - განაცხადა "ლეიკერსის" გენერალურმა მენეჯერმა **მიტჩ კუპჩაკმა**.

2007-08 წლების სეზონში 21 წლის ბინუმმა 35 მატჩი ჩაატარა და საშუალო 13.1 ქულა და 10.2 მოხსნა დააგროვა.

**ჩოგბურთი**

## როდიკი შანხაიში მიდის

ამერიკელი **ენდი როდიკი** მეექვსე ჩოგბურთელი გახდა, ვინც სეზონის შემაჯამებელ ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვა.

პარიზში მიმდინარე მასტერსის მერვედფინალში უშუალო კონკურენტის, ფრანგი **ჟილ სიმონის** დამარცხების შემდეგ, ამერიკელმა შანხაის ტურნირის საგზური გაინაღდა.

უფრო ადრე მასტერსის თასზე თამაშის უფლება მოიპოვეს: **რაფაელ ნადალმა, როჯერ ფედერერმა, ნოვაკ ჯოკოვიჩმა, ენდი მიურეიმ** და **ნიკოლაი დავიდენკომ**. დარჩენილი ორი საგზურის მფლობელის ვინაობა პარიზის მასტერსის შემდეგ გაირკვევა.

**ჰოკეი**

## კროსბი ტრავმირებულია

ჰოკეის ეროვნული ლიგის ბოლო ტურის მატჩში ტრავმა მიიღო "პიტსბურგ პინგვინზის" ლიდერმა **სიდნი კროსბიმ**. "ფინიქსთან" შეხვედრის (1:4) მესამე პერიოდში ახალგაზრდა ფორვარდმა მოედანი დატოვა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. უცნობია, რა ხარისხის დაზიანება მიიღო ფორვარდმა. თავად კროსბიმ განაცხადა, რომ ტრავმა სერიოზული არ უნდა იყოს.

*"თავად არ ვიცი, რა მოხდა სინამდვილეში. ყინულზე სრიალისას დისკომფორტი ვიგრძენი. მესამე პერიოდში მივხვდი, რომ თამაშის გაგრძელება აღარ შემეძლო"*, - მოჰყავს სიდნის სიტყვები ჰოკეის ეროვნული ლიგის ოფიციალურ ვებგვერდს.

"პიტსბურგ პინგვინზის" ხელმძღვანელობას ოფიციალური განცხადება კროსბის ტრავმის გამო ჯერ არ გაუკეთებია.

**TV სპორტი**

### 1 ნოემბერი. შაბათი

**I არხი**

14:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დინამო-ვიტ ჯორჯია (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:25 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ტოტენჰემი.
09:10 საფეხბურთო კლუბი.
10:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
11:30 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ვოლფსბურგი.
15:05 საფეხბურთო კლუბი.
15:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
16:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:40 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ფულჰემი (LIVE).
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ჰალი (LIVE).
21:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:25 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ლივერპული (LIVE).
23:25 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
23:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-სტ. ეტიენი (LIVE).
01:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:10 ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-არსენალი.
03:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ჰალი.
05:45 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰერტა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:55 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ოლიმპიაკოსი-უნიკახა.
09:40 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
09:45 სპორტკლუბი.
10:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი.
14:55 სპორტის სამყარო.
15:25 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
15:55 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო – სერია A-ს მიმოხილვა.
16:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფინიქსი-პიტსბურგი.
17:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰერტა (LIVE).
20:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რეჯინა-ინტერი (LIVE).
22:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-ბარსელონა (LIVE).
00:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რასინგი (LIVE).
02:55 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
03:20 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰერტა.
05:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რეჯინა-ინტერი.
06:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი.

**EUROSPORT**

11:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იაპონია.
12:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ახალი ზელანდია-დანია. ახალი ზელანდია.
14:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. განა-გერმანია. ახალი ზელანდია.
15:30 ტრამპლინიდან ხტომა. ოთხი ერის გრანპრი. HS131. ჰაკუბა. იაპონია.
16:45 ტრამპლინიდან ხტომა. ოთხი ერის გრანპრი. HS140. ლიბერეცი. ჩეხეთი.
18:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიოს ტური. კაცები. მე-3 ადგილისთვის. ბაჰრეინი (LIVE).
19:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიოს ტური. კაცები. ფინალი. ბაჰრეინი (LIVE).
20:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პორტუგალია (LIVE).
20:45 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იაპონია.
14:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. განა-გერმანია. ახალი ზელანდია.
00:00 პროფესიული კრივი.
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.
04:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პორტუგალია.
04:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იაპონია.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
13:30 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
14:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
14:30 სპიდვეი. გერმანიის გრანპრი.
15:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
16:30 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიოს ტური. კაცები. მე-3 ადგილისთვის. ბაჰრეინი (LIVE).
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. I ტური (LIVE).
19:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. IV ტური (LIVE).
21:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. პორტუგალია.
22:15 ახალი ამბები.
22:45 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. შვეიცარია.
23:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ახალი ზელანდია-დანია. ახალი ზელანდია.
00:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. განა-გერმანია. ახალი ზელანდია.
01:30 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. რეგულარული სეზონი.
03:00 ახალი ამბები.

### 2 ნოემბერი. კვირა

**I არხი**

14:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ლოკომოტივი-სიონი (LIVE).
16:15 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. თბილავიამშენი-თსუ (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:35 ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-ბარსელონა.
09:25 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ლივერპული.
11:15 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-სანდერლენდი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:25 ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-არსენალი.
15:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. როდა-ფეიენოორდი (LIVE).
17:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რასინგი.
19:05 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
19:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-რეალი (LIVE).
23:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ლე მანი (LIVE).
01:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:10 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-სან ლორენსო.
03:55 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბოხუმი.
05:45 ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-მანჩესტერ სიტი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:45 სპორტდოსიე. კრიკეტი.
09:10 სპორტის სამყარო.
09:40 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
10:10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-პორტუგეზა.
11:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი.
16:00 ფეხბურთელთა ცხოვრება.
16:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ლივერპული.
18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
18:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
21:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-რეალი (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-დეპორტივო (LIVE).
01:55 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-პალმეირასი.
03:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-კატანია.
05:20 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ლივერპული.
07:05 სპორტდოსიე. კრიკეტი.
07:35 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

11:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პორტუგალია.
12:00 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
12:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ს. კორეა. ახალი ზელანდია.
13:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. იაპონია-საფრანგეთი. ახალი ზელანდია.
14:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-ინგლისი. ახალი ზელანდია.
15:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პორტუგალია.
16:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. პორტუგალია (LIVE).
17:00 სუპერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. პორტუგალია (LIVE).
18:00 მარათონი. ნიუიორკი. აშშ (LIVE).
21:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. პორტუგალია.
22:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იაპონია.
22:30 ავტომოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
22:45 ჩოგბურთი. სპეციალური გამოშვება. ჟუსტინ ანენი.
23:15 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. მადრიდი. ესპანეთი.
01:15 პროფესიული კრივი. ქვემძიმე წონა. ა. ჩება (საფრანგეთი)-რ. სანჩესი (მექსიკა). მექსიკა.
03:00 მარათონი. ნიუიორკი. აშშ.
04:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იაპონია.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
13:30 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:00 ავტოსპორტი. ახალი სარბოლო სერია - ფორმულა სუპერლიგა. I რბოლა. ვალელუნგა. იტალია (LIVE).
15:00 სუპერსტოკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პორტუგალია.
15:30 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. იაპონია-საფრანგეთი. ახალი ზელანდია.
17:00 ავტოსპორტი. ახალი სარბოლო სერია - ფორმულა სუპერლიგა. II რბოლა. ვალელუნგა. იტალია (LIVE).
18:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:30 მოტორბოლა. GSX R-ის თასი. პორტუგალია (LIVE).
19:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. პორტუგალია.
19:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. პორტუგალია (LIVE).
20:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. იაპონია-საფრანგეთი. ახალი ზელანდია.
21:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-ინგლისი. ახალი ზელანდია.
22:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურინგ კლასში. ესპანეთი.
23:30 ახალი ამბები.
00:00 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. IV ტური.
01:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ს. კორეა. ახალი ზელანდია.
02:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-ინგლისი. ახალი ზელანდია.
03:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

ექსპერტის აზრი. ინტერვიუ ნიკი ლაუდასთან

# ჰემილტონი ფრთხილ ტაქტიკას აირჩევს



**კვირას სან პაულუს "ინტერლაგუშის" ტრასაზე ფორმულა 1-ის გადამწყვეტი რბოლა გაიმართება. "დიდ ცირკს" ახალი ჩემპიონი ეყოლება, რადგან აქამდე ლუის ჰემილტონსა და ფელიპე მასას პირველობა არასოდეს მოუგიათ. მომავალი დიდი ბრძოლის წინ ფავორიტების შანსებს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ლეგენდარული ავსტრიელი ნიკი ლაუდა აფასებს.**

**- რაში ხედავთ განსხვავებას ჩემპიონის ტიტულის ორ მაძიებელს შორის?**

- თუ სტატისტიკას გადავხედავთ, მიღწევები ორივეს ერთნაირი აქვს, მაგრამ ჰემილტონს უფრო გაუმართლა - სწორედ ის და არა ფელიპე მასა ითვლება დღეს მთავარ ფავორიტად. საკმარისია, ინგლისელმა ოთხი ქულა დააგროვოს და კარიერაში ჩემპიონის პირველ ტიტულს მოიპოვებს.

**- ჩემპიონატის მსვლელობისას რომელი მათგანი უშვებდა უფრო მეტ შეცდომას?**

- „სილვერსტოუნზე" წვიმის დროს მომხდარი ავარიისას მასას დამნაშავედ არ მივიჩნევ. იქ საქმე არა პილოტში, არამედ მანქანაში იყო, რადგან არ შეიძლებოდა გაცვეთილი საბურავით რბოლა. მოკლედ რომ ვთქვათ, ფელიპე შესანიშნავ ფორმაში იმყოფება, ხოლო პრობლემებს მას სხვები უქმნიდნენ. ავილოთ, მაგალითად, უნგრეთში ძრავის მწყობრიდან გამოსვლა ან სკანდალური პიტსტოპი სინგაპურში.

**- თუ ბრაზილიელი ასეთი ძლიერია, რატომ უსწრებს მას ჰემილტონი შვიდი ქულით?**

- როგორც უკვე გითხარით, მასა ბოლიდის ცუდმა ტექნიკურმა მდგომარეობამ და მომსახურე პერსონალის შეცდომებმა დააზარალა. ამ მიზეზებით მან საკმაოდ ბევრი ქულა დაკარგა.

**- მაგრამ მის მთავარ კონკურენტსაც ჰქონდა პრობლემები...**

- ბელგიის "სპაზე" შექმნილმა სიტუაციამ ჰემილტონი მართლაც დააზარალა. ჯარიმების დარიგების მანიით შეპყრობილებმა, ის პირველი ადგილიდან მესამეზე ჩამოაქვეითეს. ეს გადაწყვეტილება კი არა, უნამუსობა იყო. ანალოგიური პრობლემა წარმოიშვა ფუჯიზე, სადაც ორივე ლიდერმა მიიღო ჯარიმა. ჩემი აზრით, აქ უკვე სტიუარდების შეცდომებზე შეიძლება ლაპარაკი.

**- ამ უიქ ენდზე სან პაულუში მსოფლიოს ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპი გაიმართება. ადგილების გადანაწილებაში რა როლი შეიძლება ითამაშოს ამინდმა?**

- თუ "ინტერლაგუშზე" წვიმა წამოვა, მასა, ალბათ, ვერ შეძლებს რბოლის მოგებას. არც ცივი ამინდი იქნება მისთვის კარგი - წინა რბოლას თუ გავითვალისწინებთ, ასეთ სიტუაციაში "მაკლარენის" ბოლიდები უფრო სწრაფები არიან.

**- რა სჭირდება მასას საბოლოო წარმატების მისაღწევად?**

- მშრალი და სიცხიანი ამინდი. ასეთ პირობებში ბრაზილიელის სიჩქარე უფრო მაღალი იქნება, ვიდრე მისი კონკურენტის. ამ შემთხვევაში, "ფერარის" შეეძლება მთელ რბოლაზე კონტროლის დაწესება.

**- ბუნებრივია, ბევრი რამ პილოტების კონცენტრაციაზე იქნება დამოკიდებული...**

- ვფიქრობ, ორივე მაქსიმალურად ეცდება უშეცდომოდ განვლოს მთელი დისტანცია. განსაკუთრებით ფრთხილი ჰემილტონი იქნება. იმედია, ის იმდენად სულელი არ არის, რომ შარშანდელი შეცდომები გაიმეოროს და მეორედ დაკარგოს ტიტული.

**- რა აზრის ხართ ფავორიტების მომზადების დონეზე?**

- მასას რაც შეეხება, მას ჩემგან მხოლოდ კომპლიმენტი ეკუთვნის - "ფერარის" მეორე პილოტობიდან ის ლამაზ გედად გადაიქცა. ბრაზილიელმა დროულად გამოიტანა დასკვნები ბავშვური შეცდომებისგან და ახლა თითქმის უნაკლოდ ასპარეზობს. სტილის მიხედვით, ის და ჰემილტონი ჰგვანან ერთმანეთს და განვითარების ერთ საფეხურზე იმყოფებიან.

**- მათგან რომელი აზროვნებს უკეთესად, როცა საქმე კვალიფიკაციას, სტარტს ან სტრატეგიას ეხება?**

- რბოლის სტრატეგიას გუნდი განსაზღვრავს. დანარჩენში კი ამ ორ პილოტს შორის დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ - ორივენი კარგები არიან იმ კომპონენტებში, რომელიც თქვენ ჩამოთვალეთ.

**- დაბოლოს, ვინ უფრო იმსახურებს ჩემპიონის ტიტულს?**

- პრინციპში, ჩემთვის აბსოლუტურად სულ ერთია, ვინ მოიგებს წლევანდელ ჩემპიონატს. სეზონის სტარტიდან ობიექტურად ვაფასებ ამ ნიჭიერი პილოტების მუშაობას და ორივეს წარმატება მახარებს. მხოლოდ იმის იმედი მაქვს, რომ მათი დავა ტრასაზე გადაწყდება და არა მოლაპარაკებების მაგიდასთან, როგორც ეს რამდენიმე ეტაპის დროს მოხდა. დაუსაბუთებელმა და გაუმართლებელმა სასჯელებმა უკვე ყველას მოაბეზრა თავი.




## მანქანით დახატული პორტრეტი

სან პაულუს რბოლის წინ ბრიტანელები ათასგვარი ხერხით ცდილობენ **ლუის ჰემილტონის** მხარდაჭერას. მათ რიგებშია ცნობილი ინგლისელი მხატვარი **იან კუკი**, რომელმაც კომპანია "რიბოკის" დაკვეთით "მაკლარენის" პილოტის 12-მეტრიანი პორტრეტი დახატა. კუკის ნამუშევარი უკვე გამოფინეს ლონდონში, თაუერ ბრიჯთან და ქვემოთ ასეთი წარწერაც გაუკეთეს - "ლუისი - საუკეთესო ბრიტანელი".

პორტრეტის ორიგინალურობა იმაში მდგომარეობს, რომ კუკს ნახატის შესაქმნელად ჩვეულებრივი ფუნჯი არ გამოუყენებია. მხატვარმა ორიგინალურ ხერხს მიმართა: ის სალებავებში ავლებდა სათამაშო მანქანის საბურავებს და შემდეგ დისტანციური მართვის პულტით ტილოზე სასურველი მიმართულებით დაატარებდა.

ლუის ჰემილტონმა ბრაზილიიდან გადაუხადა მადლობა იან კუკს: *"მთელი ბავშვობა დისტანციური მანქანებით ვერთობოდი, მაგრამ ასეთი პორტრეტის დახატვა აზრადაც არ მომსვლია. თუმცა რომც მომენდომებინა, არაფერი გამომივიდოდა. კუკის ნამუშევარი ნამდვილი შედევრია"*.

ჩოგბურთი

# ცაციების წარმატების საიდუმლო

თუ სხვადასხვა კვლევას დავუჯე-...ებთ, მსოფლიოს მოსახლეობის დაახ-...ოებით 10 პროცენტი ცაციაა. ...როფესიონალ ჩოგბურთელთა პირ-...ელ ასეულში მარცხენა ხელით მოთა-...შე 12 ჩოგბურთელი ირიცხება, ...ირველ ოცეულში კი ასეთი ორი მოთა-...შეა (**რაფაელ ნადალი** და **ფერნანდო** ...**რდასკო**). ასე რომ, ეს პროპორცია ...ანამედროვე ჩოგბურთშიც არის შე-...რჩუნებული.

თუმცა წარსულში პროცენტული ...ჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო. ...გალითად, 1975 წელს მამაკაცთა ...ურში ხუთი ცაცია თამაშობდა - **ჯიმი** ...**ნორსი, გილერმო ვილასი, მანუელ** ...**რანტესი, როსკო ტანერი** და **როდ** ...**ივერი**, რომლებმაც ის სეზონი შესა-...მისად პირველ, მეორე, მეხუთე, მეცხ-... და მეათე ადგილებზე დაასრულეს.

80-იანი წლებიდან მოყოლებული, 90-...ების შუამდე, რეიტინგის პირველ ...ეულში ტრადიციულად სამი ცაცია ...იოდა - კონორსი, ვილასი და **ჯონ მა-...**...**როი**. მოგვიანებით ეს ტრიო ისეთმა ...გბურთელებმა შეცვალეს, როგორე-...ც იყვნენ: **გორან ივანიშევიჩი, ტომას** ...**სტერი, გრეგ რუსეცკი** და **მარსელო** ...**ოსი**. თუმცა მალე მათი პოზიციები ...რყა.

...ქალებს რაც შეეხებათ, დღეისთვის ...A-ის ელიტაში მე-11 ჩოგანი **პატი** ...**დერია** ერთადერთი ცაცია წარმო-...გენელი. არადა, აქ თავის დროზე ...**ტინა ნავრატილოვა** და **მონიკა სე-**...**ში** დომინირებდნენ. მაგრამ მათი ...ვლის შემდეგ, "მემარცხენეთა" პო-...იები შესამჩნევად გაუარესდა. თანა-...როვე ჩოგბურთში ცაციებიდან ...ლება გამოვყოთ ავსტრიელი **სიბილ** ...**ერი** (26-ე ჩოგანი), ავსტრალიელი ...**ი დელაკუა** (52) და ჩეხი **ლუსი სა-**...**ოვა** (66).

...**მაშის**

## არატრადიციული სტილი

დიდი ხანი მიჩნეული იყო, რომ ცაციები თამაშის მსვლელობისას გარკვეულ უპირატესობას იღებდნენ. ფორჰენდის შესრულებისას, ისინი უფრო ხშირად მეტოქეს მისთვის მოუხერხებელ მხარეს აწვდიან ბურთს, თანაც ოპონენტები, რომლებსაც ცაციებთან თამაშის არც ისე დიდი გამოცდილება აქვთ, მომენტალურად ალღოს ვერ ულებენ სიტუაციას. ცაციები თავიანთი მოწოდებებით მეტოქეს ხშირად კორტის გარეთ "აგდებენ". არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ცაციები სხვანაირად აფასებენ კორტზე სიტუაციას, აგრეთვე შეუძლიათ ბურთის უცნაური ტრაექტორიით მოჭრა.

აქვს თუ არა ლოგიკური ახსნა იმას, რომ კაცთა ჩოგბურთის ლიდერებში უფრო მეტი ცაციაა, ვიდრე ქალთა ჩოგბურთში? ყოფილი მოთამაშე, ამჟამად კი ტელეკომპანიას ESPN-ის მიმომხილველი **მერი კარილო** ბევრი ექსპერტის აზრს იმეორებს, როცა ამბობს, რომ ჩვენს დროში უკვე ბევრი ჩოგბურთელი ფლობს ორი ხელით კარგ დარტყმას - ამაში მათ ახალი მჩატე ჩოგნები ეხმარებათ, რომელიც ძლიერი და ზუსტი დარტყმის საშუალებას იძლევა. *"ჩემი აზრით, ცაციებმა დაკარგეს თავიანთი ბუნებრივი უპირატესობა, რადგან დღეს თითქმის ყველა ასრულებს ორივე ხელით დარტყმას*, - თვლის კარილო. - *დღეს ბექჰენდი არანაკლებ საშიში იარაღია"*.

პირველი ათეულის ყოფილ მოთამაშეს **ელიოტ ტელშტერს** მიაჩნია, რომ მამაკაცთა ელიტაში ცაციების დიდი წარმომადგენლობა შემთხვევითობას უნდა მივაწეროთ. მისი აზრით, ჩოგბურთელის "მემარცხენეობა" მხოლოდ დამატებით და არა ძირითად უპირატესობად ითვლება. *"ზოგიერთი ცაცია "მემარჯვენეების" სტილში თამაშობს*, - ამბობს ტელტშერი და ამ შემთხვევაში ჯიმი კონორსს გულისხმობს. - *ჯიმი იმიტომ კი არ იმარჯვებდა, რომ თავისი მოჭრილი მოწოდებებით მეტოქეებს კორტიდან აგდებდა. უბრალოდ, ის ძალიან ძლიერად ურტყამდა და არანორმალური მიღება ჰქონდა"*. აი, მაკინროი და ნავრატილოვა კი ის იშვიათი გამონაკლისები იყვნენ, რომელთა თამაშის სტილი მათი "მემარცხენეობიდან" გამომდინარეობდა.

კარილო მსოფლიოს პირველ ჩოგან რაფაელ ნადალს ერთგვარ "ჰიბრიდულ" ჩოგბურთელად ახასიათებს, რომელსაც მცირე პრობლემები აქვს მარცხენა ხელით მოწოდებისას, მაგრამ თამაშობს, როგორც ნამდვილი ცაცია ჩოგბურთელი. *"რაფა მემარჯვენე" რომ იყოს, მისი თამაში დიდად განსხვავებული არ იქნებოდა*, - თვლის კარილო. *- მაგრამ ხანდახან კუთხეებში ისე ახვედრებს ბურთს, რაც სხვის თამაშში არასოდეს მინახავს"*.



## ყოფილი ცაციები

**კარლოს მოია, კენ როზუოლი, კიმიკო დატე** და **მარგარეტ სმიტ-კორტი** მოთამაშეთა იმ კატეგორიას განეკუთვნებიან, რომლებიც დაბადებიდან ცაციები იყვნენ, მაგრამ მარჯვენა ხელით თამაშს შეგნებულად დაეჩვივნენ. სმიტ-კორტმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღიარა: *"ხანდახან გული მწყდება, რომ ცაცია არ დავრჩი. მაშინ, ალბათ, უკეთესი მოწოდება მექნებოდა"*. მოიაც იმავე აზრზეა.

**მარია შარაპოვა**, რომელიც თამაშის დროს ხანდახან ხელს ცვლის ხოლმე, ბავშვობაში მარცხენათი ურტყამდა, მაგრამ 10 წლის ასაკში გადავიდა მარჯვენაზე.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

### დიდი სლემის ტურნირების ყველა ცაცია გამარჯვებული

**ქალები**

ენ ჰეიდონ ჯონსი
მარტინა ნავრატილოვა
მონიკა სელეში

**კაცები**

ჯიმი კონორსი
ანდრეს გომესი
გორან ივანიშევიჩი
პეტრ კორდა
როდ ლეივერი
ჯონ მაკინროი
ტომას მუსტერი
რაფაელ ნადალი
მანუელ ორანტესი
როსკო ტანერი
გილერმო ვილასი